12
2016
ISSN 1987-7587






# გეოპოლიტიკა ცივი ომის პერიოდში



ზურაბ დავითაშვილი

მეორე მსოფლიო ომმა მთლიანად შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური სურათი და სრულიად ახალი **საერთაშორისო სისტემის** ტიპი ჩამოაყალიბა. მანამდე არსებული საერთაშორისო სისტემის ტიპები, როგორც წესი, დამყარებული იყო **ძალთა წონასწორობაზე,** რაც გულისხმობდა რამდენიმე წამყვან სახელმწიფოს შორის ძალთა (სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური სიძლიერე, პრესტიჟი, კულტურული გავლენა და ა.შ.) ბალანსს, რომელიც სისტემის მდგრადობასა და სტაბილურობას განსაზღვრავდა. ძალთა წონასწორობის დარღვევა (მაგ., ერთი რომელიმე სახელმწიფოს ზედმეტად გაძლიერება ან დასუსტება) იწვევდა სისტემის დაშლას, რასაც ფართომასშტაბიანი ომები მოსდევდა და ყალიბდებოდა ძალთა ახალი წონასწორობა. შესაბამისად, იქმნებოდა ახალი საერთაშორისო სისტემა. ახალი და უახლესი ისტორიის მანძილზე ამის მაგალითს წარმოადგენდა ვესტფალიის სისტემა (1648-1789 წწ.), ვენის სისტემა (1815-1914 წწ.) და ვერსალის სისტემა (1919-1939 წწ.).

საერთაშორისო სისტემის ესა თუ ის ტიპი თავისთავად გულისხმობს შესაბამის **გეოპოლიტიკურ წესრიგს,** ხოლო საერთაშორისო სისტემის ერთი ტიპის მეორეთი შეცვლას (ანუ ერთი გეოპოლიტიკური წესრიგის მეორეთი შეცვლას) შორის პერიოდს, რაც, როგორც წესი, დიდი ომების სახით იჩენდა თავს (ოცდაათწლიანი ომი, ნაპოლეონის ომები, პირველი მსოფლიო ომი, მეორე მსოფლიო ომი), **გეოპოლიტიკურ ტრანზიციას** უწოდებენ.

ყველა ზემოაღნიშნული საერთაშორისო სისტემა (და, შესაბამისად, გეოპოლიტიკური წესრიგი) **მრავალპოლუსიანია,** რადგან იკვეთება ძალის რამდენიმე პოლუსი. **ძალის პოლუსში** იგულისხმება ის გამორჩეული, პირველხარისხოვანი სახელმწიფო, რომელიც პოლიტიკურ ამინდს ქმნის. სწორედ ასეთ სახელმწიფოებს, ანუ ძალის პოლუსებს შორის წონასწორობაზეა დამყარებული საერთაშორისო სისტემის მდგრადობა და გეოპოლიტიკური წესრიგის შენარჩუნება. ამ ტიპის სისტემა ცნობილია, როგორც ძალთა წონასწორობის, ანუ **მულტიპოლარული სისტემა** და წარმოადგენს საერთაშორისო სისტემის ყველაზე გავრცელებულ (მეორე მსოფლიო ომამდე ფაქტობრივად ერთადერთ) ტიპს.

და აი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო დადგა სრულიად ახალი რეალობის წინაშე. მანამდე გამოკვეთილმა ძალის პოლუსებმა

– გერმანიამ, იაპონიამ, იტალიამ, საფრანგეთმა და თვით დიდმა ბრიტანეთმა – ლიდერი სახელმწიფოების პოზიციები დათმეს და ძალის პოლუსების ფუნქციები დაკარგეს. დარჩა მხოლოდ ორი გაძლიერებული და გამოკვეთილი ლიდერი და ძალის პოლუსი – ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი. შესაბამისად, საერთაშორისო სისტემა გახდა ორპოლუსიანი, ანუ **ბიპოლარული**. ორი პოლუსის დაპირისპირებამ გამოიწვია ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბება, რომელიც **ცივი ომის** სახელითაა ცნობილი. ამ სისტემამ და გეოპოლიტიკურმა წესრიგმა 45 წელი იარსება (1946-1991 წწ.) და ხასიათდებოდა ცვალებადი ბუნებით, სადაც პოლუსებს შორის უკიდურესი დაძაბულობა და შედარებით თბილი ურთიერთობა ენაცვლებოდა ერთმანეთს. როგორც სსრკ, ისე აშშ საკუთარ პოლიტიკას წარმართავდნენ იმ გეოპოლიტიკური მიზნების შესაბამისად, რომელიც მათ ეროვნულ ინტერესებში იყო და რაც სპეციალურ ლიტერატურაში **გეოპოლიტიკური კოდის** სახელით არის ცნობილი.

## გეოპოლიტიკური კოდები

გეოპოლიტიკური კოდი არის სახელმწიფოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული ვარაუდების სისტემა, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საფუძველს. გეოპოლიტიკური კოდი გულისხმობს:

ა) სახელმწიფოს ინტერესების (საგარეო, შიდაპოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და ა.შ.) განსაზღვრას;

ბ) ყველა იმ საფრთხის (პირველ რიგში, საგარეოს) გაცნობიერებას და დადგენას, რაც სახელმწიფოს ინტერესების განხორციელებას შეიძლება დაემუქროს;

გ) მოსალოდნელი საფრთხის საპასუხო ღონისძიებების ჩამოყალიბებას და მომზადებას;

დ) საპასუხო ღონისძიებების დასაბუთებას.

ყველა ქვეყანას თავისი გეოპოლიტიკური კოდი აქვს, მაგრამ ეს კოდები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და გარკვეულწილად – ერთმანეთზე დამოკიდებულიც. კერძოდ, დიდი სახელმწიფოების


*ვესტფალიის ხელშეკრულებების დადება*


*ვენის კონგრესის სხდომა*

*სახელწოდება „ვესტფალიის სისტემა“ მომდინარეობს 1648 წელს ვესტფალიის ქალაქებში, მიუნსტერსა და ოსნაბრიუკში, ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულებებიდან, რომელმაც ბოლო მოუღო ოცდაათწლიან ომს (1618-1648) და ევროპაში ძალთა ახალი წონასწორობის საფუძველზე (საფრანგეთის ჰეგემონობა და დაქუცმაცებული საღვთო იმპერია) ახალი საერთაშორისო სისტემა დააფუძნა. ანალოგიურად, „ვენის სისტემა“ გულისხმობს ნაპოლეონთან ომებში გამარჯვებული ქვეყნების ვენაში მოწვეული კონგრესის (1814-1815) მიერ ჩამოყალიბებულ ახალ საერთაშორისო მრავალპოლუსიან სისტემას, სადაც დიდი ბრიტანეთის უპირატესობა აშკარად იკვეთებოდა. „ვერსალის სისტემა“ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნების მიერ ვერსალის კონფერენციაზე (1919) მიღებული ომის შემდგომი მსოფლიოს მოდელი იყო, რომელიც რამდენიმე წამყვან სახელმწიფოს შორის ძალთა წონასწორობას და მძლავრი საერთაშორისო ორგანიზაციის (ერთა ლიგის) გადაწყვეტილებებს უნდა დაყრდნობოდა. „იალტა-პოტსდამის სისტემის“ სახელით არის ცნობილი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობის პრინციპები, რომლებიც ანტიჰიტლერული კოალიციის იალტის (1945 წლის თებერვალი) და პოტსდამის (1945 წლის ივლისი-აგვისტო) კონფერენციებზე მიიღეს.*




გეოპოლიტიკური კოდები დიდ გავლენას ახდენს პატარა სახელმწიფოებზე და აიძულებს მათ დაემორჩილონ მათი „თამაშის წესებს“. გეოპოლიტიკური კოდები ძირითადად უნდა ეთავსებოდნენ ერთმანეთს, რომ სისტემა სტაბილური იყოს. სწორედ ეს თავსებადობა ქმნის არსებულ გეოპოლიტიკურ წესრიგს.

არსებობს სამი დონის გეოპოლიტიკური კოდი – ლოკალური, რეგიონული და გლობალური. იმისდა მიხედვით, თუ რა სიდიდისა და სიძლიერისაა ქვეყანა, გეოპოლიტიკური კოდიც შეიძლება სხვადასხვა დონის ჰქონდეს.

**ლოკალური** კოდი ნებისმიერ ქვეყანას აქვს. იგი მოსაზღვრე ქვეყნების შეფასებას ითვალისწინებს და სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოების დაცვას გულისხმობს.

**რეგიონული** კოდი აქვთ რეგიონული ლიდერისა თუ ჰეგემონის პრეტენზიის მქონე ქვეყნებს. ასეთი კოდი მეზობელ და ახლომდებარე ქვეყნებში ამ სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გავლენის გაძლიერებას გულისხმობს.

**გლობალური** გეოპოლიტიკური კოდი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს. კერძოდ, იმ ზესახელმწიფოებს, რომელთა ამბიციები მთელ მსოფლიოს ფარავს და რომელთაც გლობალური ლიდერის პრეტენზიები აქვთ. ასეთი მსოფლიო ლიდერები XVI-XX საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა დროს იყვნენ პორტუგალია, ესპანეთი, ჰოლანდია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი – აშშ და საბჭოთა კავშირი. სწორედ მათ გლობალურ გეოპოლიტიკურ კოდებზე გავამახვილებთ ყურადღებას.







### საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკური კოდი

საბჭოთა კავშირი, მიუხედავად სრულიად სხვა იდეოლოგიური საფუძვლისა, გეოპოლიტიკური ინტერესებითა და მიზნებით რუსეთის იმპერიის მემკვიდრე იყო და არასოდეს უთქვამს უარი იმ გეოპოლიტიკურ ამბიციებზე, რაც რუსეთის იმპერიას ჰქონდა. მეტიც, ეს ამბიციები ბევრად ფართო და მრავლისმომცველი გაუხდა. თუ რუსეთის იმპერიის მთავარი გეოპოლიტიკური მიზანი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე კონტროლი და, აქედან გამომდინარე, ხმელთაშუა ზღვაზე და შემდეგ ინდოეთის ოკეანეზე გასვლა იყო, საბჭოთა კავშირს უკვე მთელ მსოფლიოში კომუნიზმის დამყარებისა და, შესაბამისად, მსოფლიო ლიდერობის პრეტენზია გაუჩნდა.

მსოფლიო რევოლუცია და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება ყველა ქვეყანაში კომუნისტური იდეოლოგიის ქვაკუთხედი იყო, მაგრამ 20-30-იან წლებში, შიდაპოლიტიკური სირთულეებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გამო, საბჭოთა კავშირს ამ იდეის განხორციელების არანაირი საშუალება არ ჰქონდა. მდგომარეობა მკვეთრად შეცვალა მეორე მსოფლიო ომმა. როგორც ნაპოლეონზე გამარჯვებამ რუსეთში გააჩინა რწმენა, რომ რუსეთს არაფერი სჭირს ევროპასთან სახვეწარი და თავისი ძალით ის მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი ლიდერია, ისე მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება იქცა ახალი მესიანიზმის საფუძვლად. ეს დაახლოებით ასეთნაირად გამოიხატებოდა: საბჭოთა კავშირმა გაათავისუფლა მსოფლიო ფაშიზმისაგან და ამით საკუთარ თავზე აიღო დიადი განმათავისუფლებელი მისია. ახლა დღის წესრიგშია მსოფლიოს მშრომელთა განთავისუფლება კაპიტალიზმისაგან და საბჭოთა კავშირის მისიაა დაეხმაროს ნებისმიერი ქვეყნის მშრომელებს დაამხონ იმპერიალიზმისა და ბურჟუაზიის ბატონობა და შექმნან კომუნისტური სახელმწიფო.




ეს იდეა თითქმის უპრობლემოდ განხორციელდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებიც საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს გერმანელებისაგან, მაგრამ თვითონ გახდნენ ოკუპანტები და სწორედ ამ ფაქტმა უზრუნველყო იქ კომუნისტური რეჟიმების დამყარება. ამას დაემატა კომუნისტების გამარჯვება ჩინეთში, ჩრდილოეთ კორეასა და ჩრდილოეთ ვიეტნამში. ამრიგად, მსოფლიოს მეოთხედი საბჭოთა ჰეგემონობის ქვეშ აღმოჩნდა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე კომუნისტური იდეების და პირადად სტალინის დიდი პოპულარობა დანარჩენ მსოფლიოში. ყოველივე ეს კი აძლიერებდა რწმენას, რომ კომუნიზმი მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებდა, რაც რეალურად საბჭოთა კავშირის გლობალურ ჰეგემონობას ნიშნავდა.

ამგვარად, საბჭოთა გეოპოლიტიკური კოდი გულისხმობდა კომუნისტური (პროსაბჭოთა) რეჟიმების გაძლიერებას და მათი რიცხვის მატე-



ბას მსოფლიოს ყველა რეგიონში. ეს თავისთავად ნიშნავდა საბჭოთა გავლენის მუდმივ ზრდას გლობალური მასშტაბით. **კომუნიზმის ექსპანსია** იყო ის მთავარი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფდა საბჭოთა ჰეგემონობას. რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკური მიზნის (გასულიყო სამხრეთის თბილ ზღვებზე) იდეოლოგიური დასაბუთება იყო გაეთავისუფლებინა მართლმადიდებელი ძმები. ეს  გაცილებით მოკრძალებული იყო საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკური მიზნის (გამხდარიყო მსოფლიო ჰეგემონი) იდეოლოგიურ დასაბუთებასთან შედარებით – გაეთავისუფლებინა მსოფლიოს ექსპლუატირებული მშრომელი მასები.

ამრიგად, რომ შევაჯამოთ, რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკური კოდი, მიუხედავად მთელი მისი ამბიციურობისა, მაინც რეგიონული იყო. საბჭოთა გეოპოლიტიკური კოდი კი მთელ მსოფლიოს მოიცავდა და ამიტომ გლობალურ კოდს წარმოადგენდა.

ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს მსოფლიოს ყველა რეგიონში ერთნაირი ძალისხმევით შეეძლო თავისი მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლა. **მაკინდერის** მოდელის მიხედვით თუ გავაანალიზებთ, ცხადი გახდება, რომ **ჰართლანდი,** ანუ **შუაგული მიწა,** ულაპარაკოდ კომუნისტური სამყარო იყო და იქ დასავლეთის ქვეყნებს არაფერი ესაქმებოდათ. შესაბამისად, თუ რომელიმე სოციალისტურ ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმი შეირყეოდა, საბჭოთა კავშირი სამხედრო ძალით აღადგენდა წესრიგს (გდრ – 1953, უნგრეთი – 1956, ჩეხოსლოვაკია – 1968, პოლონეთი – 1980). **გარე ნახევარმთვარე** (ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკა, საჰარის სამხრეთი აფრიკა, პერიფერიული აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი, აგრეთვე დიდი ბრიტანეთი და იაპონია) დასავლეთის გავლენის არეალი იყო. რაც შეეხება **შიდა ნახევარმთვარეს, ანუ რიმლანდს** (ევროპა, ჩრდილოეთი აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, ინდოსტანი და ინდოჩინეთი), სწორედ ეს რეგიონი წარმოადგენდა დაპირისპირების მთავარ არეალს და ცივი ომის ყველა ძირითადი „ცხელი კონფლიქტი“ (კორეის ომი, ვიეტნამის ომი, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი) სწორედ რიმლანდში მოხდა.

უნდა ითქვას, რომ იყო გამონაკლისიც – კომუნისტური რეჟიმის დამყარება კუბაში და მისი გადაქცევა საბჭოთა კავშირის სატელიტად ნიშნავდა წონასწორობის დარღვევას. ასევე საბჭოთა კავშირმა ფეხი მოიკიდა ტროპიკული აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში. კომუნიზმის ექსპანსიისა და საბჭოთა კავშირის გავლენის არეალის ზრდის საფრთხე აშკარა იყო. მისთვის წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ ერთადერთ ქვეყანას – ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეძლო, რომელმაც აიღო კიდეც თავის თავზე ეს მისია.




***ფიდელ კასტრო და ნიკიტა ხრუშჩოვი, პროპაგანდისტული პლაკატი***



***აშშ პრეზიდენტი ჯეიმს მონრო, რომლის სახელთან არის  დაკავშირებული „მონროს დოქტრინა“***

### აშშ-ის გეოპოლიტიკური კოდი

აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპები ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20-იან წლებში ჩამოყალიბდა და ქვეყნის მაშინდელ პრეზიდენტ ჯეიმს მონროსთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მას **მონროს დოქტრინას** უწოდებენ. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ აშშ უარს ამბობდა ჩარეულიყო ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, მაგრამ ასევე არ დაუშვებდა ევროპის სახელმწიფოების ჩარევას ამერიკის კონტინენტის (ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოების) საქმეებში. ეს ცნობილი ფორმულით **„ამერიკა ამერიკელებისათვის“** გამოიხატებოდა, რაც რეალობაში ნიშნავდა: ამერიკის ორივე კონტინენტი (პირველ რიგში, ლათინური ამერიკა) ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის სფეროა და ევროპის

ქვეყნებს არაფერი ესაქმებათ ამ რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისევე, როგორც ამერიკას არ აინტერესებს, თუ რა ხდება ევროპაში.

აშშ-ის ეს პოლიტიკა **იზოლაციონიზმის** სახელითაა ცნობილი, რადგან იგი თითქმის ასი წლის განმავლობაში არ ჩარეულა ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში (რაც მსოფლიო პოლიტიკას განსაზღვრავდა) და იზოლირებული იყო საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მოვლენებისაგან.

მდგომარეობა შეიცვალა პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა დაარღვია საუკუნოვანი ტრადიცია და ამერიკა მსოფლიო ომში ჩააბა. მან ეს აუცილებლად მიიჩნია ანტანტის ქვეყნების გამარჯვებისთვის, რაც, მისი აზრით, უზრუნველყოფდა საყოველთაო მშვიდობის დამყარებას დედამიწაზე და სამართლიანი მსოფლიო წესრიგის შექმნას. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი ცნობილი 14 პუნქტი და ერთა ლიგის შექმნის იდეა, რომელსაც მსოფლიო მთავრობის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. აშშ-მა (ანტანტის ქვეყნებთან ერთად) ომში გაიმარჯვა და ერთა ლიგაც შეიქმნა, მაგრამ დასახული მიზნები უტოპიური აღმოჩნდა. თვით ამერიკის კონგრესმა არ დაუჭირა მხარი ქვეყნის ერთა ლიგაში გაწევრიანებას. უილსონის იდეალისტური გეგმები ჩაიშალა და აშშ ისევ იზოლაციონზმს დაუბრუნდა.

მეორე მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე ამერიკა ნეიტრალიტეტს იცავდა (თუმცა ფინანსურად და მორალურად მხარს უჭერდა გერმანიასთან დაპირისპირებულ ქვეყნებს). მაგრამ მას შემდეგ, რაც იაპონია თავს დაესხა მას, ამერიკა ომში ჩაება და უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა საბოლოო გამარჯვებაში. აშშ, სსრკ-თან და დიდ ბრიტანეთთან ერთად, იყო მთავარი არქიტექტორი ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობისა და ახალი საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბებისა.

ბევრი მიიჩნევდა, რომ ომის შემდეგ აშშ ტრადიციას არ უღალატებდა და კვლავ დაუბრუნდებოდა ჩვეულ იზოლაციონისტურ პოლიტიკას. შეიძლება ეს ასეც მომხდარიყო, რომ არა სრულიად ახალი გარემოებები.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ძალიან მალე ნათელი გახდა, რომ საბჭოთა კავშირს გაუჩნდა უზარმაზარი ამბიციები. ევროპის იმ ქვეყნებს, რომლებიც ფაშიზმისაგან წითელმა არმიამ გაათავისუფლა, საბჭოთა კავშირმა თავს მოახვია კომუნისტური რეჟიმი. ამით ისინი მოწყდნენ დანარჩენ ევროპას. ევროპა ორად გაყოფილი აღმოჩნდა და ჩერჩილის ხატოვანი გამოთქმით ბალტიიდან ადრიატიკამდე **რკინის ფარდა** ჩამოეშვა. მაგრამ საბჭოთა კავშირისათვის ეს საკმარისი არ იყო. მის ინტერესს მთელი მსოფლიო წარმოადგენდა და პირველ რიგში ევროპის ის სახელმწიფოები, რომლებიც „რკინის ფარდის" მიღმა დარჩნენ. განსაკუთრებული ყურადღება თურქეთისა და საბერძნეთის მიმართ იყო მიპყრობილი და რეალური გახდა საფრთხე, რომ ეს ქვეყნები საბჭოთა გავლენის სფეროში მოხვდებოდნენ.

ამ პირობებში საჭირო იყო ძალა, რომელიც საბჭოთა ექსპანსიას წინ აღუდგებოდა. ომის შედეგად დასუსტებულმა დიდმა ბრიტანეთმა (რომლის გავლენის სფეროდაც მოიაზრებოდა ევროპის ეს ნაწილი) 1947 წელს განუცხადა აშშ-ს, რომ იგი ვეღარ შეძლებდა თურქეთსა და საბერძნეთში ჯარების შენახვას. სწორედ ამ განცხადებას მოჰყვა **ტრუმენის დოქტრინა,** რომელიც ითვალისწინებდა თავისუფალი ხალხების დახმარებას გარე ზეწოლისა და გარედან ინსპირირებული შიდა არეულობების წინააღმდეგ. ერთი წლის შემდეგ აშშ-მ განახორციელა მრავალმილიარდიანი დახმარება ომისგან გაპარტახებული დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის



**(მარშალის გეგმა),** რამაც ფაქტობრივად გამორიცხა კომუნიზმის გამარჯვება ამ რეგიონში, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ აშშ-ის თაოსნობით შეიქმნა ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების კავშირი **(ნატო)** – სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომლის მიზანიც იყო ერთიანი თავდაცვითი და უსაფრთხოების სისტემის შექმნა დასავლური სამყაროსათვის და მისი დაცვა საბჭოთა (კომუნისტური) საფრთხისაგან.

ამგვარად, აშშ-მ გააცნობიერა და თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა, დაეცვა თავისუფალი სამყარო კომუნიზმის ექსპანსიისაგან და ეთამაშა მსოფლიო ლიდერის როლი, ყოფილიყო საბჭოთა-კომუნისტური ძალის პოლუსის საპირწონე პოლუსი. ეს ნიშნავდა მისი იზოლაციონისტური პოლიტიკის საბოლოო დასასრულს და ახალ როლს ბიპოლარულ საერთაშორისო სისტემაში.

ცივი ომის პერიოდის პირველ ეტაპზე აშშ-ის გლობალური გეოპოლიტიკური კოდი ცნობილია **„შეჩერების პოლიტიკის“** სახელით. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ არ დაეშვა კომუნიზმის ექსპანსია და, შესაბამისად, საბჭოთა გავლენის ზრდა იმ არეალის გარეთ, რომელიც უკვე კომუნისტური იყო. გეოპოლიტიკურ ლიტერატურაში ამ პოლიტიკას „ჰართლანდის ნეიტრალიზაციას“ უწოდებენ. შეჩერების პოლიტიკა გამოიხატებოდა ჰართლანდის (უფრო ფართოდ კი, მთელი სოციალისტური სამყაროს) გარშემორტყმით სამხედრო-პოლიტიკური ბლოკებით, რომლის წევრი სახელმწიფოებიც აშშ-ის ერთგული მოკავშირეები იქნებოდნენ. ამ ე.წ. შემაკავებელ ზღუდეს ქმნიდნენ **ნატო, სენტო, სეატო, აზპაკი, ანზიუსი** და სხვა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები, რომლებიც რკალად ერტყნენ სოციალისტურ ქვეყნებს და თავის თავზე იღებდნენ კომუნიზმის შეკავების ფუნქციას.

დროთა განმავლობაში აშკარა გახდა შეჩერების პოლიტიკის არაეფექტურობა. კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების შექმნამ, კოსმოსის ათვისებამ, სამხედრო ავიაციის პროგრესმა, წყალქვეშა ატომური ხომალდებისა და ავიამზიდების გამოჩენამ ყველას დაანახა, რომ შეჩერების პოლიტიკის დრო წავიდა. ერთი ხატოვანი გამოთქმით, შეჩერების პოლიტიკა იგივეა, დაკეტო იმ საჯინიბოს კარი, საიდანაც ცხენი უკვე გასულია.

60-იანი წლებიდან აშშ ცვლის ტაქტიკას და შეჩერების პოლიტიკის ნაცვლად მთავარი გეოპოლიტიკური კოდი ხდება ე.წ. **დაშინების პოლიტიკა**. ამ პოლიტიკის მიზანი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებს ბირთვული შეიარაღების ზრდით, ახალი სახეობის იარაღის წარმოებით და სამხედრო ინფრასტრუქტურის სრულყოფით



NATO

დაეშინებინა საბჭოთა კავშირი, მიეღწია სრული უპირატესობისათვის, რასაც საბოლოოდ შეიარაღებაში გამალებულ შეჯიბრში სსრკ-ის სრული დამარცხება უნდა მოჰყოლოდა.

ეს პოლიტიკა ბევრად უფრო ეფექტური გამოდგა. აშშ-ის ეკონომიკურმა აღმავლობამ და სსრკ-ის ეკონომიკურმა კრიზისმა (სადაც დიდი როლი ნავთობზე ფასების დაცემამ ითამაშა), საგრძნობმა სხვაობამ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კუთხით და ბოლოს გორბაჩოვის რეფორმების კრახმა, რასაც მოჰყვა კომუნისტური დიქტატურის დამხობა ჯერ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში, შემდეგ საბჭოთა კავშირში და ბოლოს ამ უკანასკნელის დაშლამ 15 დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მსოფლიო მიიყვანა ცივი ომის ლოგიკურ დასასრულამდე. ბიპოლარული სისტემა დაირღვა, რადგან ერთმა პოლუსმა სრული მარცხი განიცადა, მეორემ კი – ტრიუმფალური გამარჯვება. აშშ-ის, როგორც მსოფლიო ლიდერის პოზიციები კიდევ უფრო გამყარდა.

## ალტერნატიული გეოპოლიტიკური კოდები

ცივი ომის პერიოდში ბიპოლარულ საერთაშორისო სისტემაში, ბუნებრივია, რომ ორი მთავარი გლობალური გეოპოლიტიკური კოდი (აშშ-ის და სსრკ-ის) განსაზღვრავდა მსოფლიო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა გლობალური გეოპოლიტიკური კოდები არ არსებობდა. გლობალური გეოპოლიტიკური კოდი ჰქონდა დიდ ბრიტანეთს, 60-იანი წლებიდან ჩინეთსაც, თუმცა პირველი მათგანი მაინც აშშ-ის, ხოლო მეორე კი საბჭოთა კავშირის გლობალური გეოპოლიტიკური კოდების გაგრძელებად და დამატებად მოიაზრებოდა. მათ გარდა ჩამოყალიბდა განსხვავებული, ე.წ. ალტერნატიული გეოპოლიტიკური კოდები, რომლებსაც ახალი პოლუსების შექმნის პრეტენზია ჰქონდათ. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია დე გოლის და ნერუს ალტერნატიული გეოპოლიტიკური კოდები.

საფრანგეთის პრეზიდენტმა, გენერალმა **შარლ დე გოლმა** მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე გაიაზრა, რომ მოხდა საერთაშორისო სისტემის თვისებრივი ცვლილება. პირველად ისტორიაში ევროპამ დაკარგა მსოფლიო პოლიტიკის წარმმართველი ცენტრის როლი და ეს ფუნქცია აშშ-მ და სსრკ-მ (ორივე არაევროპული ქვეყანა) აიღეს. ევროპის ვერც ერთი ქვეყანა თავისი პოლიტიკური, სამხედრო თუ ეკონომიკური შესაძლებლობებით ახლოსაც ვერ მივიდოდა ამ ორ ზესახელმწიფოსთან (განსხვავებით ომამდელი პერიოდისაგან, რომ არაფერი ვთქვათ ისტორიის უფრო ადრინდელ ეტაპებზე) და მესამე პოლუსის როლს ვერ იტვირთავდა. მხოლოდ გაერთიანებულ ევროპას შეეძლო შეექმნა სსრკ-ისა და აშშ-ის ჰეგემონობის ალტერნატივა. დე გოლის მიზანიც ეს იყო: ჩამოეყალიბებინა გაერთიანებული ევროპა, თავისებური „ევროპის შეერთებული შტატები“, სადაც საფრანგეთი ჰეგემონი იქნებოდა. ეს უნდა მომხდარიყო დამარცხებულ გერმანიასთან (გფრ) და იტალიასთან, აგრეთვე ბენელუქსის ქვეყნებთან



(ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი) მეგობრული პოლიტიკური და მჭიდრო ეკონომიკური კავშირების საფუძველზე. ამასთანავე, დე გოლი გამორიცხავდა ევროპულ კავშირში დიდი ბრიტანეთის ყოფნას, მიიჩნევდა რა მას არაევროპულ ქვეყნად და ამერიკელების „ტროას ცხენად“ ევროპულ ოჯახში.

გაერთიანებული ევროპის შექმნაც ამ ექვსი ქვეყნის მიერ შექმნილ „ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების“ ჩამოყალიბებით დაიწყო (1951), რაც მოგვიანებით (1957) ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობად (საერთო ბაზარი) გარდაიქმნა. დე გოლის გარდაცვალების შემდეგ შესაძლებელი გახდა ამ გაერთიანებაში ჯერ დიდი ბრიტანეთის, დანიის და ირლანდიის (1973), ხოლო შემდეგ საბერძნეთის (1980), ესპანეთის და პორტუგალიის (1985) მიღება.

მიუხედავად დე გოლის გეოპოლიტიკური კოდის გარკვეული წარმატებებისა, ცივი ომის პერიოდში მაინც არ მოხდა ევროპის ჩამოყალიბება მესამე პოლუსად  და ის აშშ-სთან ერთად ბიპოლარული სისტემის ორიდან ერთ პოლუსად დარჩა. ევროპის, როგორც ცალკე ძალის პოლუსზე ლაპარაკი მხოლოდ ცივი ომის შემდგომი პერიოდიდან შეიძლება, როცა ეკონომიკური გაერთიანება პოლიტიკურად იქცა და ევროკავშირის  სახით ევროპის 28 ქვეყანა გააერთიანა.

მეორე ალტერნატიულ გლობალურ გეოპოლიტიკურ კოდად უნდა მივიჩნიოთ ინდოეთის პრემიერ-მინისტრ **ჯავაჰარლალ ნერუს** თაოსნობით ჩამოყალიბებული ე.წ. **მიუმხრობლობის მოძრაობა,** სადაც ინდოეთს წამყვანი ქვეყნის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. 1955 წელს ინდონეზიის ქალაქ ბანდუნგში გამართულ შეხვედრაზე  28 სახელმწიფოს ლიდერებმა გამოაცხადეს, რომ მათი სახელმწიფოები უარს ამბობდნენ ნებისმიერ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში გაწევრიანებაზე და დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირებაში არც ერთ მათგანს არ დაუჭერდნენ მხარს. ეს არ იყო ნეიტრალიტეტის გამოცხადება. მიუმხრობლობის მოძრაობის წევრები სრულიადაც არ ამბობდნენ უარს ომზე, როგორც მიზნის მიღწევის საშუალებაზე (მაგ., ანტიიმპერიალისტურ და განმათავისუფლებელ ომებზე); ამასთანავე, ამ მოძრაობის წევრი გახდა ზოგიერთი კომუნისტური ქვეყანაც (იუგოსლავია, კუბა). ასე რომ, მიუმხრობლობა ფაქტობრივად ბლოკებში გაუწევრიანებლობაზე დავიდა. ამიტომ იყო, რომ 80-იანი წლების შუა ხანებში მიუმხრობლობის მოძრაობის წევრ სახელმწიფოთა რაოდენობამ 120-ს გადააჭარბა და განვითარებადი ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობას აერთიანებდა. არც ნერუს გეოპოლიტიკური კოდის განხორციელებით ჩამოყალიბდა ძალის ახალი, მესამე პოლუსი, მაგრამ მანამდე არსებული **ხისტი ბიპოლარული** სისტემა ნამდვილად შეიცვალა **რბილი ბიპოლარული** სისტემით, სადაც სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა ძალის ორ მთავარ პოლუსს მიღმა აღმოჩნდა.  თუმცა ცივი ომის დამთავრებისთანავე ბიპოლარული სისტემა წარსულს ჩაბარდა და მიუმხრობლობის მოძრაობამაც აზრი დაკარგა.



## რა ხდება ცივი ომის შემდეგ?

ცივი ომის დამთავრება და ბიპოლარული სისტემის შეცვლა ახალი საერთაშორისო სისტემით ომების შედეგად არ მომხდარა. ამით დღევანდელი სისტემა განსხვავდება ყველა ადრე არსებული საერთაშორისო სისტემისაგან, რომელთა ჩამოყალიბება ფართომასშტაბიანი ომებისა და შემდეგ სამშვიდობო კონფერენციების გადაწყვეტილებების საფუძველზე ხდებოდა. ამ მიზეზის გამო ცივი ომის შემდგომი გეოპოლიტიკური ტრანზიცია დროში გაიწელა და ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი ჯერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის. მთელი რიგი ქვეყნების ადგილი თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში და მათი კუთვნილება რომელიმე ძალის პოლუსთან ისევ გაურკვეველია (მათ შორის საქართველოსიც). მეტიც, სადავოა ისიც კი, თუ რა ტიპის საერთაშორისო სისტემაა დღევანდელ მსოფლიოში.

90-იან წლებში ბევრი მიიჩნევდა, რომ ბიპოლარული სისტემა ჩაანაცვლა **უნიპოლარულმა,** ანუ ერთპოლუსიანმა სისტემამ და ძალის ერთადერთ პოლუსად ამერიკის შეერთებული შტატები დარჩა. სხვები მიიჩნევდნენ, რომ დადგა საყოველთაო მშვიდობისა და ლიბერალური დემოკრატიის საბოლოო გამარჯვების ეპოქა. შესაბამისად, ძლიერი სახელმწიფოების ნაცვლად მსოფლიო პოლიტიკის წარმმართველი ძალა საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო მორალი გახდა და დამკვიდრდა ე.წ. **უნივერსალური** საერთაშორისო სისტემის ტიპი.

უმრავლესობას მაინც მიაჩნია, რომ დღევანდელი საერთაშორისო სისტემა **მულტიპოლარულია**, სადაც ძალის პოლუსებს წარმოადგენენ აშშ, ევროკავშირი, რუსეთი, ჩინეთი, იაპონია და ბევრის აზრით – ინდოეთიც. ზოგიერთი მხარს უჭერს ამერიკელი მეცნიერის სამუელ ჰანტინგტონის მოსაზრებას, რომ XXI საუკუნე ცივილიზაციათა შეჯახების საუკუნეა და ამიტომ ძალთა პოლუსებად მოიაზრება დასავლური, მართლმადიდებლური, ისლამური, ინდუისტური, კონფუციანური, იაპონური, ბუდისტური, აფრიკული და ლათინოამერიკული ცივილიზაციები. ნეომარქსისტები მიიჩნევენ, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემა კვლავ **ბიპოლარულია.** უბრალოდ, დაპირისპირება **დასავლეთი-აღმოსავლეთი** შეიცვალა დაპირისპირებით **ჩრდილოეთი-სამხრეთი,** ანუ **ცენტრი-პერიფერია,** სადაც ერთმანეთს უპირისპირდება მდიდარი ჩრდილოეთი (განვითარებული სამყარო) და ღარიბი სამხრეთი (განვითარებადი ქვეყნები).

მაგრამ დღეს, გლობალიზაციის ერაში, სულ უფრო მეტი მომხრე ჰყავს მოსაზრებას, რომ ქვეყნები და ხალხები იმდენად მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ეკონომიკურად და კულტურულად, იმდენად შესუსტდა სახელმწიფოების სამხედრო და პოლიტიკური ფაქტორების როლი, რომ საერთაშორისო სისტემაში ძალის პოლუსებზე ლაპარაკმა აზრი დაკარგა. ყალიბდება ერთიანი, გლობალური საზოგადოება, რომლის მთავარი მიზანი კეთილდღეობა და ეკონომიკური აღმავლობაა. ასეთ საზოგადოებაში კი გეოპოლიტიკის ადგილი აღარ არის და მას **გეოეკონომიკა** ცვლის.





# კლემენს ფონ მეტერნიხი

*თორნიკე შარაშენიძე*




1815 წლიდან 1848 წლამდე მთელ ევროპას თავის ჭკუაზე ატრიალებდა ერთი ადამიანი.

ვინ უნდა ყოფილიყო ეს?

წესით – რუსეთის იმპერატორი. რუსეთმა ხომ თვით ნაპოლეონი დაამარცხა, მას ყველაზე დიდი ჯარი ჰყავდა და ყველაზე დიდ ტერიტორიას აკონტროლებდა.

ან, შეიძლება, – ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი. ბრიტანეთი ხომ უმდიდრესი სახელმწიფო იყო, ჰყავდა უძლიერესი ფლოტი და უამრავ კოლონიას აკონტროლებდა.

არც ერთი და არც მეორე! ეს ადამიანი გახლდათ ავსტრიის იმპერიის კანცლერი კლემენს მეტერნიხი.

რისი წყალობით? რითი გამოირჩეოდა მაშინდელი ავსტრიის იმპერია? – არც არაფრით. მისი ჯარი არც ისე ძლიერი იყო – თავის დროზე იგი ნაპოლეონთან ოთხ ომში დამარცხდა. მისი ფლოტი საერთოდ სათვალავში არ იყო ჩასაგდები და არც დიდი სიმდიდრე ჰქონდა. უფრო მეტიც, ამ იმპერიას ერთი დიდი პრობლემა ჰქონდა: მის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ გერმანელები, უნგრელები, ჩეხები, სლოვაკები, რუმინელები, იტალიელები, პოლონელები, ხორვატები, უკრაინელები... ადრე თუ გვიან ყველა მათგანს ალბათ საკუთარი სახელმწიფო მოუნდებოდა და იმპერიასაც დანგრევის საფრთხე დაემუქრებოდა.

მეტერნიხის უკან არ იდგა არც ჯარი, არც დიდი ფული, არც არაფერი...

### მსოფლმხედველობა

ავსტრიის იმპერიის მომავალი კანცლერი დაიბადა 1773 წელს დიპლომატის ოჯახში. მან კარგი განათლება მიიღო. მამის პროფესიის წყალობით ადრეული ასაკიდანვე ტრიალებდა მიღებებზე და ესაუბრებოდა დიპლომატებს, მინისტრებსა და მონარქებს. მეტერნიხი რეალურად იზრდებოდა არა ავსტრიელად, არამედ ევროპელად. გერმანულზე უკეთ იგი ფრანგულს – მაშინდელ საერთაშორისო ურთიერთობების ენას – ფლობდა.

მისი ევროპელობა იმაშიც გამოიხატებოდა, რომ უნივერსიტეტში სწავლისას ერთი რალაც დაასკვნა: სამყარო ბალანსსა და წონასწორობაზე იდგა – პლანეტები ერთმანეთს აწონასწორებდნენ, სინათლეს სიბნელე ცვლიდა, სითბოს – სიცივე... ბალანსი და წონასწორობა ბუნებრივი მდგომარეობა იყო და ასეთივე მდგომარეობას უნდა დაფუძნებოდა პოლიტიკური სისტემაც. ევროპაში ბალანსი და წონასწორობა უნდა ყოფილიყო – არც ერთ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონოდა ისეთი ძალა, რომ სხვები დაემორჩილებინა, რამდენიმე ძლიერ სახელმწიფოს ერთმანეთთან შეთანხმებით უნდა ემოქმედა – მხოლოდ ასე თუ მოხერხდებოდა მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება და შენარჩუნება.

მეტერნიხი ოცი წლისაც არ იყო, როცა საკუთარი თვალით იხილა საფრანგეთის რევოლუციის ბნელი მხარეები: არისტოკრატთა დაუნდობელი დევნა, პოლიტიკური ტერორი, ათასობით უდანაშაულო ადამიანის ხოცვა. ამ გამოცდილებამ იგი საბოლოოდ აქცია ყველანაირი რევოლუციის მოწინააღმდეგედ.

მეტერნიხის მსოფლმხედველობასა და ფასეულობებს თუ გავითვალისწინებთ, ახალგაზრდა დიპლომატის კარიერა ისე დაიწყო, რომ უარესის წარმოდგენა არც კი შეიძლებოდა: საფრანგეთმა მოიგერია სხვა სახელმწიფოთა შეტევები, რომლებიც რევოლუციის ჩახშობას ცდილობდნენ; ამის შემდეგ ასპარეზზე გამოვიდა ნაპოლეონი, რომელმაც ავსტრია ორჯერ დაამარცხა და განდევნა იტალიიდან, შემოიერთა პატარა მეზობელი ქვეყნები, შემდეგ ისევ დაამარცხა ავსტრია და წაართვა ტერიტორიები, ასევე დაამარცხა რუსეთი...



*კლემენს მეტერნიხი (1840)*

## დუელი ნაპოლეონთან

მეტერნიხი ამ დროს უკვე ბერლინში (პრუსიის დედაქალაქში) ელჩად იყო გამწესებული. საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის მიმართ თავისი დამოკიდებულების მიუხედავად, მან იქ ფრანგებს ისე მოაწონა თავი, რომ ნაპოლეონმა ავსტრიელებს მისი საფრანგეთში ელჩად გაგზავნა სთხოვა. ცხადია, ნაპოლეონის „თხოვნა“ სასწრაფოდ შესრულდა და სულ რაღაც 32 წლის დიპლომატი პარიზში აღმოჩნდა. ბერლინიდან მეტერნიხის წასვლიდან მალევე ნაპოლეონმა პრუსია გაანადგურა, შემდეგ რუსეთი კიდევ ერთხელ დაამარცხა და მასთან სამოკავშირეო ხელშეკრულება გააფორმა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ევროპა განწირული იყო. მაგრამ მალე ნაპოლეონმა ესპანეთის დაკავება გადაწყვიტა, სადაც, მისდა გასაოცრად, სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. მეტერნიხსა და მის თანამოაზრეებს იმედი მიეცათ და ავსტრიის იმპერია საფრანგეთზე რევანშისათვის მზადებას შეუდგა. მეტერნიხი დაუახლოვდა საფრანგეთის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს, ლეგენდარულ დიპლომატ ტალეირანს და მისგან ფრანგულ ჯარში არსებული ვითარების შესახებ ძვირფასი ინფორმაცია მიიღო (გასამრჯელოს სანაცვლოდ). ტალეირანისავე დახმარებით ავსტრიელებმა მოახერხეს დაერწმუნებინათ რუსეთი, რომ მომავალ ომში საფრანგეთს არ დახმარებოდა. დაიწყო ავსტრიის იმპერიის რიგით მეოთხე ომი ნაპოლეონთან. თავიდან ყველაფერი კარგად მისდიოდათ და ერთ ბრძოლაში ნაპოლეონი უკუაქციეს კიდეც, მაგრამ საბოლოოდ მსოფლიოს უძლიერეს ჯართან და უდიდეს სარდალთან გამარჯვება მათ მაინც არ ეწერათ. 1809 წელს ავსტრია ისევ დამარცხდა.

მეტერნიხი შიშობდა, რომ ნაპოლეონი ამდენს





*ჩარლზ მორის ტალეირანი (1754-1838)*
*ავტორი: ბარონ ფრანსუა ჟერარდი*



*იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტი (1812)*
*ავტორი: ჟაკ-ლუი დავიდი*

აღარ მოითმენდა და ავსტრიის იმპერიას რუკიდან საერთოდ გააქრობდა, მაგრამ მალე გამოსავალი იპოვა. ნაპოლეონს სურდა ევროპის რომელიმე დიდი სამეფო დინასტიის პრინცესაზე ექორწინა და ამგვარად თავისი პოზიციები და ლეგიტიმურობა გაემყარებინა. მეტერნიხმა სასწრაფოდ შესთავაზა მას ავსტრიის პრინცესა. ქორწინება შედგა, ავსტრიის იმპერია გადარჩა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ამის მერე მეტერნიხი ნაპოლეონის ბრმა მიმდევრად იქცა. როცა საფრანგეთის მოუსვენარი იმპერატორი რუსეთს დაესხა თავს, ავსტრიაც იძულებული გახდა ფრანგების მხარეს ომში ჩაბმულიყო, მაგრამ მეტერნიხი რუსებს წინასწარ დაუკავშირდა და შეატყობინა, რომ ავსტრია მათ მხოლოდ ფორმალურად, ნაპოლეონის დასანახად შეუტევდა და დიდ პრობლემებს არ შეუქმნიდა (იმ დროს მეტერნიხი უკვე ავსტრიის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო).

ეს ნაბიჯი არ ნიშნავდა, რომ მეტერნიხი ფრანგებისა და მათი იმპერატორის სიძულვილით იყო დაბრმავებული. როცა რუსეთში ნაპოლეონის მარცხის შესახებ შეიტყო, იგი დიდად აღტაცებული არ დარჩენილა. ნაპოლეონი ევროპისათვის კი დიდ პრობლემას წარმოადგენდა, მაგრამ ახლა ჩნდებოდა საფრთხე, რომ მისი დამარცხების შემდეგ ევროპაში ნახევრად ბარბაროსი რუსები გაბატონდებოდნენ. ამიტომაც იგი სასწრაფოდ შეხვდა ნაპოლეონს და ურჩია დაპყრობების ნაწილი დაეთმო, სანაცვლოდ კი ჰპირდებოდა, რომ რუსებსა და მათ მოკავშირე პრუსიელებს შეაჩერებდა. შედეგად, საფრანგეთი კვლავაც ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ დარჩებოდა, რუსეთს კი დასავლეთ ევროპის საზღვრებთან შეაკავებდნენ. ნაპოლეონმა მეტერნიხს არ დაუჯერა და ამით ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა დაუშვა. ავსტრია იძულებული გახდა საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმულიყო რუსების, პრუსიელებისა და ბრიტანელების მხარდამხარ, რაც, ლოგიკურად, ნაპოლეონის დამარცხებით დასრულდა. 1815 წელს ფრანგების იმპერატორი წმინდა ელენას კუნძულზე გაასახლეს და ევროპა ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდა.



*ნაპოლეონის გამგზავრება წმ. ელენეს კუნძულზე (1815)*

## ევროპის მასწავლებელი

ნაპოლეონის დამარცხება და ავსტრიის იმპერიის ძველ საზღვრებში აღდგენა (და გაფართოებაც) უკვე დიდი მიღწევა იყო, მაგრამ მეტერნიხი სხვებზე უფრო შორს იყურებოდა და ხვდებოდა, რომ მის ქვეყანას წინ ბევრი გამოწვევა ელოდა. ნაპოლეონის მმართველობამ ევროპის ხალხებს ახალი პერსპექტივები დაანახა. ხალხები ითხოვდნენ კონსტიტუციასა და ძირეულ უფლებებს. ერები დამოუკიდებლობაზე ფიქრს იწყებდნენ. ყველაზე დიდი ხიფათი იმპერიას თავისი იტალიური სამფლობელოებიდან ელოდა, რადგან ნაპოლეონმა იტალიელები გააერთიანა და ამგვარად მათ ეროვნული თვითშეგნება გაუღვიძა (მიუხედავად იმისა, რომ იტალია საფრანგეთს დაუქვემდებარა). დროთა განმავლობაში მეტი უფლებები და მეტი თავისუფლება, ალბათ, ავსტრიის იმპერიაში შემავალ ყველა ერს მოუნდებოდა. ეს ერთი დიდი პრობლემა იყო. მეორე დიდი პრობლემა კი იყო რუსეთი, რომელიც ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ევროპის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. თუკი რუსები ევროპაში ვინმეს (თუნდაც ავსტრიის) ტერიტორიების მიტაცებას მოინდომებდნენ, მათ ხელს ვერავინ შეუშლიდა.

მიუხედავად ამისა, ავსტრიას ერთი უპირატესობა ჰქონდა და ეს სწორედ მეტერნიხი იყო, რომელიც ამასობაში ევროპის უძლიერეს დიპლომატად ჩამოყალიბდა და ბადალი აღარ ჰყავდა (მით უფრო, რომ საქმეს ჩამოშორდა ტალეირანი). როცა სახელმწიფო სუსტია, ეს სისუსტე მისმა დიპლომატებმა უნდა დამალონ; როცა სახელმწიფოს დახმარება და დაცვა სჭირდება, მისმა დიპლომატებმა დახმარება ისე უნდა ითხოვონ, რომ ეს სხვებისათვის მათი მხრიდან დახმარების გაწევად კი არ ჩანდეს, არამედ საკუთარ თავზე ზრუნვად.

მეტერნიხმა სწორედ ასეთი რამ მოიფიქრა.



***ბასტილიის აღება***



***კლემენს ფონ მეტერნიხი (1815)***
***მინიატურის ავტორი: იოზეფ აინსლე***

მან ევროპელ კოლეგებს შეახსენა „რამდენი უბედურება მოიტანა“ საფრანგეთის რევოლუციამ და ნაპოლეონმა და განაცხადა, რომ ყველა სახელმწიფო მოღვაწისა და დიპლომატის ვალი იყო აღარ დაეშვათ, რომ მსგავსი რამ განმეორებულიყო. სამისოდ კი საჭირო იყო, რომ ევროპა დაეცვათ ახალი რევოლუციებისგან, ევროპაში დაეცვათ არსებული მონარქიები და რეჟიმები, შეენარჩუნებინათ სახელმწიფოები არსებულ საზღვრებში. მხოლოდ ამ პირობების დაცვით შენარჩუნდებოდა კონტინენტზე მშვიდობა.

საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის აჩრდილი მთელ ევროპას ისე აშინებდა, რომ მეტერნიხს ყველა დაეთანხმა. ყველა შეთანხმდა იმაზე, რომ თუკი სადმე რევოლუციის მაგვარი იფეთქებდა, მაშინვე უნდა ჩაეკლათ (რევოლუციები კი, თუკი რომელიმე სახელმწიფოს ემუქრებოდა, ეს სწორედ ავსტრია იყო).

სიტყვა მალე საქმედ იქცა და ჩამოყალიბდა ე.წ. წმინდა ალიანსი, რომელსაც ევროპული მონარქიები უნდა დაეცვა. ალიანსში შევიდა ყველა (თვით საფრანგეთიც კი) ტრადიციულად იზოლაციონისტური ბრიტანეთის გარდა, თუმცა ალიანსის მიზნებს ამ უკანასკნელმაც დაუჭირა მხარი. ასე მიიღო მეტერნიხის ავსტრიამ მთელი ევროპისგან დახმარება, ოღონდ ისე, რომ ევროპაში ამას ძალიან ცოტა თუ ხვდებოდა. ასე შეკრა მეტერნიხმა ახალი ევროპული სისტემა. მან მრავალეროვნული ევროპისათვის ისეთივე მოდელი მოიგონა, რომელიც იყო მრავალეროვნული ავსტრიის იმპერიაში – ერთიანი ფასეულობები და მიზნები, ამის შედეგად კი – მშვიდობა და სტაბილურობა.

## წმინდა ალიანსის წევრები



*რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I*



*პრუსიის იმპერატორი ვილჰელმ III*



*ავსტრიის იმპერატორი კაიზერ ფრანც I*

ცხადია, არც ამის განხორციელება იყო იოლი, რადგან მეტერნიხს ნაპოლეონზე არანაკლებ სერიოზულ პრობლემასთან უწევდა გამკლავება რუსეთის იმპერატორ ალექსანდრეს სახით. ეს რუსეთის კვალობაზე მეტად პროგრესული სახელმწიფო მოღვაწე იყო, რომელიც თავის იმპერიაში კონსტიტუციის შემოღებაზეც კი ოცნებობდა და, ზოგადად, თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეებს სიმპათიით უყურებდა. მეტერნიხი მიხვდა, რომ წმინდა ალიანსის თავის ჭკუაზე სამართავად როგორმე რუსეთის იმპერატორი უნდა გაეკონტროლებინა, რათა მას რომელიღაც რევოლუციის მისამართით სიმპათია არ გასჩენოდა. დიპლომატი საქმეს შეუდგა. იგი ლამის ყოველდღე სწერდა წერილებს ალექსანდრეს, რომელშიც არწმუნებდა, რომ სხვადასხვა „საიდუმლო ორგანიზაციები," „მასონები" და კიდევ ათასგვარი შეთქმულები ჩუმად გეგმავდნენ ევროპაში არსებული წესრიგის დამხობას. დამხობისათვის მათ, ცხადია, დიდი არეულობები სჭირდებოდათ და საამისოდ ისინი აპირებდნენ დემოკრატიული იდეების ნიღბით დაერაზმათ ხალხები და რევოლუციები მოეწყოთ...

შეთქმულების ამ თეორიებს ალბათ არც ერთი განათლებული ევროპელი არ დაიჯერებდა, მაგრამ რუსეთის იმპერატორი ნაპოლეონზე გამარჯვების შემდეგ რელიგიასა და მისტიციზმში იყო გადავარდნილი (იგი ამ გამარჯვებას ღმერთის ჩარევით ხსნიდა). მეტერნიხმა ეს კარგად იცოდა და დარტყმაც სწორედ აქეთ მიმართა. როცა ევროპაში რაიმე რევოლუციური მოძრაობა იწყებოდა (როგორც წესი, მხოლოდ კონსტიტუციის მოთხოვნით) მეტერნიხი ალექსანდრეს თავის წერილებს შეახსენებდა და რუსეთის იმპერატორიც იქამდე მიდიოდა, რომ ავსტრიის აწ უკვე კანცლერს ბოდიშებს უხდიდა ოდესღაც დემოკრატიის იდეებით თავისი გატაცების გამო. წმინდა ალიანსი რევოლუციებს ახშობდა და ამით ავსტრიას სიცოცხლეს უხანგრძლივებდა. მეტერნიხს აქტიურად უჭერდა მხარს ბრიტანეთიც, რომელსაც ავსტრიის იმპერია ევროპაში მშვიდობისა და ბალანსის ერთ-ერთ გარანტად ესახებოდა.

ასე იცხოვრა ევროპამ 1848 წლამდე. რევოლუციებსა და გამოსვლებს სასტიკად ახშობდნენ. წმინდა ალიანსი ებრძოდა პროგრესს და ამით მხოლოდ ერთ საქმეს – ავსტრიის იმპერიის გადარჩენას – ემსახურებოდა. ეს იყო ნამდვილი დიპლომატიური სასწაული. მაგრამ საბოლოოდ ყველა სასწაულს აქვს ბოლო, პროგრესს კი ვერაფერი შეაჩერებს.

1848 წელს მთელ ევროპას რევოლუციების ისეთმა ტალღამ გადაუარა, რომ მონარქები გონს მოსვლას ვერ ასწრებდნენ. წმინდა ალიანსი უძლური იყო რაიმე მოემოქმედებინა. თავად ავსტრიაში ათასობით მოქალაქე გამოვიდა ქუჩაში სიტყვის თავისუფლებისა და სხვა ძირეული უფლებების მოთხოვნით. უკვე მოხუცებული მეტერნიხი გადადგა და ლონდონში გაიქცა. მისი იმპერია განწირული ჩანდა – დამოუკიდებლობა გამოაცხადეს უნგრელებმა, დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს მისმა იტალიურმა სამფლობელოებმა.

მაგრამ უდიდესი დიპლომატის მიერ შექმნილმა სისტემამ მის არყოფნაშიც იმუშავა. უნგრელების დამარცხებაში ავსტრიელებს რუსები დაეხ-



*პრინც კლემენს ფონ მეტერნიხის პორტრეტი (1825)*
*ავტორი: ტომას ლოურენსი (1769 -1830)*

მარნენ, რომელთაც კვლავაც აშინებდათ რევოლუციის აჩრდილები. იტალიელებს კი იმპერია დამოუკიდებლად გაუმკლავდა. ავსტრია გადარჩა, რევოლუციები თითქმის ყველგან დამარცხდა, მეტერნიხიც მალე დაბრუნდა სამშობლოში და 1859 წელს გარდაიცვალა. მისმა იმპერიამ კი, რომელიც უკვე 1815 წელს ჩანდა განწირული, 1918 წლამდე იარსება. მან გაუძლო სიტყვის თავისუფლებასაც, იტალიური სამფლობელოების დაკარგვასაც და იტალიის გაერთიანებასაც. მხოლოდ პირველ მსოფლიო ომს ველარ გაუძლო.

მეტერნიხი ისტორიაში შევიდა, როგორც უდიდესი დიპლომატი, მაგრამ ამავე დროს – როგორც სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ებრძოდა პროგრესს. ებრძოდა ყველაფერს, რაც საფრთხეს უქმნიდა მის ქვეყანას – კარგსაც და ცუდსაც.

მაგრამ ამის გარდა ნაპოლეონი და მეტერნიხი ის ადამიანები არიან, რომლებმაც თავიანთი იდეებით ერთიან ევროპას ჩაუყარეს საფუძველი. ნაპოლეონი ევროპას იპყრობდა და გეგმაში ჰქონდა ერთიანი ვალუტის შექმნა და ერთიანი კანონების შემოღება (მაგრამ რახან ამას ძალით აკეთებდა, ევროპისათვის მისი იდეები მიუღებელი იყო). მეტერნიხს კი სურდა ევროპაში ერთიანი თამაშის წესები, ერთიანი ფასეულობები დაემკვიდრებინა. არც მას გამოუვიდა ბოლომდე, რადგან მისი ფასეულობები საბოლოოდ პროგრესს ეწინააღმდეგებოდა, თუმცა ნაპოლეონზე მეტ ხანს კი შეძლო ევროპა თავის ჭკუაზე ეტრიალებინა. ეს იმიტომ, რომ ძალაზე უკეთ ყოველთვის ჭკუა მუშაობს, მეტერნიხი კი სწორედ ამის მაგალითია.






*ავსტრია-უნგრეთის იმპერია 1914-1915 წწ.*

*იმპერია აერთიანებდა:*
*გერმანელებს*
*პოლონელებს*
*ხორვატებს*
*ჩეხებს*
*სერბებს*
*იტალიელებს*
*მალარუსებს*
*მადიარებს*
*სლოვაკებს და*
*სლოვენიელებს*

# დიდი კედლიდან „MADE IN CHINA“-მდე



ჩინეთი, ანუ, როგორც ჩინელები უწოდებენ თავიანთ ქვეყანას, „შუა სამეფო“ არის მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაცია, უძველესი კულტურის, ჩაის და აბრეშუმის სამშობლო, რომელიც ამაყობს 5000-წლიანი ისტორიით, ულამაზესი დამწერლობით, უგემრიელესი სამზარეულოთი, მედიცინით, საბრძოლო ხელოვნებით; ქვეყანა, რომლის დამსახურებაცაა ისეთი გამოგონებები, რომელთა გარეშეც დღეს წარმოუდგენელია ცხოვრება.



ჩინელებს საკუთარ წარსულზე არაერთი ლეგენდა აქვთ, მათ შორის ყველაზე ცნობილი მითი ფანკუს შესახებ აღწერს ძველი ჩინელების წარმოდგენას სამყაროსა და ჩინეთის შექმნაზე.



**ლეგენდის მიხედვით,** ფანკუ არის პირველი მგრძნობიარე არსება და შემოქმედი. თავდაპირველად სამყაროში სუფევდა უფორმო ქაოსი. ამ ქაოსში 18000 წლის მანძილზე კვერცხში ეძინა ფანკუს. როდესაც ინი და იანი სამყაროში დაბალანსდა, ფანკუმ გამოიღვიძა. დააცილა ისინი ერთმანეთს, ინი გადაიქცა დედამიწად, ხოლო იანი – ცად. ფანკუ მათ შორის მოექცა და ცას აკავებდა. 18000 წლის შემდეგ ფანკუ გარდაიცვალა – მისი ამონასუნთქი ნიავად იქცა, ხმა – ჭექა-ქუხილად, მარცხენა თვალი – მზედ, მარჯვენა – მთვარედ, ხოლო თმა და წვერ-ულვაში – ცაზე გაბნეულ ვარსკვლავებად. მისი ხმა გახდა სამყაროს ოთხი პოლუსი, ტანი ხუთ წმინდა მწვერვალად ამოიზარდა, სისხლი – აქაფებულ მდინარეებ მოგვევლინა, ძარღვები – გზებად და ბილიკებად, კუნთები – სახნავ მიწებად, ნაყოფიერ ნიადაგად, ხოლო კბილები, ძვლები და ძვლის ტვინი თეთრ იასპად, მწვანე ნეფრიტად და სხვა ძვირფას ქვებად იქცა. ბალანი, რომელიც ფანკუს ტანს უფარავდა, უღრან ტყეებად და გაუვალ ბარდებად გარდაიქმნა, მისი ოფლი – კეთილშობილ წვიმად, ის პატარა არსებები კი, რომლებიც ფანკუს ტანზე დაცოცავდნენ, ადამიანებად იქცნენ. ასე გვევლინება ფანკუ სამყაროს შემქმნელად.

პირველი რეალური ცნობები ჩინეთის შესახებ კი ძვ.წ XXI საუკუნით თარიღდება. ამ დროს იმ ტერიტორიას, რომელსაც დღეს ჩინეთს ვუწოდებთ, სიას დინასტია მართავდა. სამწუხაროდ, ამ დინასტიის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, ისტორიკოსთა ნაწილს ისიც, ფანკუს მსგავსად, მითი ეგონა, თუმცა არქეოლოგიურმა გათხრებმა საპირისპირო დაამტკიცა. მეტიც, ერთ-ერთი გათხრების დროს გამოვლინდა, რომ ვინმე ი ტიმ და ტუ კანმა ამ პერიოდში პირველი ალკოჰოლური სასმელიც კი შექმნეს, რომელმაც შემდეგი დინასტიის დროს (ძვ.წ. XVIII საუკუნეში) უკვე ლუ-დის სახე მიიღო (ცნობისათვის, ევროპაში ლუდი XII საუკუნეში გამოჩნდა).

ძვ.წ 1750 წლიდან ჩნდება შანის დინასტია, რომელმაც ჩინეთი იმ დროის ყველაზე განვითარებულ ბრინჯაოს ცივილიზაციად აქცია. ამ დროს გამოჩნდა ჩინეთში ფაიფურიც და ჩინეთის უნიკალურ, იეროგლიფურ დამწერლობასაც ამ დროს ჩაეყარა საფუძველი.



ჩინური იეროგლიფური დამწერლობა ერთ-ერთი უძველესი დამწერლობაა მსოფლიოში. ისტორიული ცნობების მიხედვით ვიცით, რომ ის შეიქმნა შანის დინასტიის დროს. თავდაპირველად კუს ბაკანზე წერდნენ – ამ ტიპის ნაწერებს ძიაკუვენი ეწოდებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩინური დამწერლობა არის იეროგლიფური, თითოეული იეროგლიფური ნიშანი შეესაბამება სიტყვას ან მარცვალს. იეროგლიფების საერთო რაოდენობა ჩინურ ენაში შეადგენს 60-70 ათასზე მეტს, პრაქტიკულად კი გამოიყენება 5-8 ათასი ნიშანი.




შანის დინასტია ძვ.წ 1022 წელს ჭოუმ ჩაანაცვლა. სწორედ ამ დროს გამოიგონეს ჩინელებმა ფოლადი, რომელსაც იყენებდნენ როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, ისე საბრძოლო იარაღის დასამზადებლად. ამის შედეგად, საგრძნობლად განვითარდა ორივე მიმართულება. ძვ.წ

# ცივილიზაცია

500 წელს გენერალმა სუნძიმ მსოფლიოში პირველი სამხედრო სახელმძღვანელო – „ომის ხელოვნება“ დაწერა. მაგრამ ჭოუს ეპოქა უფრო მეტად სხვა ფაქტორებით გვამახსოვრებს თავს – სწორედ ამ დინასტიის მმართველობის დროს მოევლინა მსოფლიოს ისეთი იდეები, როგორიცაა დაოიზმი, ლეგიზმი და ისეთი დიდი მოაზროვნე, როგორიც იყო კონფუცი.



**ლეგიზმი** (კანონის დამცველთა სკოლა) რამდენიმე სიტყვით შეგვიძლია აღვწეროთ, როგორც კანონის წინაშე ყველას თანაბარუფლებიანობის შესახებ მოსაზრებები, რომელიც ასევე გულისხმობდა ადამიანებისთვის ტიტულებისა და პრივილეგიების მინიჭებას დამსახურების მიხედვით და არა დაბადებისთანავე. ეს სკოლა ასევე ცნობილია კანონის დამრღვევთა მიმართ სასტიკი კანონებითა და სასჯელებით.



## კონფუცი

კონფუცი ჩინეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და გამოჩენილი პიროვნებაა. სწორედ ის გახლდათ პირველი ჩინელი ფილოსოფოსი (მოღვაწეობდა დაახლ. ძვ. წ. 551-479 წწ.). მისი კვალი ჩინეთის ისტორიას მრავალი საუკუნის მანძილზე გასდევს.

კონფუცის მოღვაწეობა დაემთხვა მეომარი სამეფოების პერიოდს, როდესაც სხვადასხვა ჩინურ სახელმწიფო ერთეულს შორის დაპირისპირება ყველა დონეზე იყო, ყოველი სახელმწიფო ცდილობდა საუკეთესო მმართველობის ფორმის გამოძებნას, თუმცა საბოლოოდ ყველა „კანონის უზენაესობას“ (ლეგიზმს) დასჯერდა, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა კონფუცი. მას სახელმწიფო მოწყობაზე საკუთარი მოსაზრებები ჰქონდა და მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო ზნეობაზე, სინდისიერებასა და კაცთმოყვარეობაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. ის არ უარყოფდა კანონის აუცილებლობას, მაგრამ მიიჩნევდა, რომ ადამიანი საკუთარი ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე არ უნდა



### კონფუცის გამოსახულებები და გამონათქვამები



*„რაც მეტ ცოდნას იძენ,
მით უფრო
იღბლიანი ხდები“.*



*„მე გავიგონე და დამავიწყდა.
მე დავინახე და დამამახსოვრდა.
მე გავაკეთე და გავიგე“.*

*„ერთადერთი ნამდვილი
შეცდომაა,
არ გამოასწორო შენ მიერ
ჩადენილი შეცდომები“.*

*„აირჩიე სამსახური, რომელიც
სიამოვნებას განიჭებს და
ცხოვრებაში ერთი
დღეც კი არ მოგიწევთ
მუშაობა“.*



*„მას, ვინც არ ფიქრობს
შორეულ სიძნელეებზე,
აუცილებლად მოელის
ახლო უსიამოვნებები“.*

არღვევდეს ამ კანონებს, ხოლო დარღვევის შემთხვევაში, მხოლოდ იმის დასჯას ექნება აზრი, ვინც ხვდება და იაზრებს საკუთარ დანაშაულს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, კონფუცის იდეები პოპულარობას ვერ ჰპოვებდა და საბოლოოდ მან დარჩენილი ცხოვრება ძველი წიგნების რედაქტირებასა („სიმღერების წიგნი“, „გარდაქმნების წიგნი“, „გაზაფხული-შემოდგომის პერიოდის მატიანე“ და ა. შ.) და მოსწავლეებს მიუძღვნა (დააარსა „ჟუს“ სკოლა, სადაც სწავლა შეეძლო ყველას და არა მხოლოდ დიდგვაროვნებს).

თავად კონფუცი წარსულს მიიჩნევდა იდეალურ მაგალითად და სჯეროდა, რომ თანამედროვეობაც წარსულის გამოცდილებაზე უნდა დაფუძნებულიყო. საკუთარ თავსაც „სიძველეების მოყვარულს“ უწოდებდა, რომელიც „გადმოსცემდა და არ ქმნიდა“. მიუხედავად კონფუცის თავმდაბლობისა, მას ნამდვილად შესანიშნავი იდეები ჰქონდა, რაც საკუთარ მოსწავლეებსა და მთლიანად ჩინეთს დაუტოვა.



# 孔夫子

## კონფუციანური მოძღვრების 5 მცნება

| | |
|---|---|
| **ჟენ 仁** | **„ადამიანობის საწყისი“, „ჰუმანურობა“, „ხალხის სიყვარული“. კონფუციანური მოძღვრების თანახმად, არ შეიძლება ითქვას, რას წარმოადგენს ადამიანი, სანამ არ უპასუხებს კითხვას, თუ რაში მდგომარეობს მისი ზნეობრივი მისწრაფება. მიჰყვე „ჟენს“, ნიშნავს იხელმძღვანელო ადამიანების მიმართ თანაგრძნობით და სიყვარულით.** |
| **ი 义** | **„სიმართლე“, „სამართლიანობა“. „ი“ არის დაფუძნებული ურთიერთქმედებაზე, ანუ სამართლიანია მშობლების მიმართ, მადლიერებას გამოხატავს იმის გამო, რომ მათ გაზარდეს. „ი“ წინ აღუდგება ეგოიზმს. „კეთილშობილი ადამიანი ეძებს ი-ს, მდაბიო – სარგებელს“.** |
| **ლი 礼** | **„ჩვეულება“, „რიტუალი“ – ჩვეულების ერთგულება, რიტუალების დაცვა, ასევე შეიძლება იყოს „წესი“, „ცერემონია“.** |
| **ჭი 智** | **„სიბრძნე“, „კეთილგონიერება“ – ადამიანს უნდა შეეძლოს საკუთარი მოქმედების განსჯა, საკუთარი თავის გვერდიდან დანახვა.** |
| **სინ 信** | **გულწრფელობა, „კეთილი განზრახვა,“ კეთლსინდისიერება და არა – იძულება. „სინ“ აწონასწორებს „ლი“-ს და ეწინააღმდეგება პირფერობას.** |

ცხადია, ისეთი იდეოლოგია, როგორიც კონფუცმა ჩამოაყალიბა, ვერ დარჩებოდა შეუმჩნეველი და გამოუყენებელი. ჩინელებმა მალევე შეძლეს მისი დაფასება, ოდნავ უფრო მეტად მოარგეს ის ლეგიზმს და მთელი ისტორიის განმავლობაში აქტიურად იყენებდნენ მას. კონფუცმა შექმნა იდეოლოგია, რომლითაც დღესაც სუნთქავს მსოფლიოში უდიდესი ერი.



ლაო ძი

## დაოიზმი

რაც შეეხება დაოიზმს, მის ფუძემდებლად ითვლება ლეგენდარული პიროვნება სახელად ლაო დან ან ლაო ძი (მასწავლებელი ლაო), რომელიც კონფუცის უფროსი თანამედროვე უნდა ყოფილიყო. ლაო ძის მოღვაწეობის პერიოდიც ემთხვევა ქვეყნის დაქუცმაცების, სამთავროთა შორის ბრძოლის და პოლიტიკური კატაკლიზმების დროს. ინგრეოდა ძველი წყობილებები და ყალიბდებოდა ახალი, თუმცა ლაო ძი არც კონფუცის ხედვას უჭერდა მხარს და არც ლეგიზმს. ყველა უბედურების საწყისი, მისი აზრით, ცოდნასა და სურვილებში მდგომარეობდა, რადგან სურვილების გამო გონება იმღვრევა და ადამიანი კარგავს „ბუნებრივ“ მდგომარეობას. ცოდნის და სურვილების დაძლევის გზა ისაა, რომ ხალხმა აღარ სცეს პატივი სწავლულთ და

# ცივილიზაცია

აღარ უყვარდეს იშვიათი და ძვირფასი ნივთები. ამგვარად, ისინი გახდებიან „მიამიტნი“ და ბუნებრივი მოთხოვნილებებით იცხოვრებენ. ლაო ძის აზრით, ასეთივე უნდა ყოფილიყო თავად ხელმწიფეც. ფაქტობრივად, მასწავლებელი ლაო ხატავდა იდეალიზებულ თემურ საზოგადოებას, პატარა სახელმწიფოს მცირე მოსახლეობით, სადაც არ იქნებოდა გამოყენებული ცივილიზაციის ისეთი ნაყოფი, როგორიც არის რთული იარაღები – სამეურნეო თუ საბრძოლო, გადაადგილების ახა-ლი საშუალებები. შედეგად, ადამიანები მუდმივად იცხოვრებდნენ ერთ ადგილას, სიმშვიდეში. როდესაც მეზობელი სახელმწიფოებიც ამგვარად იქნებოდნენ მოწყობილი, შეწყდებოდა დაპყრობითი ომები და თავდაცვაც აღარ იქნებოდა საჭირო.

ლაო ძის შეხედულებებმა ჩვენამდე მოაღწია ძეგლიდან, რომელსაც ეწოდება „დაო დე ძინი“ (წიგნი დაოსა და დეს შესახებ), რომელიც დაახლ. ძვ.წ. III ს.-ში ხდება ცნობილი.

ლაო ძის ფილოსოფიის უმაღლესი კატეგორია არის დაო. იეროგლიფი „დაო“ ორი ნაწილისაგან შედგება: შოუ, რაც ნიშნავს „თავს“ და წოუ, რაც ნიშნავს „სვლას“, „სიარულს“. ამიტომ ტერმინის თავდაპირველი მნიშვნელობა არის გზა, რომლითაც მიდის ადამიანი. მაგრამ მოგვიანებით ტერმინმა გადატანითი მნიშვნელობა შეიძინა და აღნიშნავდა „კანონზომიერებას“ ან „სამყაროს კანონს“. ლაო ძიმ ამ ტერმინს, გარდა საყოველთაო კანონის მნიშვნელობისა, ყოველივეს წარმომშობელი არსის, ანუ პირველსაწყისის მნიშვნელობაც შემატა. ის დაოს კოსმოგონიის პროცესის ახსნისას იყენებს და ამბობს, რომ დაო იყო იქამდე, სანამ რაიმე გაჩნდებოდა. დაოს გზის განხორციელება ნიშნავს იცხოვრო დაოს შესაბამისად, ანუ მიჰყვე ცხოვრების მდინარეს, მისი კანონებისათვის წინააღმდეგობის გაწევის გარეშე. შედეგად, ადამიანი შეიცნობს სამყაროს კანონზომიერებას, უცვლელ და მარადიულ დაოს.



იეროგლიფი „დაო“

# ცინ შიხუანტი

არავინ იცის, როგორ ჩინეთზე გვექნებოდა დღეს ლაპარაკი, რომ არა ცინ შიხუანტი – ისტორიული პიროვნება, რომელმაც უზარმაზარი ტერიტორია ერთ სახელმწიფოდ გააერთიანა.

ცინ შიხუანტი (ნამდვილი სახელი – ინ ჭენი) მოღვაწეობდა ძვ.წ. 259-დან ძვ.წ. 210 წლამდე. ის იყო ცინის სამეფოს მმართველი, რომელმაც ბოლო

*„შევარდენივით შეუპოვარი მკერდით და ტურასავით ხმით, ცინ შიხუანტი არის უმოწყალო ადამიანი მგლის გულით. როცა ის სირთულეს აწყდება, ყველანაირად ცდილობს პრობლემის გადაჭრას, ხოლო როცა გადაჭრის ამ პრობლემას, ის მხოლოდ სხვების ცოცხლად შეჭმაზე ფიქრობს. თუ ცინ შიხუანტი ოდესმე მოახერხებს მსოფლიოს დაპყრობას, მთელი მსოფლიო მისი პატიმრი აღმოჩნდება“.*

*ჩინელი ისტორიკოსი სიმა ციენი*





მოული ამბოხებულ-დაპირისპირებულ სამეფოებს, ძვ.წ. 221 წლისთვის დაამყარა კონტროლი ჩინეთის მთელ ტერიტორიაზე და ისტორიაში შევიდა, როგორც ჩინეთის სახელმწიფოს პირველი მმართველი.

ინ ჭენის ტახტზე ასვლამდე ცინის სამეფო, სხვადასხვა რეფორმის წყალობით, საკმაოდ კარგად ვითარდებოდა და ძლიერდებოდა (მათ შორის, სამხედრო კუთხითაც). ამ წარმატებებს შიშით უყურებდნენ სხვა სამეფოები, რომლებმაც კოალიცია შეკრეს, სადაც გაერთიანდნენ სამეფოები ჩრდილოეთ იანიდან სამხრეთ ჩუმდე. შემდეგ მათ მიემხრო ჭოუც. თუმცა ეს მცდელობები მაინც უშედეგო აღმოჩნდა, ცინის მოწინააღმდეგეები ერთიმეორის მიყოლებით განიცდიდნენ მარცხს. ჭოუს დომინირების ეპოქა ნელ-ნელა მიუახლოვდა დასასრულს და გამოჩნდა ახალი ჰეგემონი – ცინი. საბოლოო გამარჯვება და ცინის უპირობო ჰეგემონად ქცევა შეძლო ინ ჭენმა – მომავალმა ცინ შიხუანტიმ.

ინ ჭენმა, სამეფო კარზე განვითარებული სხვადასხვა ინტრიგის შედეგად, ძვ.წ 246 წ. სრულიად მოულოდნელად მიიღო ცინის მემკვიდრეობა. მაშინ ის სულ რაღაც 13 წლისა იყო. რამდენიმე წელიწადში ახალმა იმპერატორმა და სუნ ძის მოსწავლემ, ლეგისტმა ლი სიმ (პრემიერ-მინისტრი) მართლაც უძლიერესი ტანდემი შექმნეს. ისინი აგრძელებდნენ წარმატებულ ბრძოლას მტერთან აღმოსავლეთში და ამისათვის ყველანაირ ხერხს იყენებდნენ – ჯაშუშური ქსელის შექმნას, ქრთამის მიცემას, ბრძენთა დახმარებას. იმპერატორი განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი სისასტიკით. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ჩინეთი ცინის დინასტიის ქვეშ გაერთიანებულიყო.



იმპერატორი მშვენივრად აცნობიერებდა, რომ შემდგომში უზარმაზარ ტერიტორიას დასაკავშირებლად დასჭირდებოდა გზები და გამოსაკვებად – საჭმელი. ამიტომაც გასცა უზარმაზარი საირიგაციო არხის მშენებლობის ბრძანება. არხი გაჰყავდათ დღევანდელი შანსის პროვინციაში და მისი სიგრძე იმდროინდელი მასშტაბებისთვის ნამდვილად უზარმაზარი – 150 კმ. იყო. არხის მშენებლობა ათ წელს გაგრძელდა. ამის შემდეგ ცინი უკვე მზად იყო სხვა სამეფოებისთვის საბოლოო დარტყმის მისაყენებლად. შედეგად, 32 წლის ასაკში ინ ჭენი უკვე ბატონობდა იმ მიწაზე, სადაც დაიბადა. ძვ.წ 230 წ. შემოიერთა ხანის სამეფო, 225 წ. – ვეი, 223 წ.– ჩუ, 222 წ. – ჭაო და იანი, 221 წ. კი – ცი. 39 წლის ასაკში ჭენმა პირველად ისტორიაში გააერთიანა მთელი ჩინეთი და ძვ.წ 221 წელს ბოლო მოუღო სამეფოებს შორის ბრძოლასა და სისხლისღვრას, რის შედეგადაც მიიღო პირველი იმპერატორის ტიტული.

ახლადშექმნილ იმპერიაში იმპერატორმა რადიკალური რეფორმების გატარება დაიწყო. დედაქალაქად აირჩია სიენიანი, სადაც გადმოასახლა ყველა ყოფილი მმართველი (სულ 120 ათასი ოჯახი). ამგვარად მან ერთგვარი პოლიციური სისტემა შექმნა და ელიტა თავის კონტროლს დაუქვემდებარა.



*ჩინეთის დიდი კედელი*

სწორედ ინ ჭენი იყო პირველი ჩინელი მმართველი, რომელმაც ზურგი აქცია ნეპოტიზმს და თანამდებობაზე თავისი ნათესავები არ დანიშნა. ამის მაგივრად ცინ შიხუანტიმ შექმნა ლეგიზმით აპრობირებული ცენტრალიზებული, ადმინისტრაციული სისტემა.

ბუნებრივია, ამ უზარმაზარ ტერიტორიას, რომელიც ადრე რამდენიმე სამეფოდ იყო დაყოფილი და სადაც სხვადასხვა გვარის ხალხი ცხოვრობდა, ნამდვილ იმპერიად ქცევისთვის ძირითადი სფეროების უნიფიცირება სჭირდებოდა. ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმის ლოზუნგი იყო „ყველა ეტლის ღერძი – ერთი სიგრძის, ყველა იეროგლიფი – სტანდარტული დამწერლობის“. ამ რეფორმის ფარგლებში შეიქმნა გზების ერთიანი სისტემა, მოწესრიგდა იეროგლიფიკა (მართალია, ჩინური იეროგლიფები ჯერ კიდევ შანის დინასტიაში გვხვდება, მაგრამ თანამედროვე ჩინური იეროგლიფიკა დასაბამს სწორედ ცინის დროიდან იღებს), გაჩნდა ერთიანი სავალუტო და საზომი სისტემები. ამასთან ერთად საფუძველი ჩაეყარა ჩინეთის კულტურულ და ეკონომიკურ ერთიანობას, რომელმაც მას შემდეგ ათასწლეულებს გაუძლო.

ეკონომიკური, ადმინისტრაციული და სოციალური რეფორმების პარალელურად ცინ შიხუანტი დიდ ყურადღებას უთმობდა ინფრასტრუქტურას. სწორედ მის ეპოქას უკავშირდება ის ისტორიული ღირსშესანიშნაობები, რომლებიც ჩინეთში დღესაც კი უამრავ ტურისტს იზიდავს.

იმპერატორმა განაცხადა, რომ ჩინეთის ტერიტორია აღარ იყო დაყოფილი მტრულ სახელმწიფოებად და ერთიანობის აღსანიშნად ბრძანა დაეშალათ ყველა შიდა კედელი, ბარიერი, რომელიც ყოფდა სამეფოებს. მან მხოლოდ ჩრდილოეთი საზღვრები დატოვა და იმპერიის შემოსასაზღვრად და ჩრდილოეთიდან მტრის შემოსევისგან თავის დასაცავად დაიწყო ჩინეთის დიდი კედლის შენება. კედლის მშენებლობა მოსახლეობაში დიდ პროტესტს იწვევდა, მასში ჩართული იყო ჩინეთის მშრომელი მოსახლეობის მეხუთედი – ერთი მილიონი ადამიანი, რომელთაგან ყოველი მეოთხე დაიღუპა სამშენებლო სამუშაოების შესრულებისას. სწორედ ამიტომ ისტორიკოსები ჩინეთის დიდ კედელს მსოფლიოში ყველაზე დიდ სასაფლაოს უწოდებენ, თუმცა, მიუხედავად ამისა, თუ ოდესმე მოგეცემათ ამ „სასაფლაოს“ ნახვის საშუალება, დარწმუნდებით, რომ ის ნამდვილად ღირსეულად წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთს.

გარდა ჩინეთის დიდი კედლისა, სწორედ ცინ შიხუანტის სახელს უკავშირდება 1974 წელს სრულიად შემთხვევით აღმოჩენილი, მაგრამ დღეს ერთ-ერთ უმთავრეს ისტორიულ ღირსშესანიშნაობად ქცეული ტერაკოტის არმია. ეს არის იმპერატორის საფლავი, რომლის მშენებლობაც ცინ შიხუანტიმ თავის სიცოცხლეშივე მოისურვა და რომელსაც მილიონობით ადამიანი აშენებდა. საფლავის აღმოჩენილი მასშტაბები გრანდიოზულია, თუმცა დღემდე

გათხრილია მხოლოდ საფლავის მცველების ტერიტორია – ტერაკოტის უნიკალური არმია – ათასობით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მეომარი, რომლებიც იმპერატორის საფლავს იცავენ. თვითონ იმპერატორის საფლავი კი დღემდე გაუთხრელია, არქეოლოგებს მასზე მუშაობა უჭირთ, რადგან, როგორც გაირკვა, საფლავთან უამრავი დამალული ხაფანგია.

ცინ შიხუანტის დროს განვითარდა ჩინეთის ნაოსნობა და საგზაო ინფრასტრუქტურა. ბოლო ათი წლის განმავლობაში იმპერატორი იშვიათად იმყოფებოდა დედაქალაქში – ის, შემოწმების მიზნით, მუდმივად დადიოდა ჩინეთის სხვადასხვა ქალაქში. ის აგზავნიდა რამდენიმე ესკორტს სხვადასხვა მიმართულებით და თავად იმპერატორის გარდა არავინ იცოდა, რომელ მათგანში იმყოფებოდა ის და რომელ რეგიონს ეწვეოდა შესამოწმებლად. ამის გამო ყველა რეგიონის მოხელეები ცდილობდნენ მოეწესრიგებინათ გზები. ამ ყველაფერს კი თან მოჰყვებოდა საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება – სწორედ ცინ შიხუანტის დროს შეიქმნა საგზაო სისტემა.

საბოლოოდ ცინ შიხუანტი სიცოცხლის ელექსირის ძიებას შეეწირა. ის გარდაიცვალა სამეფოს ერთ-ერთი მორიგი შემოვლისას, ძვ.წ 210 წელს. ცინ შიხუანტის გარდაცვალების ფაქტს დაახლოებით ორი თვე არ ახმაურებდნენ. მისი კუბო ეტლში მოათავსეს, მიჰქონდათ მისთვის საჭმელი და წერილები, რასაც პასუხობდნენ კიდეც იმპერატორის



*„ჩვენ არ გვექნებოდა ჩინეთი ცინ შიხუანტის გარეშე“.*

*პიტერ ბოლი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი*

*ცინ შიხუანტი*

სახელით. მაგრამ საბოლოოდ დიდი სიცხის გამო გვამმა გახრწნა დაიწყო და მალე იმპერატორის გარდაცვალების შესახებ ყველამ გაიგო. ტახტის მოსაპოვებლად დიდი შიდა დაპირისპირება დაიწყო, რითაც ისარგებლეს ძველი დინასტიის წარმომადგენლებმა, აუჯანყდნენ ახალ იმპერატორს, ძვ.წ 206 წელს ცინების მთელი ოჯახი დახოცეს და როგორც ყველა ტოტალიტარული იმპერია, ცინის ისტორიაც





*ტერაკოტის არმია*

მარცხით დასრულდა, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ეს იყო ჩინეთის გაერთიანების პირველი ფაქტი.

ცინის შემდეგ აყვავებასა და ახალ ოქროს ხანას ჩინეთი ასეულობით წელი ელოდა. ამ პერიოდში ქვეყანამ ხუთი სხვადასხვა დინასტია გამოიცვალა: ხანის დინასტია (ძვ.წ III ს.-ახ.წ III ს.), სამი სამეფოს პერიოდი (III ს.), დასავლეთ ძინის დინასტია (III-IV სს.), აღმოსავლეთ ძინის დინასტია (IV-V სს.), სუის დინასტია (V-VI სს.).

618 წელს ლი იუენმა თავი იმპერატორად გამოაცხადა და თანის დინასტია დააარსა. სწორედ თანის დინასტიის პერიოდი მიიჩნევა ჩინეთის ოქროს ხანად. ამ დროს ქვეყნის მოსახლეობა საგრძნობლად გაიზარდა და 80 მილიონს გადააჭარბა, ქვეყანა გაძლიერდა როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისითაც, ჰქონდა ძლიერი გავლენა მეზობელ კორეაზე, იაპონიასა და ვიეტნამზე, ძალიან ბევრი ქვეყანა კი თანის დინასტიას ხარკს უხდიდა. სწორედ თანის დროს გააქტიურდა აბრეშუმის გზაც.

თანის დინასტიის დროს გზა სრული დატვირთვით ამუშავდა, გააქტიურდა კავშირი შუა და საველე გზებს შორის. შედეგად, ჩინური ნივთები კავკასიასა და სამხრეთ აფრიკაშიც კი ხვდებოდა.

არასწორი იქნებოდა აბრეშუმის გზის მნიშვნელობა მხოლოდ აბრეშუმით ვაჭრობამდე დაგვეყვანა, რადგან მისი როლი ბევრად უფრო ფართო და მრავალფეროვანი იყო. ქარავნებს არა მარტო გასაყიდი საქონელი გაჰქონდათ, არამედ ხელს უწყობდნენ კულტურულ გაცვლას. ასე ხდებოდა რელიგიური იდეებისა და სულიერი ფასეულობების გავრცელება. აბრეშუმის გზამ ხელი შეუწყო ტექნოლოგიურ პროგრესსაც.











აბრეშუმმა დასავლეთი და აღმოსავლეთი პირველი ტრანსკონტინენტური გზის მეშვეობით ჯერ კიდევ ძვ.წ II საუკუნის ბოლოს შეახვედრა. ამ გზის გახსნა დაკავშირებულია ჟან ციენის სახელთან, რომელმაც იმპერატორ უტის დროს, მოგზაურობისას, მიაღწია მდინარე სირდარიას და ბაქტრიის ოლქს, ხოლო შემდეგ დაბრუნდა ჩინეთში ნეფრიტის გზით. ის პირველი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ჩინეთის ირგვლივ მცხოვრებ ხალხებთან სავაჭრო და დიპლომატიური კავშირის დამყარება. ამ იდეით დაიბადა აბრეშუმის გზა, დაიწყო დიპლომატიური მიმოსვლა და სავაჭრო კავშირების გაღრმავება, მაგრამ აბრეშუმის გზის სისტემა მუდმივი არ ყოფილა, გზები ხშირად იყოფოდა, სხვადასხვა პერიოდში ვაჭრობა ქვეყნებს შორის ჩერდებოდა.



სწორედ თანის დინასტიას უკავშირდება ოთხი დიდი აღმოჩენიდან (ქაღალდი, ბეჭდვა, კომპასი, დენთი) სამი.

**კომპასი** – ჯერ კიდევ ძვ.წ IV საუკუნეში ჩინელებმა აღმოაჩინეს მაგნიტური რკინა, ქვის მიერ რკინის მიზიდვისა და მისი პოლარიზაციის უნარი. ამ მასალას ისინი იყენებდნენ სამყაროს მხარეთა განსასაზღვრად. ასე გაჩნდა ჩინეთში კომპასი. თანის დროს, IX საუკუნეში, უკვე შეიქმნა ხელოვნური მაგნეტიტის კომპასის ისარი. ჩინელებმა ზღვაოსნობაში კომპასის გამოყენება XI-XII საუკუნეების მიჯნაზე დაიწყეს, XII საუკუნეში არაბებმა ის ჩინეთიდან გაიტანეს და პოპულარული გახადეს ევროპაში.

**დენთი** – ცდებმა სხვადასხვა რეაქტივზე, მათ შორის, გოგირდსა და გვარჯილაზე, სათავე დაუდო დენთის აღმოჩენას IX საუკუნეში. დაუსრულებელმა ომებმა ჩინურ სამეფოებს შორის ბიძგი მისცა შეიარაღების ახალ სახეობათა გამოგონებასა და მათ წარმოებას, კერძოდ, ჩინელების სახელს უკავშირდება ცეცხლგამჩენი ისრების, ხელყუმბარებისა და სხვა ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონება. მათი მიღწევა იყო ასევე ცეცხლსასროლი იარაღის ლულის გამოგონება. ამ იარაღის შესახებ ევროპაში მონღოლების საშუალებით გაიგეს და მისი წარმოება XIV საუკუნიდან დაიწყეს.











**ბეჭდვის** გამოგონებაც თანის დინასტიის პერიოდს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ უძველესი ნიმუში, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია თარიღდება 220 წლით და ეს არის ნაბეჭდი ნაჭრის თარგები. უკვე XI საუკუნეში უბრალო მჭედელმა პი შენმა თიხის მოძრავი შრიფტით ბეჭდვის ხერხს მიაგნო, თუმცა თიხა მტკიცე არ იყო და ტუშსაც ცუდად იღებდა. შემდეგ პერიოდში ბეჭდვა უფრო განვითარდა და გამოიგონეს ჯერ ხის, შემდეგ კი ბრინჯაოს მოძრავი შრიფტები. წიგნის ბეჭდვის ტექნოლოგია ჩინეთიდან პირველად იაპონიაში გავრცელდა, ევროპაში კი წიგნების ბეჭდვა XIV საუკუნეში დაიწყეს.

რაც შეეხება მეოთხე დიდ აღმოჩენას – **ქაღალდს**, ის ჩინეთში თანის დინასტიამდე გაცილებით ადრე გამოიყენებოდა. ქაღალდის გამოგონებამდე ჩინელები ჯერ ბამბუკის მასალაზე წერდნენ, რომელიც ძალიან მოუხერხებელი იყო, შემდგომ კი, საწერ მასალად აბრეშუმს იყენებდნენ, რაც ძალიან ძვირი ჯდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ იაფი მასალის ძებნამ ხელი შეუწყო ქაღალდის გამოგონებას. მართალია, თავდაპირველად ქაღალდიც აბრეშუმისგან მზადდებოდა, მაგრამ მოგვიანებით ჩინელებმა დაიწყეს მისი მცენარის მერქნისაგან დამზადება, ხშირ შემთხვევაში ეს იყო ბამბუკის რტო. ქაღალდის ადრეული ნიმუშები დამზადებულია პირველ საუკუნეში. მისი დამზადების მეთოდი ჯერ კორეასა და იაპონიაში გავრცელდა, შემდეგ კი, არაბების მეშვეობით, მთელ მსოფლიოში.

# ცივილიზაცია



საბოლოოდ შიდა არეულობებმა თანის იმპერიასაც მოუღო ბოლო და 960 წელს ის სუნის დინასტიამ შეცვალა. სუნის პერიოდში ჩინეთმა მეზობელ ტერიტორიებზე ძალაუფლება დაკარგა და საგრძნობლად დასუსტდა. XIII საუკუნის დამდეგისათვის დაიწყო მონღოლთა შემოსევები. მონღოლებმა დაიპყრეს ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი ჩინეთი, საბოლოოდ კი 1279 წ. ბოლო მოუღეს სუნის დინასტიას. გაბატონდა მონღოლთა დინასტია იუანი (1280-1368). მონღოლმა ფეოდალებმა ჩინეთში დაამყარეს ეკონომიკური, პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრის სასტიკი რეჟიმი, რამაც დროებით შეაფერხა ქვეყნის განვითარება. ჩინელი ხალხი ხანგრძლივ ბრძოლას ეწეოდა მონღოლი ბატონების წინააღმდეგ. აჯანყების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ჯუ იუნჯანმა, 1368 წელს, დამპყრობელთა განდევნის შემდეგ, დააარსა მინის დინასტია (1368-1644).

აღსანიშნავია, რომ ევროპელებმა ჩინეთამდე მხოლოდ XVI საუკუნეში ჩააღწიეს, მთელი ადრეული პერიოდის ჩინეთი კი, ფაქტობრივად, იზოლირებული იყო დასავლური სამყაროსაგან. მართალია, მათ აბრეშუმის გზის საშუალებით გაჰქონდათ თავიანთი ნივთები ევროპაში, მაგრამ ევროპელები ჩინეთში მხოლოდ XVI საუკუნიდან ჩნდებიან.

თავდაპირველად „შუა სამეფოში“ პორტუგალიელები ჩავიდნენ, მათ მიჰყვნენ ესპანელები და ჰოლანდიელები. ისინი იჯარით იღებდნენ პორტებს და სხვადასხვა საწარმოებს. XVII საუკუნისთვის, როცა ჩინეთში ძალიან რთული პერიოდი იდგა (აჯანყებები და მმართველი კლასის შიდა დაპირისპირებები), ევროპელებს იქ უკვე საკმაოდ მაღალი სტატუსი ჰქონდათ. ამ ფაქტით ისარგებლეს მანჯურიელებმა და 1644 წელს ძალაუფლება ცინის მანჯურიული დინასტიის ხელში გადავიდა. მანჯურიელმა დამპყრობლებმა ხალხს ჩამოართვეს მიწები და დესპოტური მონარქია შექმნეს. ჩინელების აჯანყებები და მანჯურიელთა ქმედებები ქვეყანას მხოლოდ უკან აბრუნებდა. ეს ევროპელებსაც ურთულებდა საქმეს, მათ მხოლოდ სამხრეთში, კუანჭოუში (კანტონი), მიეცათ





*ნანკინის ხელშეკრულების ხელმოწერა*

ვაჭრობის უფლება. ეს ყველაზე კარგად გამოიყენა ინგლისმა, რომელმაც სავაჭრო ბალანსის გამოსასწორებლად დაიწყო ჩინეთში ოპიუმის გაყიდვა. სწორედ ეს გახდა სამომავლო დაპირისპირების საგანი. 1839 წელს მანჯურიელთა ხელისუფლებამ ოპიუმით ვაჭრობა აკრძალა, რასაც 1840 წელს ინგლისელების მხრიდან ომი მოჰყვა (ე.წ. 1840-1842 წწ.-ის „ოპიუმის ომი“). 90 ათასი ჩინელი 19 ათასმა ბრიტანელმა დაამარცხა, რის შემდეგაც 1842 წლის 29 აგვისტოს, ნანკინის არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებით, ჩინეთს დაეკისრა ვალდებულება გაეხსნა ინგლისთან ვაჭრობისათვის 5 ნავსადგური, ინგლისისათვის გადაეცა კუნძული სიანგანი (ჰონკონგი), გადაეხადა კონტრიბუცია, დაეწესებინა შეღავათიანი საბაჟო ტარიფები და სხვა. მალე აშშ-მ და საფრანგეთმაც მიიღეს ინგლისის ანალოგიური პრივილეგიები. ინგლისთან ომში დამარცხებამ და თავს მოხვეულმა არათანასწორუფლებიანმა ხელშეკრულებებმა სათავე დაუდო ჩინეთის ნახევრად კოლონიურ ქვეყნად გადაქცევას და ცინის დინასტიასაც ბზარი გაუჩინა.

ინგლისთან წაგებული ომის შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა ჩინელებისთვის, გაიზარდა საგადასახადო ტვირთი და შრომითი ვალდებულებები, რასაც ჩინელები აჯანყებებით პასუხობდნენ (1841-1849 წწ.-ში 110 აჯანყება მოხდა). აჯანყებულთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტაიპინელთა რელიგიური სექტა. 1853 წელს მათ ქალაქი ნანკინიც აიღეს და ტაიპინელთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქად გამოაცხადეს. ჩინეთში განვითარებულ მოვლენებს ინგლისმა და საფრანგეთმა 1856 წელს „ოპიუმის“ მეორე ომით უპასუხეს, კიდევ ერთხელ დაამარცხეს „შუა სამეფო“ და სხვადასხვა ხელშეკრულებით კიდევ უფრო გააძლიერეს საკუთარი პოზიციები ჩინეთში.

XIX საუკუნის ბოლოს ჩინეთი ფაქტობრივად ევროპელების მმართველობას ექვემდებარებოდა და მანჯურიელთა ცინის დინასტიას სიმბოლური ხასიათი ჰქონდა. ამ პერიოდში ჩინეთი საგრძნობლად დასუსტდა. ევროპელები ჩინეთს იყენებდნენ როგორც დიდ ბაზარს და ქვეყნის სიძლიერე და სტატუსი დიდად არ ანაღვლებდათ. ამით, ბუნებრივია, ისარგებლეს სხვა ქვეყნებმა. 1894-1895 წწ.-ში იაპონიას ომი ჰქონდა ჩინეთის წინააღმდეგ, რის შედეგადაც მიიტაცა კუნძულები ტაივანი, პენხულედაო და გააძლიერა თავისი გავლენა კორეაში. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა კი მიიტაცეს ჩინეთის მთელი რიგი ნავსადგურები და ქვეყნის ცალკეული ნაწილები თავის გავლენას დაუქვემდებარეს.



*ბრიტანული შენაერთების ბრძოლა კუნძულ სიამინზე*



*ოპიუმით დატვირთული გემები ჩინეთში*



*სინხაის რევოლუცია, 1911*

ჩინელების აგრესია და ზიზლი დღითი დღე მძლავრდებოდა, საბოლოოდ ეს გამოიხატა კიდეც სუნ იატსენის 1894 წლის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობით. 1899 წელს წარმოიშვა მძლავრი ანტიიმპერიალისტური იხეტუანთა აჯანყება. 1900 წლის ივნისში აჯანყებულებმა პეკინიც კი დაიკავეს. ამის პასუხი იყო რვა სახელმწიფოს (რუსეთის იმპერია, აშშ, გერმანიის იმპერია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იაპონიის იმპერია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია) ინტერვენცია ჩინეთში. 1900 წლის აგვისტოში ამ სახელმწიფოებმა აიღეს პეკინი და მთავრობა სიანში გაიქცა. დამარცხების მიუხედავად, იხეტუანთა აჯანყებას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან ჩაშალა ჩინეთის დანაწილების იმპერიული გეგმები და ბიძგი მისცა რევოლუციური მოძრაობის განვითარებას. 1905 წელს სუნ იატსენმა იაპონიაში დააარსა რევოლუციური ორგანიზაცია ტუნმენხოი, 1911 წლის 10 ოქტომბერს კი დაიწყო სინხაის რევოლუცია, რომლის შემდეგაც დაემხო ცინების მონარქია და დამყარდა რესპუბლიკა, მაგრამ ვერც ჩინეთის რესპუბლიკამ გადაწყვიტა ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური ამოცანები. რესპუბლიკას საფრთხეს ჯერ იუენ შიკაის სამხედრო დიქტატურა, შემდეგ კი სხვადასხვა პროვინციის აჯანყება უშლიდა ხელს. სუნ იატსენს ქვეყნიდან გაქცევა მოუწია, მისი დაარსებული პარტიის, გომინდანის (ჩინეთის ეროვნული სახალხო პარტია), დაწყებული საქმის გაგრძელება კი ჩან კაიშის ხვდა წილად. მან აქტიური ბრძო-



*სუნ იატსენი*



*ჩან კაიში*



*„პოლიტიკა არის ომი სისხლის გარეშე, მაშინ როცა ომი პოლიტიკაა სისხლისღვრით“.*

*მაო ძედუნი*



ლა 1926 წლიდან დაიწყო, თუმცა ერთდროულად სამ ფრონტზე უწევდა ბრძოლა – იაპონელების აგრესიის მოგერიება, გარკვეულ პროვინციებში აჯანყებების ჩახშობა და კომუნისტებთან გამკლავება.

საბოლოოდ სამოქალაქო დაპირისპირებაში გამარჯვება კომუნისტებს დარჩათ და 1949 წლის 1 ოქტომბერს მაო ძედუნმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დააარსა. მაო საბჭოთა კავშირით იყო შთაგონებული, აღფრთოვანებული იყო რუსეთის რევოლუციით და საკუთარ ქვეყანაშიც სურდა იმპერიალიზმისა და ფეოდალიზმის დამხობა. 1920 წლიდან იბრძოდა ამ მიზნისთვის, 1931 წელს ძიანშის პროვინციაში ჩინეთის საბჭოთა რესპუბლიკაც კი დააარსა, ბრძოლას აგრძელებდა და თითქმის ოცწლიანი სამოქალაქო დაპირისპირებების შემდეგ, 1941 წლის 1 ოქტომბერს, დააფუძნა კიდეც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

მაომ სათავეში მოსვლისთანავე დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება. მთლიანად შეცვალა ეკონომიკური პოლიტიკა, მოახდინა საბანკო სისტემის ნაციონალიზაცია და ფასების რეგულირება სავაჭრო გაერთიანებებით; წარმოება და ვაჭრობა მთლიანად სახელმწიფოს დაუქვემდებარა. 1958 წელს კი საბჭოთა კავშირით აღფრთოვანებულმა მაომ ხუთწლიანი გეგმებით გადაწყვიტა ქვეყნის განვითარება. პირველი ხუთწლედი – „უდიდესი ნახტომი წინ“ – მიზნად ისახავდა მძიმე ინდუსტრიაზე გადასვლას. ამ პროგრამით, მარტივად რომ ვთქვათ, მთელი ჩინეთი მძიმე ინდუსტრიაზე უნდა გადართულიყო. გლეხებს თავი უნდა დაენებებინათ საკვების წარმოებისთვის და რკინისა და ფოლადის წარმოებისთვის მიეყოთ ხელი. შედეგად, ჩინეთში მთელ მოსახლეობას ჰქონდა კუსტარულად დამზადებული სრულიად გამოუყენებელი ფოლადი და აღარ ჰქონდა საჭმელი. ამან გამოიწვია მსოფლიო ისტორიაში ყველაზე დიდი შიმშილობა, რომელმაც ათობით მილიონი ადამიანი იმსხვერპლა. ამ ჩავარდნამ პარტიის ბევრ წევრში იმედგაცრუება გამოიწვია, მაო იძულებული შეიქნა პარტიის თავმჯდომარეობა ვინმე ლიუ შაოცისთვის გადაებარებინა. ლიუ მალე ისე მოძლიერდა, რომ მაოსთვის გარკვეულ საფრთხესაც კი წარმოადგენდა. მან მაოსთვის ყოველგვარი ძალაუფლების ჩამოშორება განიზრახა. მაო მიხვდა, რომ საფრთხე ემუქრებოდა და 1966 წელს კულტურული რევოლუცია წამოიწყო.

კულტურული რევოლუცია იყო 1966-1977 წლებში ჩინეთში მიმდინარე იდეოლოგიურ-პოლიტიკური კამპანიის სერია, რომლის ფარგლებშიც





მაო ძედუნმა მოახდინა პოლიტიკური ოპოზიციის მთლიანი დისკრედიტაცია და განადგურება. მან ლიბერალური ბურჟუაზია ქვეყნის მტრად წარმოაჩინა და წითელ არმიას საკუთარი ნებით მოქმედების თავისუფლება მისცა. ქვეყანაში ქაოსმა დაისადგურა. დაიხურა სკოლები, მოსწავლეების ერთადერთ ამოცანად არმიისთვის იარაღის წარმოება იქცა. პარტიის ყველა წევრი, ვინც მაოს არ ეთანხმებოდა, პარტიიდან იკვეთებოდა (რეპრესია პარტიის 5 მილიონ წევრს შეეხო). დაიხურა ყველა წიგნის მაღაზია და ერთადერთი წიგნი, რომელიც იყიდებოდა, მაოს ციტატების კრებული იყო (ისიც პლასტმასის ყდით იბეჭდებოდა, რათა იარაღადაც გამოეყენებინათ). ჩამოყალიბდა მაოს მიმდევარი ახალგაზრდული „ამბოხებულთა“ ბანდა – ხუნვეიპინები, ანუ „წითელგვარდიელები“ (სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები) და ძაოფენები – „აჯანყებულები“ (ახალგაზრდა მუშაკები), რომელთაც ყველაფრის კეთების უფლება ჰქონდათ. მაოს გამოსვლების შედეგად პროლეტარიატის მტრად შეიძლება წარმოჩენილიყო ნებისმიერი ადამიანი.













ფაქტობრივად, მიმდინარეობდა „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“. ამ მიდგომამ შედეგად მილიონობით ადამიანის სიკვდილი მოიტანა, რაზეც მაოს პასუხი იყო: ჩინეთი ისეთი მრავალრიცხოვანია, რომ რამდენიმე ადამიანის სიკვდილი დიდი დანაკლისი სულაც არააო.

საბოლოოდ კულტურული რევოლუცია 1976 წელს მაოს სიკვდილმა დაასრულა (მაოს პარკინსონის დაავადება სჭირდა და გულის შეტევით დაიღუპა). კულტურულმა რევოლუციამ გამოიწვია ინტელიგენციის ფართომასშტაბიანი რეპრესიები, უზარმაზარი ზიანი მიაყენა კულტურასა და განათლებას, განადგურდა ათასობით ძველი ჩინური ისტორიული ძეგლი, წიგნები, ნახატები, ტაძრები და ა.შ. ტიბეტში განადგურდა თითქმის ყველა ტაძარი და მონასტერი. თავად ჩინური წყაროები ამბობენ,



რომ ამ პერიოდში მთლიანობაში დაშავდა და გარდაიცვალა 100 მილიონი ადამიანი. კულტურული რევოლუცია 1981 წელს კომუნისტურმა პარტიამაც დაგმო და ის მაოს დააბრალა, თუმცა მიუხედავად ამისა, მაო ძედუნი დღემდე რჩება ჩინელების ყველაზე საყვარელ და საკულტო ლიდერად.

მაო ძედუნის შემდეგ ახალმა ლიდერმა ხუა გოფენმა ყოფილი ბელადის მიმდევრები ციხეში ჩასვა, თუმცა მისი ჩამოცილება მაოს დროს ხალხის მტრად გამოცხადებულმა დენ სიაოპინმა მალევე შეძლო. სწორედ დენის დროს ჩამოყალიბდა „სოციალიზმი ჩინური მახასიათებლებით“, შეიცვალა ხალხის აზროვნება, გატარდა ეკონომიკური რეფორმები და ჩინეთი განვითარებული მსოფლიოს ნაწილი გახდა. მისი დამსახურებაა ის, რომ ჩინეთის ეკონომიკა მსოფლიოში ყველაზე სწრაფად განვითარებად ეკონომიკად იქცა. შეიძლება ითქვას, რომ მისი დამსახურებაა ისიც, რომ, როგორც ერთი ცნობილი ხუმრობა ამბობს, მსოფლიოში ყველაზე ხშირად გაგონილი სამი სიტყვაა არა „I Love You”, არამედ – „Made in China“.

დენ სიაოპინმა 1979 წელს აშშ-ში ვიზიტის შედეგად დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა აშშ-სთან და ურთიერთობები დასავლეთის სხვა ქვეყნებთანაც მოაწესრიგა. დალაგდა ურთიერთობები იაპონიასთანაც. 1984 წელს ბრიტანეთმა ჰონკონგი დაუბრუნა ჩინეთს, მოგვიანებით კი პორტუგალიამ – მაკაო.

ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები ძირფესვიან ცვლილებებს დაექვემდებარა. დენმა შემოილო „მოდერნიზაციის 4 პრინციპი“, გამოიყო ოთხი დარგი – თავდაცვითი ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა, განათლება და სამრეწველო წარმოება. დაგეგმილი ეკონომიკა ჩაანაცვლა თავისუფალმა ბაზარმა. შემოილო გადასახადების განსხვავებული სისტემა და დაიწყო მცირე და საშუალო კომპანიების პრივატიზაცია. უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად 1979 წელს შეიქმნა სპეციალური ეკონომიკური ზონები. თავდაპირველად ეს იყო კუანტუნის პროვინცია ჰონკონგის გვერდით და ფუძიანის პროვინციაში, ტაივანის მახლობლად. ეს ზონები ინვესტორებს ნაკლებ გა-



დასახადებს და ნაკლებ რეგულაციებს სთავაზობდა. 1985 წელს უცხოელებისთვის შანხაი და კუანჭოუც გაიხსნა. დენ სიაოპინის პოლიტიკამ შედეგები მალევე გამოიღო: 1992 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჩინეთში 11.2 მილიარდ დოლარს შეადგენდა; სოფლის მეურნეობა ყოველწლიურად 3.2 %-ით, სამრეწველო წარმოება კი 20.7 %-ით იზრდებოდა.

მიუხედავად ძირეული რეფორმებისა, ცვლილება არ შეეხო ჩინელების ინდივიდუალურ თავისუფლებას და მას კვლავ მკაცრად აკონტროლებდა მთავრობა, სწორედ დენ სიაოპინის სახელს უკავშირდება ჩინეთის ერთი შვილის პოლიტიკაც.

დენი ოფიციალურად თანამდებობიდან 1989 წელს წავიდა, თუმცა 1992 წლამდე მაინც რჩებოდა არაფორმალურ მმართველად. 1997 წელს დენიც პარკინსონის დაავადებით გარდაიცვალა.

1993 წლიდან ჩინეთს 10-10 წლით ძიან წემინი და ხუ ძინტაო მართავდნენ. მათი წყალობით ჩინეთი მსოფლიოში ნომერ მეორე ეკონომიკად იქცა (ის მხოლოდ აშშ-ს ჩამორჩება), 2013 წლიდან კი ჩინეთის პირველი პირი სი ძინპინი გახლავთ. სიმ ჩინეთი ახალ საფეხურზე აიყვანა. დღეისთვის „შუა სამეფო“ უკვე ამაყად მოიხსენიება ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყნად და მსოფლიო პოლიტიკაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტორად. სიმ დაიწყო აქტიური ბრძოლა კორუფციასთან, გაატარა არაერთი რეფორმა. ჩინეთში შეიქმნა აზიის ინფრასტრუქტურის და განვითარების ბანკი, რომლითაც ქვეყანა ყოველწლიურად ათეულობით მილიარდი დოლარით ეხმარება განვითარებად ქვეყნებს. ჩინეთი გახდა ყველაზე დიდი კონტრიბუტორი გაეროს სამშვიდობო მისიებში, გაღრმავდა ურთიერთობები აშშ-სთან და სხვა წამყვან სახელმწიფოებთან. გარდა ამისა, სიმ მიზნად დაისახა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური პროექტის განხორციელება – აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის და 21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის შექმნა, პროექტი, რომელიც მოიცავს აზიის, აფრიკისა და ევროპის არაერთ ქვეყანას. მიიჩნევა, რომ ამ პროექტის წარმატება საბოლოოდ განამტკიცებს ჩინეთის ზესახელმწიფოს სტატუსს (პროექტში საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი უკავია და პირველმა „აბრეშუმის რკინიგზამ“ ჩვენს ქვეყანაში უკვე გაიარა). ამრიგად, ჩინეთს კვლავ ოქროს ხანა უდგას და ის მსოფლიო ლიდერობისთვის იბრძვის, რისი პოტენციალიც მას ნამდვილად აქვს.





ALEXANDER KARTVELI

რამაზ ბლუაშვილი

# ალექსანდრე ქართველიშვილი



1903 წლის 17 დეკემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა ის, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა კაცობრიობის განვითარების ტემპი და ფორმა. ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ ქითიჰოკში ძმებმა რაიტებმა ჰაერში ასწიეს ისტორიაში პირველი თვითმფრინავი და საფუძველი ჩაუყარეს ინდუსტრიას, რომელსაც დღეს ავიაცია ეწოდება. ამ მოვლენიდან 7 წლით ადრე ქალაქ თბილისში დაიბადა ალექსანდრე ქართველიშვილი.

ქართველიშვილის დისშვილის, გამოჩენილი ქართველი მხატვრის, დიმიტრი ერისთავის მოგონებებიდან: „მახსოვს, დედა მიყვებოდა, რომ თურმე ალექსანდრე ჯერ კიდე ძალიან პატარა ყოფილა, როდესაც კედლებზე თვითმფრინავების ხატვა დაუწყია“.

პატარა ალექსანდრემ თავიდანვე გამოავლინა განსაკუთრებული ნიჭი ტექნიკური საგნებისადმი და თბილისის პირველი გიმნაზია წარჩინებით დაამთავრა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან სამხედრო საქმეშიც სცადა ბედი. იგი არტილერისტად ჩაირიცხა მეფის არმიაში და პირველი მსოფლიო ომის დროს საბრძოლო ოპერაციებშიც იღებდა მონაწილეობას. ერთ-ერთი ასეთი ოპერაციის დროს იგი ფეხში დაიჭრა და გამოეთიშა ბრძოლას.

1919 წელს 23 წლის ქართველიშვილმა თხოვნის წერილით მიმართა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას, რომ დახმარებოდნენ სწავლა გაეგრძელებინა პარიზში. იმ პერიოდში ავიაციის ინჟინერიის ყველაზე ძლიერი და პრესტიჟული სასწავლებელი იყო პარიზში და ალექსანდრე ქართველიშვილი მთავრობის გადაწყვეტილებით და ხელშეწყობით ამ სასწავლებელში გაიგზავნა. ის ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როდესაც საქართველოში 1921 წლის ცნობილი მოვლენები განვითარდა და ახალგაზრდა ქართველიშვილმა გადაწყვიტა არ დაბრუნებულიყო კომუნისტურ საქართველოში. ის პარიზში დედასთან ერთად იმყოფებოდა, მამა და და კი თბი-




ლისში ჰყავდა. სამწუხაროდ, მისი ოჯახი ალარასოდეს გაერთიანებულა.

1922 წელს ალექსანდრე ქართველიშვილმა დაამთავრა სასწავლებელი პარიზში და მაშინვე დაიწყო მუშაობა ცნობილ ფრანგულ კომპანია „სოსიეტე ინდუსტრიალეში“. ამ კომპანიაში მასთან ერთად მუშაობდნენ მისი მეგობრები – არმანდ თიბო და ედმონდ შანარდი. აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიაში ქართველიშვილმა და მისმა მეგობრებმა შექმნეს 2 თვითმფრინავი – „ბერნარი“ და „ფერბო“, რომლებმაც 1924 წელს სიჩქარის მსოფლიო რეკორდი (429 კმ. საათში) დაამყარეს. ალექსანდრეს და მის მეგობრებს ერთად ჰქონდათ ნაქირავები ბინა და ერთად მუშაობდნენ სხვადასხვა ნოვატორულ პროექტზე. ალექსანდრეს დედა, ელენე ქართველიშვილი, კი



*კლარენს ჩემბერლენი და ჩარლზ ლევინი*

მომვლელად მუშაობდა ერთ-ერთ მდიდარ ებრაულ ოჯახში. ახალგაზრდა ალექსანდრე იმისთვის, რომ თავი ერჩინა და თბილისში ოჯახსაც დახმარებოდა, ცირკში აკრობატად მუშაობდა და ბავშვებსაც ამზადებდა მათემატიკაში. პირველი თვითმფრინავების ასეთი წარმატების შემდეგ ახალგაზრდა ინჟინრები ძალიან პოპულარულები გახდნენ პარიზში, მაგრამ მათი მთელი ყურადღება და დრო მაინც ტრანსატლანტიკურ ფრენებს ეთმობოდა.

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ავიაცია ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. ამ ახალი და ძალიან ეფექტური ინდუსტრიის პოტენციალით სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი ინტერესდებოდა. ამ დროისთვის განსაკუთრებული ინტერესი გაჩნდა ტრანსატლანტიკური ფრენების მიმართაც. ყველა ცდილობდა შეექმნა თვითმფრინავი, რომელიც დაუჯდომლად იფრენდა ამერიკასა და ევროპას შორის და მგზავრების გადაყვანასაც შეძლებდა. ამ ძალიან ამბიციური იდეის ხორცშესხმას ცდილობდა ამერიკელი მილიონერი ჩარლზ ლევინი. მან ნიუ-იორკში ნაგვის ბიზნესით ძალიან დიდი ფული იშოვა და დააარსა თავისი კომპანია „Columbia Aircraft“. მისი კომპანია აწარმოებდა თვითმფრინავებს და ამავე დროს ამერიკის გარშემოც დაფრინავდა.

1927 წელს ჩარლზ ლევინმა თავისი თვითმფრინავით "Belanca" პირველი ტრანსატლანტიკური ფრენა განახორციელა. მისი მფრინავი იყო

კლარენს ჩემბერლენი და ამ ფრენით ჩარლზ ლევინი ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი ტრანსატლანტიკური მგზავრი. ისტორიულმა ფრენამ ლევინს ძალიან დიდი სახელი და დიდება მოუტანა და მას გაუჩნდა ამბიცია აეგო სამგზავრო თვითმფრინავი, რომელიც დიდი რაოდენობით მგზავრების გადაყვანას შეძლებდა ამერიკიდან ევროპაში. ამ იდეით 1927 წლის ოქტომბერში იგი ჩავიდა პარიზში და სტუმრად სწორედ იმ ოჯახს ეწვია, სადაც ალექსანდრე ქართველიშვილის დედა მუშაობდა. ლევინმა მასპინძლებს გაანდო თავისი ამბიციური იდეა და უთხრა, რომ პარიზში ეძებდა ახალგაზრდა ავიაინჟინრებს, რომლებიც მას ამ იდეის ხორცშესხმაში დაეხმარებოდნენ. რამდენიმე დღეში ლევინი და ალექსანდრე ქართველიშვილი პარიზში ერთმანეთს შეახვედრეს. შეხვედრაზე ლევინმა აღმოაჩინა, რომ ახალგაზრდა ალექსანდრესა და მის მეგობრებს უკვე მზად ჰქონდათ მსგავსი თვითმფრინავის პროექტი. ქართველიშვილის პროექტი იყო 6-მოტორიანი, მთლიანად მეტალის თვითმფრინავი, რომელსაც 50-60 მგზავრის გადაყვანა შეეძლო ნიუ-იორკიდან პარიზამდე. ლევინი იმდენად მოიხიბლა მათი პროექტით, რომ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ წაეყვანა ეს სამი ნიჭიერი ახალგაზრდა ამერიკაში და 1927 წელს ალქსანდრე ქართველიშვილი და მისი მეგობრები ლეგენდარული გემით „აკვიტანია“ ნიუ-იორკის ნაპირებს მიადგნენ. პარიზიდან გამოსვლისას ლევინმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის აპირებდა 50 ახალი თვითმფრინავის წარმოებას, რომლებიც დაუჯდომლად გადაიყვანდნენ 50-60 მგზავრს ნიუ-იორკიდან პარიზამდე. ამავეს წერდა 1927 წლის ოქტომბრის ბოლოს ამერიკული პრესაც.

ალექსანდრე ქართველიშვილი და მისი მეგობრები დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმეს. დასაწყისშივე იჩინა თავი ენის პრობლემამ: ახალგაზრდებმა ინგლისური არ იცოდნენ, ლევინმა კი – ფრანგული. მათ შორის ხშირი იყო გაუგებრობა და ეს დიდ სირთულეებსაც ქმნიდა. ინჟინრებმა ძალიან მალე წარუდგინეს ლევინს თვითმფრინავის შესაქმნელად საჭირო ხარჯთაღრიცხვა. სამწუხაროდ, ეს თანხა იმაზე ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ლევინს ჰქონდა წარმოდგენილი და ამის გამო მან ახალგაზრდებს ალტერნატიული წინადადება შესთავაზა – მათ სთხოვა, რომ შეექმნათ შედარებით პატარა თვითმფრინავი, რომელიც შეძლებდა ნიუ-იორკიდან მოსკოვამდე დაუჯდომლად ფრენას და დაამყარებდა მსოფლიო რეკორდს დისტანციაში. ახალი თვითმფრინავის სახელი ლევინმა შეარჩია – „Uncle Sam“ (ბიძია სემი).

ყველაფერი თავიდანვე ცუდად განვითარდა. ლევინს სულ უფრო და უფრო არ მოსწონდა ინჟინრების მიერ წარმოდგენილი პროექტის ხარჯთაღრიცხვა. იგი მუდმივად ცდილობდა ფულის დაზოგვას. ახალი მოტორების ნაცვლად მეორადი მოტორები შეიძინა და ეს ყველაფერი საბოლოო პროდუქტს ძალიან ცუდად დააჩნდა. მიუხედავად სიძნელეებისა, ახალგაზრდა ინჟინრებმა მაინც შეძლეს თვითმფრინავის დასრულება, თუმცა იმ დროისათვის უფრო სერიოზულმა ახალმა პრობლემამ იჩინა თავი: ჩარლზ ლევინი დიდ ფინანსურ მაქინაციებში გაეხვა და მის წინააღმდეგ საქმე აღძრა გამოძიების ფედერალურმა ბიურომ. ამის შედეგად ლევინმა ყველაფერი დაკარგა და მისი მთლიანი ქონება, ახალი თვითმფრინავის ჩათვლით, აუქციონზე გაიყიდა. არავინ იცის ეს შემთხვევითობა იყო თუ სპეციალურად დაგეგმილი, მაგრამ აუქციონის მეორე დღეს ანგარში, სადაც ალექსანდრე ქართველიშვილის მიერ ამერიკაში შექმნილი პირველი თვითმფრინავი იდგა, ხანძარი გაჩნდა და ყველაფერი განადგურდა. ამან ახალგაზრდა ალექსანდრეზე ძალიან იმოქმედა. მის პრობლემებს უკვე ამერიკის ეკონომიკის ვარდნა და ეგრეთ წოდებული „დიდი დეპრესიაც“ დაემატა. ახალგაზრდა ალექსანდრე

*„ბიძია სემი“ XIX ს-იდან მოყოლებული იყო აშშ-ის ერთგვარი პერსონიფიკაცია, ქვეყნის სიმბოლური გამოსახულება. მისი სახე ძირითადად დამკვიდრებულია თომას ნასტის პოლიტიკური კარიკატურებიდან (1852 წლიდან) – ხანშიშესული მამაკაცი წაწვეტებული სახის ნაკვთებით, ძველმოდური წვერითა და ამერიკის დროშის ფერებისა და სიმბოლიკის ცილინდრით, პიჯაკითა და შარვლით.გადმოცემის თანახმად, 1812 წლის ბრიტანულ-ამერიკული ომის პერიოდში ნიუ-იორკის ამერიკულ ბაზა „ტროის“ ხორცით ამარაგებდა ყასაბი სემ უილსონი, რომელიც ხორცით სავსე კასრებს აწერდა U.S.-ს, ანუ United States – შეერთებული შტატები, თუმცა ჯარისკაცები თურმე ხუმრობით ამ შემოკლებას ხსნიდნენ, როგორც Uncel Sam, ანუ ბიძია სემი – იმ ადამიანის სახელს ეძახდნენ, ვინც მათ „კვებავდა“. სემ უილსონი აშშ-ის კონგრესის რეზოლუციით 1961 წ. აღიარეს ბიძია სემის პროტოტიპად და მას მშობლიურ ქალაქში ძეგლიც კი დაუდგეს.*



და მისი მეგობრები ყველანაირი შემოსავლის გარეშე დარჩნენ. ალექსანდრე ხან ჭურჭლის მრეცხავად მუშაობდა და ხან მანქანებს რეცხავდა ქუჩაში, რომ საჭმლის ფული მოეგროვებინა. მიუხედავად ასეთი გაჭირვებისა, მას არასოდეს შეუწყვეტია ფიქრი და ოცნება ავიაციაზე.

იმ პერიოდში ევროპაში თვითმფრინავების უმეტესობა მთლიანად მეტალისგან კეთდებოდა, ხოლო ამერიკაში ეს ტექნლოგია ჯერ კიდევ არ იყო კარგად დანერგილი. იმის გამო, რომ ალექსანდრე ქართველიშვილი მთლიანი ლითონის კონსტრუქციების მაღალი დონის პროფესიონალი იყო, ის კომპანია „ფოკერმა“ მიიწვია ინჟინრად. „ფოკერში“ ერთწლიანი მუშაობის დროს ალესანდრე ქართველიშვილმა მრავალი საინტერესო და საჭირო სიახლის დანერგვა შეძლო.



*ალექსანდრე დე სევერსკი*

1931 წელს უკვე საკმაოდ ცნობილი ალექსანდრე ქართველიშვილი ნიუ-იორკში შეხვდა მაიორ ალექსანდრე დე სევერსკის. სევერსკიც თბილისში იყო დაბადებული და გაზრდილი და ამ ორმა თბილისელმა ახალგაზრდამ ადვილად შეძლო საერთო ენის გამონახვა. ქართველიშვილმა აღმოაჩინა, რომ სევერსკი ავიამშენებლობით იყო დაინტერესებული და კარგად ესმოდა ეს საქმე და წარმოება. სევერსკის კი ძალიან სჭირდებოდა ავიაინჟინერი თავისი გრანდიოზული და საკმაოდ ამბიციური  იდეების განსახორციელებლად. მათ მალევე მიიღეს გადაწყვეტილება ერთად შექმნათ კომპანია და 1931 წელს შეიქმნა “Seversky Aircraft Corporation” (სევერსკის თვითმფრინავების კორპორაცია), სადაც პრეზიდენტი იყო ალესანდრე სევერსკი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი და მთავარი ინჟინერი – ალექსანდრე ქართველიშვილი. თავიდან მათ ძალიან გაუჭირდათ ინვესტორების მოძიება და სულ უფრო ეზრდებოდათ ფინანსური სესხების რაოდენობა. კომპანიამ პირველი თვითმფრნავი – BT-8 Trainer ბანკიდან აღებული სესხით შექმნა და მდგომარეობიდან ისევ ალექსანდრე სევერსკის მარკეტინგული ნიჭისა და კლიენტების მოხიბვლის საოცარი უნარის წყალობით გამოვიდა. სევერსკიმ წარმატებით მოახერხა საჭირო რაოდენობის თვითმფრინავების გაყიდვა და თავისი კომპანია ფინანსური პრობლემებისგან იხსნა. 1935 წელს ალექსანდრე ქართველიშვილმა შექმნა P-35 – მსოფლიოში პირველი მთლიანად ლითონის სამხედრო თვითმფრინავი გასაშლელი შასით. ამერიკის არმიამ ეს




***P-35 – მსოფლიოში პირველი მთლიანად ლითონის სამხედრო თვითმფრინავი***

თვითმფრინავი საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიძინა. თვითმფრინავი ასევე დიდი წამატებით გაიყიდა კოლუმბიაში. იმ დროისათვის ალექსანდრე ქართველიშვილი ამერიკაში უკვე საკმაოდ ცნობილი და გავლენიანი ავიაკონსტრუქტორი იყო. იგი დედასთან ერთად ცხოვრობდა, რომელიც პარიზიდან ამერიკაში 1934 წელს გადაიყვანა. ამავე წელს ალექსანდრემ შეიცვალა გვარი და გახდა ალექსანდრე ქართველი.

1939 წელს ალექსანდრე სევერსკის პრობლემები შეექმნა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსთან. არამიზნობრივი ხარჯვისა და არარეალური მიზნების დასახვისათვის სამეთვალყურეო საბჭომ სევერსკი თავისივე კომპანიიდან

გაათავისუფლა. კომპანიას სახელი გადაერქვა და დაერქვა “Republic Aviation Corporation”, ხოლო ალექსანდრე ქართველი კვლავ კომპანიის ვიცე-პრეზიდენტად და მთავარ ინჟინრად დაინიშნა.

იმავე წელს ევროპაში დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი და საზარელი ომი. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომში ამერიკის შეერთებული შტატები თავიდან არ იყო ჩართული, პრეზიდენტი რუზველტი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა ამერიკას იმ დონის სამხედრო ავიაცია, რომელიც ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდა ჰიტლერის ავიაციას. აღმოჩნდა, რომ ერთადერთი თვითმფრინავი, რომელიც ახლოს იყო საჭირო მონაცემებთან, იყო Lockheed P-38. პრეზიდენტმა მაშინვე ბრძანა სასწრაფოდ დაეწყოთ მუშაობა ახალი თვითმფრინავის შესაქმნელად. შეხვედრას, რომელიც ოჰაიოს შტატის ქალაქ დეიტონში გაიმართა, ესწრებოდნენ ამერიკის ყველაზე გავლენიანი ავიაკონსტრუქტორები და სამხედრო ავიაციის ხელმძღვანელები. როგორც ალექსანდრე ქართველიშვილი იხსენებდა, შეხვედრა ძალიან დიდი ხმაურით მიმდინარეობდა. მისი თქმით, თვითმფრინავის მონაცემები, რომლებიც სამხედროებმა დაფაზე ჩამოწერეს, სულ უფრო ემსგავსებოდა პატარა ბავშვის თხოვნას სანტასადმი. პრაქტიკულად, მათ მფრინავი ტანკი უნდოდათ, ყვებოდა ქართველიშვილი. ავიაკონსტრუქტორები ცდილობდნენ სამხედროები დაერწმუნებინათ, რომ მსგავსი მონაცემების თვითმფრინავის შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. სწორედ ამ დროს ალექსანდრე ქართველმა პიჯაკის ჯიბიდან ამოიღო კონვერტი და ფანქრით თვითმფრინავის ნახაზი გააკეთა. რამდენიმე წუთში მან გვერდით მჯდომ ჰარტ მილერს, კომპანიის პრეზიდენტს, უთხრა, რომ უკვე იცოდა, მათ რა უნდოდათ. ჰარტ მილერმა მოჰკიდა ხელი ქართველიშვილს და მიიყვანა გენერალ დელოს ემონსთან, რომელიც შეკრებას ხელმძღვანელობდა. ალექსანდრე ქართველმა რამდენიმე წუთში აუხსნა გენერალს თავისი იდეა და გენერალმა მას დაავალა დაუყოვნებლივ დაეწყო ამ თვითმფრინავზე მუშაობა. დეიტონიდან ნიუ-იორკში მიმავალმა ქართველიშვილმა მატარებელში კიდევ უფრო დახვეწა თავისი იდეა და 9 თვეში, 1941 წლის 6 მაისს, პირველი P-47 Thunderbolt-ის საცდელი ფრენა განხორციელდა. ეს ლეგენდარული თვითმფრინავი მეორე მსოფლიო ომში 1942 წლიდან ჩაერთო და მაშინვე მოიპოვა ძალიან დიდი პოპულარობა. მფრინავების და სხვა სამხედრო პერსონალის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ამ თვითმფრინავმა ასობით მფრინავი გადაარჩინა სიკვდილს. იმდენად გამძლე და ძლიერი იყო, რომ მისი ჩამოგდება პრაქტიკულად შეუძლებელი


*lockheed P-38*



*F-84*



*P-47 Thunderbolt*

იყო. ხშირად ჭურვი მოტორში ხვდებოდა და დაზიანებული მოტორითაც კი ახერხებდა იგი მშვიდობით დაბრუნებას მიწაზე. 1941-1945 წწ.-ში აწარმოეს P-47-ის რეკორდული რაოდენობა – 15 677 ცალი. არც მანამდე და არც მერე ამ რაოდენობის ერთი მოდელის თვითმფრინავი არ გამოშვებულა.

ომის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე ქართველიშვილი ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და პოპულარული ავიაკონსტრუქტორი გახდა. მას სხვადასხვა მნიშვნელოვან პროექტში იწვევდნენ და ძალიან აფასებდნენ. ამ პერიოდში ალექსანდრე ქართველმა შექმნა თვითმფრინავი XF-12, რომელიც იმ პერიოდში დაახლოებით 15-20 წლით უსწრებდა ყველა მსგავს თვითმფრინავს. სამწუხაროდ, ზუსტად იმ დროს ავიაციაში დაიწყო ე.წ. „რეაქტიული ერა“ და პროპელერიანმა თვითმფრინავებმა პოპულარობა დაკარგეს. ქართველიშვილისთვის ეს ძალიან დიდი იმედგაცრუება იყო, იმიტომ, რომ ის ძალიან ამაყობდა თავისი ბოლო და მართლა საოცარი ქმნილებით. XF-12-ის წარუმატებლობით ალექსანდრე ქართველიშვილმა ასევე დაკარგა შანსი თავისი წვლილი შეეტანა სამოქალაქო ავიაციის განვითარებაში.

1950 წელს დაიწყო კორეის ომი. საბჭოთა კავშირის ახალი მიგ-15-ის წინააღმდეგ ამერიკის მხრიდან იბძოდნენ F-86 და ქართველიშვილის F-84. ამ თვითმფრინავმა მაშინვე გამოიჩინა თავი, როგორც ძალიან სწრაფმა და ეფექტურმა გამანადგურებელმა. F-84-ის 3 მოდიფიკაცია შეიქმნა და სულ 7 524 თვითმფრინავი გამოუშვეს. ამ პერიოდში სულ უფრო რეალური ხდებოდა ცივი ომი და ამერიკა და საბჭოთა კავშირი ერთმანეთს შეიარაღებასა და ტექნოლოგიების განვითარებაში ეჯიბრებოდნენ. ორივე მხარე ცდილობდა მსოფლიოსთვის წარედგინა ახალი და სუპერთანამედროვე სამხედრო ტექნიკა. ეს შეჯიბრი განსაკუთრებით სამხედრო ავიაციაში გამოჩნდა. ზუსტად ამ პერიოდში გაჩნდა ე.წ. „X“, ანუ ექსპერიმენტული თვითმფრინავები. ორივე ქვეყნის მთავრობები ძალიან დიდ თანხებს ხარჯავდნენ მსგავსი თვითმფრინავების განვითარებისთვის. ამ პროცესში ალექსანდრე ქართველიშვილმაც შეიტანა თავისი წვილი. 1954 წელს მან ამერიკის მთავრობას და საზოგადოებას წარუდგინა XF-103. ეს იყო ულტრათანამედროვე თვითმფრინავის პროექტი, რომელიც წარმოების შემთხვევაში შეძლებდა 3 700 კმ/სთ სიჩქარით ფრენას. ეს იყო იმ დროისათვის ძალიან ამბიციური და საკმაოდ ძვირადღირებული პროექტი. მიუხედავად იმისა, რომ სრული ზომის პროტოტიპი უკვე შექმნილი იყო, 1957 წელს, ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, პროექტზე მუშაობა შეჩერდა. 1956 წელს გარდაიცვალა ალექსანდრე ქართველიშვილის დედა – ელენე. ალექსანდრემ მძიმედ განიცადა



F-105




*A-10 Thunderbolt 2*

დედის გარდაცვალება. აწ გარდაცვლილი უხუცესი ქართველი ემიგრანტი, ბატონი პეტრე ხვედელიძე იხსენებდა დასაფლავებას, რომელზეც ძალიან ბევრი ქართველი ემიგრანტი შეკრებილა.

ცივი ომის პერიოდში ალექსანდრე ქართველიშვილი განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ის წარმოშობით იყო ქვეყნიდან, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო, ქართველიშვილმა კი ამერიკის შეერთებული შტატების თითქმის ყველა სამხედრო საიდუმლო იცოდა. ამრიგად, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, მისი ცხოვრება არ ჰგავდა იმ ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებას, რომლებსაც უბრალოდ შეეძლოთ სადაც უნდოდათ წასულიყვნენ და რაც უნდოდათ, ის ეკეთებინათ. ალექსანდრე ქართველიშვილი თავისი ცხოვრების ამ გარდაუვალ მხარეს თავიდანვე შეეგუა. მან იცოდა, რომ იმისათვის, რომ ავიაციაში წარმატებისთვის მიეღწია, თავისი პირადი ცხოვრების დიდი ნაწილი უნდა დაეთმო და მან ეს შეძლო. მიუხედავად ტკივილისა და იმედგაცრუებისა, ალექსანდრე ქართველიშვილმა განაგრძო მუშაობა და 1958 წელს გამოჩნდა მისი კიდევ ერთი ლეგენდარული თვითმფრინავი – F-105. ამ დროს ვიეტნამში ომი მძვინვარებდა და ქართველის ახალი ქმნილება პირდაპირ ომის წინა ხაზზე გააგზავნეს. F-105-მა ვიეტნამის ომში დაბომბვითი ოპერაციების 75 პროცენტი შეასრულა და თავისი წინამორბედების მსგავსად, ამ თვითმფრინავმაც არაერთი მფრინავის სიცოცხლე გადაარჩინა. F-105-ს შეეძლო ბგერაზე 2-ჯერ სწრაფად ეფრინა (2,208 კმ/სთ) და ამავე დროს მსოფლიოში ერთადერთი გამანადგურებელი იყო, რომელსაც ატომური ბომბის გადატანა შეეძლო. 1957 წელს შექმნილი თვითმფრინავი 1984 წლამდე წარმატებულად გამოიყენებოდა ამერიკის სამხედრო ავიაციის რიგებში.

1963 წელს 67 წლის ალექსანდრე ქართველიშვილმა პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა. 1931 წლის მერე მისი კარიერა არ შეწყვეტილა. 32-წლიანი საოცარი კარიერის განმავლობაში მან თვითმფრინავების 14 სხვადასხვა მოდიფიკაცია შექმნა, რომელთაგან 4 ამერიკის და მსოფლიო ავიაციის ლეგენდად იქცა. იგი პრაქტიკულად კომპანია Republic Aviation-ის ხერხემალი იყო და მისი წასვლა მაშინვე დაეტყო კომპანიას. 1965 წელს კომპანია გაკოტრდა და იგი შეიძინა კომპანია Fairchild Hiller Aviation-მა.

ალექსანდრე ქართველიშვილის სახელი იმდენად დიდი იყო, რომ ახალი კომპანიის ხელმძ-

ღვანელობამ მას სთხოვა დაბრუნებულიყო კომპანიაში, როგორც საპატიო ინჟინერი და კონსულტანტი. ქართველიშვილი ამ, მისთვის ძალიან სასიხარულო, შეთავაზებას სიამოვნებით დათანხმდა და თავის საყვარელ საქმეს დაუბრუნდა.

ალქსანდრე ქართველის უკანასკნელ ქმნილებად შეიძლება ჩაითვალოს ამერიკული სამხედრო ავიაციის კიდევ ერთი ლეგენდა – A-10 Thunderbolt 2. ამ თვითმფრინავმა ყველანაირი რეკოდი მოხსნა. მან პირველი ფრენა 1972 წლის 10 მაისს განახორციელა, დღესაც იცავს მსოფლიოში ყველაზე დიდი და ძლიერი სამხედრო ავიაციის ღირსებას და არავინ იცის, როდის მოიხსნება იგი სერვისიდან. A-10 მიჩნეულია მსოფლიოში ყველაზე ძლიერ და ეფექტურ მოიერიშე თვითმფრინავად, რომელზეც გიჟდება ყველა მფრინავი, ვინც კი ოდესმე მასზე დამჯდარა.

A-10-ის პირველი ფრენიდან 2 წელიწადში ალექსანდრე ქართველიშვილი, 1974 წლის 20 ივლისს, ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ჰანტინგტონში გარდაიცვალა. თითქმის 40-წლიანი კარიერის მანძილზე ამ გენიოსმა ავიაკონსტრუქტორმა ძალიან დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო ავიაციის განვითარებაში. იგი მოიხსენიება არა უბრალოდ, როგორც ამერიკელი ავიაკონსტუქტორი, არამედ როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ავიაკონსტრუქტორი. მან ასევე მონაწილეობა მიიღო ამერიკის კოსმოსურ პროგრამებში. იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც მთვარეზე ადამიანის გაგზავნის შესაძლებლობა რეალობად ჩათვალა და ამის შესახებ თავისი ხედვები გააცნო ამერიკელ ხალხს. ამ ყველაფერთან ერთად, ის ძალიან დიდი ქართველი იყო. 1942 წელს ლეგენდარული ჟურნალი „LIFE“ წერდა: „ბატონ ქართველს ძალიან ცოტა თავისუფალი დრო აქვს და ამ დროს იგი გადის ეზოში, ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი დადის და ხმამაღალ სევდიან რუსულ სიმღერებს მღერის“. სამწუხაროდ, ალექსანდრე წლების განმავლობაში მოიხსენიებოდა, როგორც რუსი ავიაკონსტრუქტორი და, შესაბამისად, ის ქართული სიმღერები, რომლებსაც იგი მღეროდა, ასევე რუსულად მოინათლა. ცნობილი ქართველი ემიგრანტი ამერიკაში, ბატონი გივი ზალდასტანიშვილი იხსენებდა, რომ ალექსანდრე ქართველიშვილი იყო ერთადერთი ქართველი ამერიკაში, ვინც ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“.

ალექსანდრე ქართველის ღვაწლი ფასდაუდებელია თანამედროვე ავიაციის განვითარების პროცესისათვის. მისი იდეები დღესაც ტესტირებას გადის ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებში და NASA-ში. მისი რამდენიმე იდეა და მო-



*ალექსანდრე ქართველი და მისი ქმნილებები*

დიფიკაცია დღესაც გასაიდუმლოებულია და მათზე ინტენსიური ექპერიმენტული სამუშაოები მიმდინარეობს.

**2015 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა „ალექსანდრე ქართველის ასოციაცია“, რომლის დამფუძნებლები არიან რამაზ ბლუაშვილი, რიჩარდ რუბინი და სტივენ ჯონსონი. ასოციაციის მიზანია ამ დიდი გენიოსის სახელის და ნამოღვაწარის პოპულარიზაცია მოახდინოს მთელ მსოფლიოში და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ მისი მემკვიდრეობა არ დაიკარგოს და სრულყოფილად გადაეცეს მომავალ თაობებს. ასოციაციის ორგანიზებით, 2015 წლის 17 ნოემბერს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიხსნა გამოფენა ალექსანდრე ქართველიშვილის შესახებ, რომელმაც 2016 წლის მაისამდე გასტანა. სიახლეებს ამ პროექტის შესახებ შეგიძლიათ გეაცნოთ ასოციაციის ვებგვერდზე:**
**www.alexanderkartveli.com**

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე ქართველიშვილს თავისი ცხოვრების მანძილზე ბევრი არაფერი გაუკეთებია საქართველოსთვის, ის დღეს შეიძლება იქცეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე წარმოსადეგ ელჩად ამერიკაში – მისი სახელი და ნამოღვაწარი იმდენად დიდია, რომ ყველა ამერიკელი დაინტერესდება იმ ქვეყნით, რომელმაც ამერიკას ეს გენიოსი აჩუქა.



# სხეულის ენა
## და არავერბალური კომუნიკაცია

გაგა ნიჟარაძე

წესით, სათაური პირიქით უნდა ყოფილიყო – „არავერბალური კომუნიკაცია და სხეულის ენა“, რადგან მეორე პირველის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ვიფიქრე, შესაძლო მკითხველი უცხო სიტყვებმა თავიდანვე არ დააფრთხოს-მეთქი... საერთოდ რომ მოვხსნათ ეს საკითხი, აქვე ავხსნი, რა არის „არავერბალური კომუნიკაცია“.

კომუნიკაცია არის ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა, რაც ძალზე ფართოდაა გავრცელებული მთელ ცოცხალ სამყაროში. როცა ძაღლი კბილებს გაჩვენებთ და გიღრენთ, იგი გაცნობებთ (ანუ ინფორმაციას გაწვდით): „არ მომეკარო, თორემ...“ ხოლო თუ კუდს აქიცინებს, ესე იგი კარგ ხასიათზეა და თამაში ან, უბრალოდ, თქვენი გაცნობა უნდა. ბევრი მწერი, ძირითადად მდედრები, როცა გამრავლების დრო დაუდგებათ, განსაკუთრებულ ნივთიერებებს აფრქვევენ (ე.წ. „ფერომონებს“), რომლებსაც ყნოსვით გრძნობს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი და სასწრაფოდ მიეშურება „პაემანზე“. ამგვარი მაგალითების მოყვანა გაუთავებლად შეიძლება; სხვადასხვა ბგერა, სუნი, შეფერილობა, სხეულის მიხვრა-მოხვრა და ბევრი სხვა ცხოველთა სამყაროში გამოიყენება კომუნიკაციისათვის, არავერბალური კომუნიკაციისათვის.

სიტყვა „ვერბალური“ ლათინურიდან მოდის და ნიშნავს „სიტყვიერს“; შესაბამისად, არავერბალური „უსიტყვოს“, „არამეტყველებითს“ ნიშნავს. ხომ გასაგებია, რატომ? მეტყველების უნარი შეადგენს ადამიანის ცხოველებისაგან განმასხვავებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიშანს. მეტყველება, ზეპირი და წერილობითი, ადამიანურ კომუნიკაციას განუზომლად რთულსა და მრავალფეროვანს ხდის ნებისმიერ ცხოველთან შედარებით.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ ადამიანი არ მიმართავს არავერბალურ კომუნიკაციას? რა თქმა უნდა – არა. მეტიც, დადგინდა, რომ ადამიანების ურთიერთობისას არავერბალურად მეტი ინფორმაცია გაიცემა, ვიდრე სიტყვიერად. სწორედ ადამიანის არავერბალური კომუნიკაციის თავისებურებებს ეძღვნება ეს წერილი.

ჩვეულებრივი, ათასჯერ გაგებული ფრაზაა „მოდი აქ“, მაგრამ რამდენნაირად შეიძლება მისი წარმოთქმა! – სიყვარულით, მუქარით, დაცინვით, შიშით... თქვენ თვითონ შეგიძლიათ გააგრძელოთ.

თქვენი მისამართით წარმოთქმული ეს ფრაზა თქვენს საპასუხო რეაქციას გულისხმობს, რომელსაც ორი გარემოება განსაზღვრავს: პირველი, ვინ გეძახით (მშობელი, მასწავლებელი, შეყვარებული, უმცროსი ძმა... თუმცა ეს ფაქტორი ამ შემთხვევაში ნაკლებად გვაინტერესებს) და როგორ. აი, ამ „როგორ“-ს ეწოდება **ინტონაცია** და სწორედ იგი განსაზღვრავს (პირველ ფაქტორთან ერთად), თუ როგორ მოიქცევით – სასწრაფოდ ეახლებით დამძახებელს, ზანტად უპასუხებთ: „ოოო, რა გინდა...“ თუ სულაც შეეცდებით მალე გაეცალოთ იქაურობას.

მაშ ასე, ფრაზის შინაარსი ერთია, საპასუხო ქცევა კი – ძალზე განსხვავებული, რაც განპირობებულია არა სიტყვებით, არამედ ინტონაციით – მაშასადამე, არავერბალური კომუნიკაციით.



* * *

ახლა წარმოვიდგინოთ ასეთი სიტუაცია: სახლში ბრუნდებით, ზარს რეკავთ, კარს და ან ძმა გიღებთ, თან ისეთი გამომეტყველებით, რომ მაშინვე ხვდებით, რომ რაღაც არასასიამოვნო მოხდა. ირკვევა, რომ და/ძმას ახალი ტელეფონი გაუტყდა. მაგრამ თუ ოჯახის იმავე წევრმა კარი გაგიღოთ არა იმდენად დამწუხრებული, არამედ შიშნარევ-დარცხვენილი გამომეტყველებით, იმწამსვე გაიფიქრებთ, რომ მოხდა ცუდი ამბავი, რომელიც უშუალოდ თქვენ გეხებათ – თურმე თქვენი ტელეფონი გაუტყდა...

აღწერილ სიტუაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს არავერბალური კომუნიკაციის კიდევ ერთი სახე – სახის გამომხატველობითი მოძრაობები, ანუ **მიმიკა**[1]. ყველა ჩვენგანი ძალიან ხშირად განიცდის სხვადასხვა **ემოციას.** ესაა შინაგანი მდგომარეობა, რომელიც ასახავს ჩვენს დამოკიდებულებას გარკვეული მოვლენის, ადამიანის, სიტუაციის, ან, სულაც, მთელი სინამდვილის მიმართ. მე მიყვარს ზღვა, მაინტერესებს ისტორია, მეშინია ობობების...

ემოციების განუყოფელი თვისებაა მათი სხეულებრივი გამოხატულება, პირველ რიგში – მიმიკის სახით (თუმცა – არა მარტო; უფრო დაწვრილებით ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი). ზოგადად აღწერილია რამდენიმე ასეული ემოცია, თუმცა მეცნიერები მათში ექვს ძირითადს გამოყოფენ.



[1] ხშირად გაიგონებთ „მიმიკები“, რაც შეცდომაა; ამ სიტყვას მრავლობითი ფორმა არ გააჩნია.



გაკვირვება სიხარული სევდა შიში ზიზღი ბრაზი











ესენია: გაკვირვება, სიხარული, სევდა, შიში, ზიზღი, ბრაზი. ითვლება, რომ დანარჩენი ემოციები, მაგალითად ეჭვიანობა, სირცხვილი, სინანული და ა.შ., ამ ექვსის კომბინაციას წარმოადგენს. ძირითადი ემოციების მიმიკური გამოხატულება წარმოდგენილია სურათზე.

როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, ეს გამომეტყველებანი ძირითადად უნივერსალურია, ანუ ერთნაირია დედამიწის ყველა კუთხეში, ყველა ხალხში (ეს ჯერ კიდევ ჩარლზ დარვინმა ივარაუდა). თუმცა განსხვავებები მაინც არის. ზოგ კულტურაში[2] მიღებულია ემოციების თავისუფლად გამოხატვა, ზოგში კი პირიქით – მათი დაფარვა, განსაკუთრებით – უარყოფითების. გარდა ამისა, ერთი კულტურის ფარგლებშიც არსებობენ უფრო და ნაკლებემოციური ადამიანები. განსხვავებებია სქესთა შორისაც (ამგვარ განსხვავებებს **გენდერულს** უწოდებენ): მაგალითად, დღევანდელ კულტურათა უმრავლესობაში მამაკაცის ქცევის წესი, ქალურისაგან განსხვავებით, კარნახობს მას ტირილისაგან თავის შეკავებას.





უკვე ვახსენეთ, რომ ემოცია არა მარტო სახეზე გამოიხატება. როცა საყვარელი გუნდი გადამწყვეტ გოლს იტანს, გულშემატკივარი ფეხზე წამოვარდება, შეიძლება ჰაერშიც ახტეს, ყვირის, ხელებს მაღლა წევს – სიხარულს მთელი ტანით გამოხატავს. ასე ხდება სხვა ძლიერი ემოციების შემთხვევაშიც, მაგრამ – არა მარტო. როგორც ირკვევა, სხეული ხშირად გამოხატავს ისეთ ემოციებს თუ სწრაფვებს, რომლებსაც ადამიანი, რაღაც მოსაზრებების გამო, ცდილობს რომ დაფაროს... მაგრამ, მოდი, თანამიმდევრულად მივყვეთ.

[2] კულტურა, ერთ-ერთი განმარტებით, არის ყველაფერი იმის ერთობლიობა, რაც ერთ ხალხს განასხვავებს ყველა დანარჩენისაგან და მის უნიკალურობას განაპირობებს - ენა, ქცევის წესები, ხელოვნება, რელიგია, ისტორია და ა.შ., ხშირად კი – არავერბალური კომუნიკაციაც.



მაშ ასე, მივადექით სხეულის ენას. ჯერ გავეცნოთ **ჟესტების** ენას, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ვერბალურ კომუნიკაციასთან. ჟესტი ესაა ხელის ან ხელების მოძრაობა, რომელსაც გარკვეული **მნიშვნელობა** აქვს. დავიწყოთ იმით, რომ ჟესტების საფუძველზე ნამდვილი ენაა შემუშავებული, რომლითაც ყრუ-მუნჯი ადამიანები ურთიერთობენ. ამ ენაში თითოეულ ასოს და ზოგიერთ სიტყვას განსაკუთრებული ჟესტი შეესაბამება. ყრუ-მუნჯთა ენას გარკვეულად ემსგავსება სპორტული მსაჯების, საზღვაო და მსგავსი ჟესტური სისტემები, რომლებიც შემუშავებულია იმისათვის, რომ გასაგები იყოს ყველა ენაზე მოლაპარაკე სპორტსმენებისა თუ მეზღვაურებისათვის.



მსაჯის ჟესტები ცალკეულ სიტყვებს ან მოკლე ფრაზებს ცვლის: „წესები დაირღვა“, „გოლი ჩაითვალა“ და ა.შ. მაგრამ ამგვარი ჟესტები ყოველდღიურ ურთიერთობაშიც საკმაოდ ბევრია. მუშტის დაქნევა მუქარის ნიშნად ან „კოცნის გაგზავნა“ ამ ჟესტების მაგალითებია. ამნაირი ჟესტებიდან ზოგიერთი საერთაშორისოა, ანუ ყველა კულტურაში ერთნაირად გაიგება, მაგალითად, „მოდი აქ“ – ხელის მოძრაობით, ზოგი კი განსხვავებული მნიშვნელობისაა; მაგალითად, აწეული ცერი კულტურათა უმრავლესობაში მოწონებას, მხარდაჭერას გამოხატავს, ხოლო საბერძნეთში ნიშნის მოგების საჩვენებლად გამოიყენება („ესეც შენ!“), ამერიკელები ასე მანქანას ანიშნებენ, გამიჩერეო, ბრაზილიაში კი ცერის ჩვენება სერიოზული შეურაცხყოფაა.



გაცილებით უფრო ხშირად ჟესტები გამოიყენება ნათქვამის მნიშვნელობის გასაძლიერებლად ან საილუსტრაციოდ. ამის მაგალითია თავაზიანი ჟესტი, რომელიც სიტყვიერ მოპატიჟებას – „მობრძანდით!“ – თან ახლავს; ანდა როდესაც რაიმეზე უარს ვამბობთ – „არავითარ შემთხვევაში!“ – და გაშლილ ხელებს ვასავსავებთ. კიდევ უფრო გავრცელებულია **ჟესტიკულაცია** – მრავალფეროვანი ჟესტები საუბრის, განსაკუთრებით კამათის ან რაიმეს მოყოლის პროცესში. რაც უფრო ემოციურია თე-



მა, მით უფრო ძლიერი და მკვეთრია ჟესტიკულაცია.

თუმცა აქაც დიდი განსხვავებაა როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე კულტურებს შორის. ყველაზე აქტიურად ჟესტიკულაციას მექსიკელები და იტალიელები მიმართავენ, ყველაზე ნაკლებად კი – ფინელები. დათვლილია, რომ ფინელის ერთ ჟესტზე მექსიკელის საშუალოდ 140-მდე ჟესტი მოდის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჟესტიკულაცია ხშირ შემთხვევაში **გაუცნობიერებელი, უნებლიეა.** როცა რაიმეს მოუთმენლად ველით, მაგიდაზე თითებს ვაკაკუნებთ ხოლმე, ზოგჯერ ფეხსაც ვაყოლებთ; როცა ვნერვიულობთ (განსაკუთრებით ქალები), თმას ან რაიმე საგანს ვაწვალებთ. ეს ხდება ავტომატურად, ჩვენი სურვილის გარეშე. აი, აქ ვხვდებით ძალზე საინტერესო მოვლენას: ჩვენმა სხეულმა შეიძლება გამოხატოს ჩვენი ისეთი ემოციები, ფიქრები, სწრაფვები, რომელთა ჩვენებაც სრულიადაც არ გვინდა. ეს შეიძლება მოხდეს სახის გამომეტყველებით (თუმცა ეს უკანასკნელი შედარებით უკეთ ექვემდებარება კონტროლს), ჟესტით, სხეულის მდგომარეობით – პოზით, ან სულაც იმ მანძილით და სხეულის მდგომარეობით (ორიენტაციით), რომელსაც ვიკავებთ სხვა ადამიან(ებ)თან მიმართებით. მოვუხმოთ მაგალითებს:

გხვდებათ ნაცნობი, რომელიც მაინცდამაინც არ გეხატებათ გულზე, ამ დროს კი ქართული თავაზიანობის წესი გკარნახობთ, რომ უნდა გადაკოცნოთ. ასეც იქცევით, ნაცნობის ლოყას ტუჩებით ეხებით,  მაგრამ დააკვირდით, თქვენი პირი მოკუმულია, „კოცნის არე“ კი გვერდით გადაინაცვლებს ისე, რომ ფაქტობრივად ჰაერს კოცნით.

ქუჩაში ახალგაზრდა წყვილი მოსეირნობს. ბიჭს ხელი აქვს გადახვეული გოგონას მხრებზე, მკერდი გაღეღილი და რაღაცას ყვება, რასაც თავისუფალი ხელის ფართო მოძრაობებს აყოლებს (როგორც ქვემოთ შევიტყობთ, ბიჭს **დომინანტური** პოზა „უჭირავს“); გოგონა თითქოს ინტერესით უსმენს, იღიმება კიდეც, მაგრამ რაღაც უცნაურად მიაბიჯებს – ტანის ქვედა ნაწილი გვერდით, ბიჭისაგან მაქსიმალურად შორს აქვს გაწეული (როგორც ჩვენი ტუჩები არასასიამოვნო ნაცნობთან შეხვედრისას). დაკვირვებული თვალი წამსვე შეამჩნევს, რომ გოგონას სრულიადაც არ ეპიტნავება ბიჭის ფამილიარობა – ხელის გადახვევა, მაგრამ ხათრის, მორიდების ან რაიმე სხვა მოსაზრების გამო ამას სიტყვიერად არ გამოხატავს, მაგრამ მისი სხეული სწორედ ამას „ამბობს“.

ეს მაგალითები იმ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის ილუსტრაციაა, რომ ჩვენ ხშირად გვიწევს ჩვენი სურვილის თუ განწყობილების საწინააღმდეგოდ მოქცევა. ზოგჯერ ამას არც ვმალავთ, მაგრამ ხანდახან, როგორც მოყვანილ მაგალითებში, გვიწევს ნამდვილი გრძნობების დაფარვა, და ძალიან



ღრმადაც. სწორედ ასეთ დროს ხდება ხოლმე, რომ ადამიანს მისი სხეული „ღალატობს“ და ფარულ განწყობას გამოავლენს. მოდი, შევხედოთ სხეულის ენის ტიპურ ნიმუშებს.

თუმცა ჯერ ერთი გაფრთხილება: სხეულის ენის ქვემოთ აღწერილი პოზები თუ ჟესტები არაა „ასპროცენტიანი“, მათი გამომწვევი შეიძლება გარე მიზეზები იყოს. მაგალითად, საუბრის დროს თუ ვინმემ პიჯაკი შეიკრა, უფრო ხშირად ეს იმის მანიშნებელია, რომ მან რაღაც გაღიზიანება, მისთვის არასასიამოვნო თემასთან შეხება ანდა სხვა სახის დისკომფორტი იგრძნო და გარკვეულად გაემიჯნა დიალოგს, სიმბოლური წინაღობა შექმნა, სხვა სიტყვებით კი – **თავდაცვას** მიმართა.  მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენს მოსაუბრეს უბრალოდ შესცივდა ან საკუთარ პერანგზე ლაქა შეამჩნია და მისი დაფარვა მოისურვა. ასე რომ, სხეულის ენის „კითხვისას“ სიფრთხილე გვმართებს.

დაცვითი პოზები საკმაოდ მრავალფეროვანია. თუ დაკვირვებიხართ რომელიმე სპორტული გუნდის მწვრთნელს მნიშვნელოვანი მატჩის მსვლელობისას, განსაკუთრებით, თუ თამაში მისთვის არცთუ სასურველად მიმდინარეობს. იგი დაძაბულად ადევნებს თვალს მოედანს, ხელები კი მკერდზე აქვს დაკრეფილი, ზოგჯერ ამას ფეხების გადაჯვარედინებაც ემატება – ტიპური თავდაცვის პოზაა – ასეთ პოზას ვიღებთ, როცა ვინმეს ან რაიმესგან უხილავ მუქარას, საფრთხეს ვგრძნობთ, ან, უბრალოდ, დისკომფორტს განვიცდით; მაგალითად, როდესაც ვინმე გვაკრიტიკებს, თანაც სამართლიანად. გადაჯვარედინებული ხელ-ფეხი აქაც წინაღობას ქმნის სხეულსა და გარემოს შორის.

დისკომფორტულ სიტუაციაში წინაღობის ფუნქცია შეიძლება რაიმე საგანმაც შეასრულოს. აი, ჩვენთვის უკვე ნაცნობი წყვილი კაფეში შედის და მაგიდას უსხდება პირისპირ. გრძელდება ჩვეულებრივი, თითქოს ურთიერთკეთილგანწყობილი საუბარი, მაგრამ დააკვირდით გოგონას – მას ჭიქა ორივე ხელით უჭირავს. ჭიქას ორი ხელი არ სჭირდება – აქ ისევ გამიჯვნა, წინაღობის შექმნის მცდელობაა; შესაძლოა, დისკომფორტის წყარო ბიჭია, თუ არა და მშობლების ნაცნობის მიერ შემჩნევის შიში. ჭიქის როლი შეიძლება შეასრულოს ჩანთამ ან, თუნდაც, ბიჭის მიერ მირთმეულმა თაიგულმა.







სულ სხვაა სხეულის ენა, როდესაც ადამიანი კომფორტულ გარემოში იმყოფება. თავი აწეულია, ხელების მოძრაობა თავისუფალი და, უმთავრესად, ქვემოდან ზემოთ მიმართული, მკერდი გახსნილი და ოდნავ წინ წაწეული. ასეთ სიტუაციაში ყოველი ჩვენგანი ყოფილა, თუმცა აქაც არის ინდივიდუალური განსხვავებები. ზოგს, რომ იტყვიან, „მსუბუქი" ხასიათი აქვს, იგი კარგად გრძნობს თავს უცნობებსა და ნაცნობებში, ადვილად შედის კონტაქტში (ანუ **კომუნიკაბელურია**), თავისუფლად იქცევა პრაქტიკულად ნებისმიერ კომპანიაში. ზოგი კი პირიქით, ძირითადად იმაზე ფიქრობს, ზრუნავს, რომ „სწორად მოიქცეს", დაცინვის საგანი არ გახდეს, სულელად არ ჩაითვალოს. ამ ორი ტიპის ადამიანს ადვილად გაარჩევთ მათი სხეულის ენით – ერთი „ღია" პოზებისა და ჟესტებისკენაა მიდრეკილი, მეორე კი – „დახურულებისაკენ".

კომუნიკაბელურ ადამიანებს უფრო ხშირად ახასიათებთ **ლიდერობისაკენ** სწრაფვა. ჯგუფის ლიდერი, მაგალითად, სამეგობროსი, უფრო ხშირად იჩენს ინიციატივას („კვირას ქალაქგარეთ წავიდეთ!"), იღებს გადაწყვეტილებებს („უკვე გვიანია, დროა დავიშალოთ"), მისი ქცევა უფრო ლაღია და თავისუფალი, რაც სხეულის ენაში ჰპოვებს გამოხატულებას. სურათზე ვხედავთ „კარგი" ლიდერის ტიპურ პოზას: ღიმილი, თავი მაღლა, გახსნილი პიჯაკი, წინ წაწეული ფეხი; სიმპათიური ახალგაზრდა თითქოს გვეუბნება: „კარგად ვგრძნობ თავს, მშვენიერ ხასიათზე ვარ, თქვენც მომწონხართ, რაიმე საინტერესო ხომ არ მოვიფიქროთ?"

მაგრამ ეს კარგი ლიდერი, „ცუდი" – სხეულის ენით, უფრო ხშირად ე.წ **ავტორიტარული** პოზით






თუ ქცევით, ხაზს უსვამს თავის **დომინანტურ** (ზემდგომ, აღმატებულ) მდგომარეობას: ზურგსუკან აწყობს ხელებს, წინ იშვერს ნიკაპს, თითს უქნევს დამსწრეებს ან მუშტს აკაკუნებს მაგიდაზე.

გარდა ამისა, ლიდერობისაკენ მიდრეკილი ადამიანები უფრო ადვილად და ხშირად არღვევენ სხვების პირად სივრცეს. თუმცა, ჯერ ვნახოთ, რა არის პირადი სივრცე.

თქვენ ადიხართ ავტობუსში, სალონში სულ 3-4 ადგილია დაკავებული. სად დაჯდებით? ცხადია, სხვებისაგან მაქსიმალურად მოშორებით. ხოლო თუკი ვინმეს გვერდით მიუჯდებით, ეს ვინმე გაკვირვებით ან შეშფოთებით შემოგხედავთ და საკუთარ ჩანთას თუ ჯიბეს დააფარებს ხელს, ვინაიდან ჩათვლის და, ალბათ, არცთუ უსაფუძვლოდ, რომ თქვენ ავტობუსში მხოლოდ მგზავრობისათვის არ ასულხართ.

რატომ? ავტობუსში ადგილები ხომ დანომრილი არაა, თითქოს დაჯექი, სადაც მოგეპრიანება... სინამდვილეში კი მუდმივად მოქმედებს დაუწერელი წესი – სხვა ადამიანის პირად სივრცეში შეჭრა არ შეიძლება. პირადი სივრცე – ესაა უხილავი წრე, უფრო სწორად, რამდენიმე წრე, რომლებიც ქმნიან გარკვეულ უჩინარ ბარიერს თქვენსა და თქვენ მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულებაში მყოფ ადამიანებს შორის.

ყველაზე ახლო წრის თქვენგან დაშორება დაახლოებით 30 სმ-ს შეადგენს და მისი საზღვრების დარღვევის უფლება აქვთ მხოლოდ უახ-

ლოეს ადამიანებს – ოჯახის წევრებს, შეყვარებულს, მეგობრებს. შემდეგ მოდიან მეტნაკლებად ახლო ნაცნობები, ბოლოს კი (1,5-2 მ.) ის უცნობი ადამიანები, რომელთანაც რაიმე მიზეზით გიწევთ ხანმოკლე ურთიერთობა, მაგალითად, მაღაზიის გამყიდველი.

როგორც ვთქვით, დომინანტური, ლიდერობისაკენ მიდრეკილი პირები უფრო ხშირად და მოურიდებლად არღვევენ სხვის პირად სივრცეს – მხარზე თუ ზურგზე გითათუნებენ ხელს, ხელკავს გიკეთებენ და ა.შ. ეს შეიძლება მოხდეს კეთილგანწყობით ან იმდენად ხანმოკლედ, რომ თქვენ არც კი იგრძნოთ თავი დისკომფორტულად, მაგრამ შეიძლება ჩვენმა ლიდერმა გადაამლაშოს; ამ შემთხვევაში თქვენ შეეცდებით განერიდოთ მას, ხოლო თუკი ეს გაგიძნელდათ, თქვენი პოზა აჩვენებს, რომ ამგვარი სიახლოვე არ გსიამოვნებთ. გაიხსენეთ გოგონა, რომელსაც ქუჩაში მისმა თანამგზავრმა ხელი გადახვია – მისი პოზა შესაძლოა იმის მანიშნებელიც იყოს, რომ ამ ბიჭს იგი არ თვლის სათანადოდ ახლობლად ამგვარი ახლო შეხებისათვის ან, სულაც, მაინცდამაინც არ მოსწონს. მოწონების შემთხვევაში, სხეულის ენა სულ სხვაა. მოდი, წერილის ბოლოს სწორედ ეს სფერო მიმოვიხილოთ.

უნდა ითქვას, რომ მამაკაცების სხეულის „საარშიყო“ ენა საკმაოდ ღარიბია – „სხვანაირი“ მზერა, „გაბრექილი“ პოზა (წინ წაწეული მხრები და მკერდი; მუცელი, შეძლებისდაგვარად, დამალული) – პრაქტიკულად ესაა და ეს. თუმცა არა, კიდევ ერთი დეტალი – ინტერესის ობიექტთან საუბრისას კაცები ხშირად წარბებს ამოძრავებენ. თუმცა ეს შეიძლება უბრალოდ საუბრის მანერა იყოს. მაგრამ გოგონებო, თუ ბიჭს მხოლოდ თქვენთან ლაპარაკისას აუდის-ჩამოუდის წარბები, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ – მოსწონხართ!

ქალების „არსენალი“ გაცილებით მდიდარი და მრავალფეროვანია. სწრაფი გამჭოლი მზერა, თმების ხშირი შესწორება, კულულით თამაში, მოფერება – საკუთარი ხელის, კალმისტრისა თუ ჭიქის, ბეჭდის ნელი გაწევ-გამოწევა (სწორედ ნელი და ნაზი, სწრაფი – ნერვიულობის ნიშანია!), მოსაუბრისათვის მაჯის შიდა ნაწილის ხშირი დემონსტრირება, ჯდომისას – მუხლების ან მუხლის მიმართვა ბიჭისაკენ (თუმცა ეს კაცებისთვისაცაა დამახასიათებელი, ბუნებრივია, მოწონებული ქალის მიმართ), დგომისას – ერთი ფეხით მეორის გახახუნება – ყველაფერი ეს მამაკაცით დაინტერესებული ქალის სხეულებრივი ნიშნების არასრული ჩამონათვალია.

საინტერესოა, რომ ქალები „ფლირტის“ არა მარტო უფრო მრავალფეროვან ენას ფლობენ, ისინი მამაკაცებზე ბევრად უკეთ „კითხულობენ“ კიდეც ამ ენას. საკმარისია სიმპათიური უცნობის დანახვაზე ერთმა გოგონამ თმები გააქნიოს ან ტუჩებზე ენა მოისვას, მისი დაქალები ირონიულად გადახედავენ ერთმანეთს ან რაღაცას გადაუჩურჩულებენ; კაცები ამგვარ დეტალებს ნაკლებად ამჩნევენ. თუმცა ყოველთვის არა – ზოგი კაცი „ფლირტზე წამომსვლელ“ ქალს, რომ იტყვიან, სამ კილომეტრში ამჩნევს და საპასუხო სიგნალებსაც უგზავნის, ვერბალურს თუ არავერბალურს. როგორც წესი, ასეთები ქალებს უფრო უყვართ, ვიდრე სხვა კაცებს; ხომ გასაგებია, რატომ?

ამჯერად აქ დავსვათ წერტილი. იმედი მაქვს, რაც მოგიყევით, ზოგიერთი მკითხველისათვის მაინც, არ იყო მთლად ინტერესმოკლებული, ხოლო ამ ზოგიერთიდან კიდევ ზოგიერთს ინტერესიც ჩაესახა ყოველდღიური სინამდვილის მანამდე ნაკლებად შემჩნეული სფეროსადმი.

კარგად ბრძანდებოდეთ!





# გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ.)

ვახტანგ გურული

ქართლისა და კახეთის სამეფოები 1735 წლიდან პროირანულ ორიენტაციას მისდევდნენ. პროირანული ორიენტაცია მომგებიანი იყო მანამ, სანამ ირანი ძლიერი სახელმწიფო იყო. ნადირ-შაჰის მკვლელობის შემდეგ (1747 წ.) კი ირანი დაქვეითების გზას დაადგა. დასუსტებული ირანის იმედად ქართლისა და კახეთის სამეფოები ვერ იქნებოდნენ. 1762 წელს გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტზე ავიდა ერეკლე II. ამ დროს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა. ერეკლე II-ს არჩევანი ირანს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის უნდა გაეკეთებინა. ქართლ-კახეთის მეფემ ჩათვალა, რომ სამხრეთ კავკასიაში გაბატონებისათვის მებრძოლ ამ სამ სახელმწიფოს შორის გამარჯვება რუსეთს დარჩებოდა, ამიტომ მან პრორუსული ორიენტაცია არჩია და რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლა გადაწყვიტა.

რუსეთის იმპერიის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს მიღების საკითხი ეკატერინე II-ის წინაშე ერეკლე II-მ ოფიციალურად 1772 წელს დააყენა. 1771 წლის 30 დეკემბერს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო: ამ დღეს მეფემ თბილისში ხელი მოაწერა რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-სთვის გასაგზავნ დოკუმენტს – ხელშეკრულების პროექტს, რომლის მიხედვითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას ითხოვდა. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლისას, სხვა პირობებთან ერთად, უმაღლესი საერო (ქართლ-კახეთის მეფის) და საეკლესიო (კათოლიკოს-პატრიარქის) ხელისუფლების „უცვალებელად“ და „მოუშლელად“ შენარჩუნებას ითხოვდა. ამგვარად, ქართლ-კახეთის მეფე ითხოვდა სამეფო ხელისუფლების უცვლელად შენარჩუნებას, ბაგრატიონთა დინასტიით სათავეში, და სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი იერარქისათვის – კათოლიკოს-პატრიარქისათვის – უფლებების უცვლელად დატოვებას.



*ეკატერინე II*
*ავტორი: დიმიტრი ლევიცკი (1780)*

***ეკატერინე II დიდი** (რუს. Екатерина Великая; ქალიშვილობაში სოფია ფრედერიკა ავგუსტა ფონ ანჰალტ-ცერბსტი) რუსეთის იმპერატორი 1762-1796 წლებში. დაიბადა 1729 წლის 21 აპრილს. 1845 წლის 21 აგვისტოს დაქორწინდა რუსეთის ტახტის მემკვიდრეზე, ჰოლშტაინის ჰერცოგ კარლ-პიოტრ-ულრიხზე, მომავალ რუსეთის იმპერატორ პეტრე III-ზე (1761-1762). დედოფალი ეკატერინე პეტრე III-ის მკვლელობის შემდეგ (1762 წლის 6 ივლისი), რისი მონაწილეც თვითონ იყო, იმპერატორი გახდა. ეკატერინე II-ის დროს რუსეთმა დაიწყო ფართომასშტაბიანი აგრესიული გეგმების განხორციელება რამდენიმე მიმართულებით. რუსეთის აქტიური მონაწილეობით ავსტრიამ და პრუსიამ სამგზის (1772, 1793 და 1795 წლებში) გადაინაწილეს პოლონეთის ტერიტორია. მესამე გადანაწილების შემდეგ (1795) პოლონეთის სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. პოლონეთის აღმოსავლეთი ნაწილი რუსეთის იმპერიაში შევიდა. ეკატერინე II-მ დამოუკიდებლობა წაართვა უკრაინელ კაზაკებს და მათი დიდი ნაწილი მდინარე დონზე და ყუბანში გადაასახლა. 1768-1774 და 1787-1791 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში გამარჯვების შემდეგ ეკატერინე II-მ მიიღო თურქეთის მთელი ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთი, უზარმაზარი ტერიტორია – მდ. ყუბანის შავ ზღვაში ჩადინების ადგილიდან მდ. დუნაის შავ ზღვაში ჩადინების ადგილამდე. 1783 წელს ეკატერინე II-მ ყირიმის სახანო დაიპყრო და ამით მთელ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთზე გაბატონდა. ეკატერინე II-მ დაიწყო ჩრდილო კავკასიის დაპყრობა. 1796-1797 წლებში რუსეთის საექსპედიციო კორპუსი ჩრდილო კავკასიიდან კასპიის ზღვის სანაპიროს გავლით ირანში შეიჭრა და თითქმის ქვეყნის შუაგულამდე მიაღწია.*

*ეკატერინე II-ს სურდა ევროპაში განათლებული მონარქის სახელი ჰქონოდა. მას მიმოწერა ჰქონდა ფრანგ განმანათლებლებთან ვოლტერთან და რუსოსთან. ეკატერინე II-მ სცადა რუსეთში რეფორმების გატარება, მაგრამ ყველა ეს რეფორმა ან დასაწყისშივე შეწყდა, ან შუა გზაზე შეჩერდა. XIX საუკუნეში რუსეთში გავრცელდა გამოთქმა: „პეტრე დიდმა ჩვენ გვაქცია ევროპის მოქალაქეებად, ეკატერინე დიდმა კი დაგვარწმუნა, რომ ჩვენ მაინც რუსები ვართ“.*

*ეკატერინე II-ის მმართველობის დროს, 1783 წლის 24 ივლისს, ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დაიდო მფარველობითი ხელშეკრულება – გეორგიევსკის ტრაქტატი.*

რუსეთის მფარველობაში შესვლის პირობად ერეკლე II ასევე აყენებდა:

1. რუსთა ოთხიათასიანი კორპუსის გამოგზავნას ქართლ-კახეთის დასაცავად;
2. რუსეთის იმპერიის ხაზინიდან სესხის მიცემას ქართლ-კახეთის ჯარის შესანახად;
3. რუსეთ-ოსმალეთის ომის (იგულისხმება იმხანად მიმდინარე 1768-1774 წლების ომი) დამთავრების შემდეგ ზავის დადებისას „ახალციხის ქვეყანა“ არ უნდა დარჩენილიყო ოსმალეთის შემადგენლობაში.

1722 წლის 6 იანვარს, ანუ ხელშეკრულების პროექტის ხელმოწერიდან ერთი კვირის შემდეგ, მცხეთაში ხელი მოეწერა მეორე დოკუმენტს, რომელსაც ეწოდება ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობა რუსეთის იმპერატორს. ხელშეკრულების პროექტისაგან განსხვავებით, რომელსაც ხელს მხოლოდ ერეკლე II აწერდა, სამეფო სახლის პირობას ხელს აწერდნენ **მეფე ერეკლე II**, **დედოფალი დარეჯანი**, **კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I**, ერეკლე II-ის შვილები: **გიორგი, ლევანი, იულონი და ვახტანგი**. ქართლ-კახეთის სამეფო სახლი ფიცით დებდა პირობას, რომ რუსეთის იმპერატორის მფარველობაზე უარს არასოდეს იტყოდა.



*სამცხე-საათაბაგო, ანუ „ახალციხის ქვეყანა“, ძირითადად დღევანდელი ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ადიგენის მუნიციპალიტეტები, ასევე დღეს თურქეთის შემადგენლობაში შემავალი საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი მიტაცებული ჰქონდა ოსმალეთს (თურქეთს). თუ რუსეთ-ოსმალეთის 1777-1778 წლების ომში რუსეთი გაიმარჯვებდა და ოსმალეთს სამცხე-საათაბაგოდან განდევნიდა, ერეკლე II ამ ტერიტორიის ქართლ-კახეთის სამეფოსთან შეერთებას ითხოვდა.*



*მეფე ერეკლე II*



*დედოფალი დარეჯანი*



*კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I*



*მეფე სოლომონ I*

ხელშეკრულების პროექტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის თაობაზე (1771 წლის 30 დეკემბერი) და ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობა რუსეთის იმპერატორს (1772 წლის 6 იანვარი) 1772 წელს პეტერბურგში ჩაიტანეს კათოლიკოს-პატრიარქმა **ანტონ I-მა** და **ლევან ბატონიშვილმა.** იმავდროულად რუსეთის იმპერატორს მფარველობაში მიღებას სთხოვდა იმერეთის მეფე სოლომონ I.



***გრიგოლ პოტიომკინი (1739-1791) – რუსი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ეკატერინე II-ის ფავორიტი. გრიგოლ პოტიომკინი იყო კავკასიის ხაზის უფროსი.***

***კავკასიის ხაზი წარმოადგენდა სტრატეგიული დანიშნულების სიმაგრეების ხაზს აზოვის ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ხაზის დანიშნულება იყო რუსეთის სამხრეთი საზღვრების დაცვა.***

***ქვეშევრდომობა** (Подданство) **ნიშნავდა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის სრულად დაკარგვას, ხოლო მფარველობა** (Покровительство) **ითვალისწინებდა ძირითადი სუვერენული უფლებების შენარჩუნებას ზოგიერთი შეზღუდვით.***



რუსეთის საიმპერატორო კარზე დიდხანს იფიქრეს ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის თხოვნაზე. 1782 წლის მიწურულსა და 1783 წლის დამდეგს (ზუსტი თარიღი უცნობია) ეკატერინე II-ის მდივანმა და იმპერიის საგარეო-პოლიტიკური უწყების ფაქტობრივმა ხელმძღვანელმა ალექსანდრე ბეზბოროდკომ კავკასიის ხაზის უფროსს, **გრიგოლ პოტიომკინს**, წერილობით აცნობა ეკატერინე II-ის აზრი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებთან დასადები ხელშეკრულებების (ტრაქტატის) თაობაზე. ევროპის სახელმწიფოებთან პოლონეთის ტერიტორიის, ხოლო ოსმალეთთან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის გამო გართულებული მდგომარეობის პირობებში ეკატერინე II-ს სიფრთხილე გამოუჩენია და უბრძანებია: „...დაიდოს ქართველ მეფეებთან სამოკავშირეო ტრაქტატი, ნუ უწოდებთ მათ ქვეშევრდომებს, უწოდეთ მოკავშირეები, რომლებიც იმყოფებიან რუსეთის იმპერიის მფარველობაში“. იმავდროულად, ეკატერინე II კატეგორიულად მოითხოვდა ერეკლესა და სოლომონს შეეწყვიტათ ურთიერთობა ავსტრიის იმპერატორთან, ასევე სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებთან. ეკატერინე II საგანგებოდ მიანიშნებდა, რომ ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს ავსტრიის იმპერატორისათვის წერილიც კი არ უნდა გაეგზავნათ. ამრიგად, ეკატერინე II-მ მფარველობითი ხელშეკრულების დადების პირობად წამოაყენა ისეთი მოთხოვნა, რომელიც ლახავდა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების სუვერენიტეტს – ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს აეკრძალათ ავსტრიის იმპერატორთან და სხვა ქრისტიან ხელმწიფეებთან დიპლომატიური ურთიერთობა (მიმოწერაც კი!).

საინტერესოა ეკატერინე II-ის კიდევ ერთი პირობა: გრიგოლ პოტიომკინს უნდა დაემყარებინა მშვიდობა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სა და იმერეთის მეფე სოლომონ I-ს შორის. მეფეებს შო-

რის უთანხმოების კვლავ წარმოშობის შემთხვევაში არბიტრის როლი რუსეთს უნდა შეესრულებინა. ამ პირობის წამოყენების მიზანი სრულიად ნათელია: რუსეთი ეცდებოდა ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის უთანხმოების გამძაფრებას და შემდეგ ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას – ქართველ მეფეთა დაპირისპირებაში შუაკაცის როლის შესრულებას.

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიის რუსულ ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში დაიდო ტრაქტატი (ხელშეკრულება) რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. პრეამბულის მიხედვით, ტრაქტატი იყო **„მეგობრობითი ხელშეკრულება“** და ქართლ-კახეთის სამეფო ცნობდა რუსეთის იმპერატორის **„უმაღლეს ხელისუფლებასა და მფარველობას“.**

გეორგიევსკის ტრაქტატის პირველ მუხლში აღნიშნული იყო, რომ ერეკლე II თავისი და მემკვიდრეების სახელით საზეიმოდ აცხადებდა, რომ ამიერიდან სამუდამოდ უარს ამბობდა ეცნო ირანის ან რომელიმე სხვა ქვეყნის ხელმწიფის უზენაესი ხელისუფლება და მფარველობა, გარდა რუსეთის იმპერატორისა და მისი მემკვიდრეებისა.

ტრაქტატში ასახვა ვერ პოვა ეკატერინე II-ის კატეგორიულმა მოთხოვნამ ავსტრიის იმპერატორთან და სხვა ქრისტიან ხელმწიფეებთან ქართლ-კახეთის სამეფოს მხრიდან ურთიერთობის გაწყვეტის თაობაზე. როგორც ჩანს, საბოლოოდ ეკატერინე II მოერიდა ასეთი მოთხოვნის ხელშეკრულებაში შეტანას, რადგან ქრისტიან ხელმწიფეებთან ურთიერთობისას იგი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა რუსეთის საიმპერატორო კარს.

ტრაქტატის *მეორე მუხლში* აღნიშნული იყო, რომ რუსეთის იმპერატორი მისი და მემკვიდრეების სახელით პირობას დებდა სამუდამო მფარველობა გაეწია ქართლ-კახეთის სამეფოსათვის და ქვეყნის ტერიტორია დაეცვა გარეშე მტრებისაგან.

ტრაქტატის *მესამე მუხლი* ადასტურებდა, რომ რუსეთის მფარველობაში შესულ ქართლ-კახეთის სამეფოში შენარჩუნებული იქნებოდა ერეკლე II-ისა და მისი მემკვიდრეების მეფობა. რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთის ახალი მეფის ტახტზე ასვლას მეფობის კანდიდატისათვის სამეფო ნიშნების (გვირგვინი, სკიპტრა) გამოგზავნით ადასტურებდა.

ტრაქტატი არ ეხებოდა ერეკლე II-ის უფლებას ქვეშევრდომებზე, ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობას, ქართულ სამართალსა და სასამართლო სისტემას, ფულად-საფინანსო სისტემას, ზომა-წონის ერთეულებს, ჯარის ორგანიზაციას



*„სამეფო სახლის პირობა“, ფრაგმენტი,*
*ხელს აწერენ მეფე ერეკლე II, დედოფალი დარეჯანი, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I, ერეკლე II-ის შვილები: გიორგი, ლევანი, იულონი და ვახტანგი*

და ა.შ. ამ სფეროში ერეკლე II არ იყო შეზღუდული. ქართლ-კახეთის მეფის ქვეშევრდომი არ ხდებოდა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი. რუსეთის იმპერატორი ასევე ვალდებულებას იღებდა, რომ მისი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები არ ჩაერეოდნენ ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში. თუმცა ამ თვალსაზრისით ქართლ-კახეთისათვის ძალზე საშიში იყო ტრაქტატის *მეშვიდე მუხლი.* ქართლ-კახეთის მეფეს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნისას უნდა გაეთვალისწინებინა კანდიდატის დამსახურება რუსეთის წინაშე: „რათა უსაკუთრესად აჩუენოსმცა უდიდესობაი მსახურებისათვის რუსეთის იმპერიისა“. ცხადია, ამ მოთხოვნის ტრაქტატში შეტანა პოლიტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი. რუსეთის საიმპერატორო კარზე კარგად იცოდნენ, რომ ერეკლე II-ის ქვეშევრდომთა (თავადთა და აზნაურთა) შორის ყველა არ იყო პრორუსული ორიენტაციისა. ტრაქტატის *მეშვიდე მუხლი* რუსეთის საიმპერატორო კარს გარანტიას აძლევდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე არ დაწინაურდებოდნენ პრორუსული ორიენტაციის მოწინააღმდეგენი. *მეშვიდე მუხლი,* ცხადია, ზღუდავდა ქართლ-კახეთის მეფის სუვერენულ უფლებებს.

გეორგიევსკის ტრაქტატში ვერ აისახა ერეკლე II-ის მიერ შემუშავებული ხელშეკრულების პროექტში (1771 წლის 30 დეკემბერი) შეტანილი მოთხოვნა კათოლიკოს-პატრიარქის უფლებების უცვლელად დატოვების თაობაზე. ტრაქტატის *მერვე მუხლი,* რომელიც ქართლ-კახეთის ეკლესიასა და კათალიკოს-პატრიარქს ეხება, ასევე მიუღებელი იყო ქართლ-კახეთისათვის. მცხეთის უძველესი საპატრიარქო ტახტის მპყრობელი, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I ხდებოდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრი და სინოდის წევრ მღვდელმთავართა შორის იკა-

ვებდა მერვე ადგილს. 1700 წლიდან რუსეთის ეკლესიას პატრიარქი არ ჰყავდა, სინოდის წევრები მხოლოდ მღვდელმთავრები (ეპისკოპოსები, არქიეპისკოპოსები, მიტროპოლიტები) იყვნენ. იმხანად ანტონ I-ის რანგის საეკლესიო იერარქი რუსეთს არ ჰყოლია. უძველესი ავტოკეფალიური ეკლესიის საჭეთმპყრობელი სინოდის წევრებს – რიგით მღვდელმთავრებს – გაუტოლეს. ამასთან, შვიდი რუსი მღვდელმთავარი სინოდში ანტონ I-ზე დიდი პატივით სარგებლობდა. ეს კი კათოლიკოს-პატრიარქის ღირსების შელახვას ნიშნავდა. რუსეთის საიმპერატორო კარზე კარგად უწყოდნენ, რომ საქმე ჰქონდათ უძველეს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიასთან და მის წინამძღვართან. ამიტომ იყო, რომ *მერვე მუხლის* ძალით ორი ქვეყნის ეკლესიათა შორის ურთიერთობა უნდა გარკვეულიყო ცალკე ხელშეკრულებით. ასეთი ხელშეკრულება აღარ დადებულა.

ტრაქტატის ძირითად ტექსტთან (პრეამბულა და ცამეტი მუხლი) ერთად დამოუკიდებელ დოკუმენტად გაფორმდა (ცალკე მოეწერა ხელი) საიდუმლო მუხლები (ოთხი მუხლი).

აღსანიშნავია, რომ *პირველ, ანუ საიდუმლო მუხლში,* ასახვა ჰპოვა ეკატერინე II-ის მოთხოვნამ. ერეკლე II მეგობრულ ურთიერთობაში უნდა დარჩენილიყო სოლომონ I-თან, ხოლო მეფეებს შორის უთანხმოების გაჩენის შემთხვევაში, არბიტრის როლს შეასრულებდა რუსეთის იმპერატორი, რომლის გადაწყვეტილებასაც ერეკლე II უნდა დამორჩილებოდა. ცხადია, *პირველი სეპარატული მუხლი* ლახავდა როგორც ერეკლე II-ის, ისე სოლომონ I-ის სუვერენულ უფლებებს და ამავე დროს რუსეთს საშუალებას აძლევდა ჩარეულიყო ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ურთიერთობაში.

*მეორე სეპარატული მუხლის* ძალით ქართლ-კახეთის სამეფოში მუდმივად უნდა მდგარიყო რუსეთის ორი ბატალიონი ოთხი ბატალიონით.

*მესამე სეპარატული მუხლის* ძალით რუსეთი ვალდებული იყო ომის შემთხვევაში დამატებითი დახმარება აღმოეჩინა (ჯარი გაეზარდა) ქართლ-კახეთის სამეფოსათვის და მისი მტერი ორივე ქვეყნის მტრად შეერაცხა: „დასდუას ჰაზრი შეწევნისათვის თქმულთა მათ ქუეყანათა და წინაღდგომისა მტერთასა მოქმედებისათვის, რომელიცა არა სხუებრ, არამედ ვითარცა საერთოდ მტრად შერაცხუად სათანადო არს“.

*მეოთხე სეპარატული მუხლის* ძალით რუსეთი ვალდებული იყო ომის შემთხვევაში (იგულისხმებოდა ომები ირანთან და ოსმალეთთან) ქართლ-კახეთის სამეფოს დახმარებოდა იარაღით, ამასთან ერთად, საზავო მოლაპარაკების დროს უნდა ეცადა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დაებრუნებინა წინათ მტერთაგან წართმეული ტერიტორიები (იგულისხმებოდა XVI საუკუნიდან ოსმალეთის მიერ მიტაცებული სამცხე-საათაბაგო და XVII საუკუნიდან ირანის მიერ მიტაცებული ჭარბელაქანი (საინგილო – დღეს ეს ტერიტორია კახისა და ზაქათალის რაიონების სახით აზერბაიჯანის შემადგენლობაშია).




გეორგიევსკის ტრაქტატთან ერთად ასევე ცალკე დამოუკიდებელ დოკუმენტად გაფორმდა ფიცის ნიმუში, რომელიც ერეკლე II-ს უნდა მიეღო ტრაქტატის რატიფიკაციის შემდეგ.

რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის მფარველობით ხელშეკრულებას (ტრაქტატს) ხელი მოეწერა 1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიის რუსულ ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში. რუსეთის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა გენერალ-მაიორმა **პავლე პოტიომკინმა.** ქართლ-კახეთის მხრიდან – თავადმა **გარსევან ჭავჭავაძემ** და თავადმა **იოანე მუხრანბატონმა-ბაგრატიონმა.**

1783 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ქართველი ელჩები სამშობლოში დაბრუნდნენ. იმავე წლის 20 აგვისტოს ერეკლემ ტრაქტატზე ხელმოწერის აღსანიშნავად საზეიმო ცერემონია გამართა. 9 საათზე ხალხი სიონის ტაძართან შეიკრიბა, 11 საათზე კი მეფე უფლისწულებითა და დიდებულებით მოვიდა. წირვა გადაიხადეს. შემდეგ მეფემ წვეულება გამართა, სალუტიც ისროლეს.

1783 წლის აგვისტოში ტრაქტატის დედანი პეტერბურგში ჩაიტანეს. იგი მოიწონეს და განკარგულება გასცეს ტექსტის დაბეჭდვის თაობაზე.



*პავლე პოტიომკინი (1743-1796) – გრიგოლ პოტიომკინის ნათესავი, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალ-მაიორი. რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დასადები ხელშეკრულებისათვის ხელი უნდა მოეწერა გრიგოლ პოტიომკინს, მაგრამ იგი გეორგიევსკში არ ჩასულა და თავისი უფლებები გადასცა პავლე პოტიომკინს.*



*იოანე მუხრანბატონი-ბაგრატიონი (1755-1801) – ქართლის თავადი, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე*

ტრაქტატის ძირითადი ტექსტი, 13 მუხლი, მალე სტამბური წესით დაიბეჭდა რუსულად. იგი რუსეთის საელჩოებსაც გაუგზავნეს უცხოეთში. 1783 წლის 21 სექტემბერს ეკატერინე II-მ მოახდინა გეორგიევსკის ტრაქტატის, ანუ, როგორც იგი წერდა, „მეგობრობის ხელშეკრულების" რატიფიკაცია და დოკუმენტი საქართველოში გამოაგზავნეს.



*გეორგიევსკის ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელი*

1783 წლის ოქტომბერში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონიდან ერთი საქართველოში შემოვიდა. 1783 წლის დეკემბერში რუსი პოლკოვნიკი ვასილ ტომარა პეტერბურგიდან გეორგიევსკში ჩავიდა, საიდანაც 26 დეკემბერს გენერალმა პავლე პოტიომკინმა იგი ტრაქტატის რატიფიცირებული რუსული ტექსტით, სამეფო ნიშნებითა და საჩუქრებით თბილისისაკენ გამოისტუმრა. 1784 წლის 17 იანვარს პოლკოვნიკი ვასილ ტამარა თბილისში ჩა-



*გარსევან ჭავჭავაძე (1757-1811) – კახეთის თავადი, პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩი რუსეთში*

მოვიდა და 22 იანვარს ერეკლეს წარუდგა. 24 იანვარს ერეკლე II-მ ტრაქტატის რატიფიკაცია მოახდინა (სარატიფიკაციო სიგელს ხელი მოაწერა), 25 იანვარს რუსი მოხელეების სტეფანე ბურნაშოვისა და **ვასილ ტომარას** თანდასწრებით რუსეთის ერთგულების ფიცი მიიღო, რის შემდეგაც ვახტანგ ბატონიშვილმა და პოლკოვნიკმა ვასილ ტომარამ სარატიფიკაციო სიგელები გაცვალეს, ხოლო იოანე ბაგრატიონმა და გარსევან ჭავჭავაძემ დამატებითი მუხლი გაუცვალეს პოლკოვნიკ ვასილ ტომარას.

*ვასილ ტომარა (1740-1813) – რუსი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, რამდენჯერმე იმყოფებოდა თბილისში, ერეკლე II-ის კარზე.*

საქართველოში ადრე გამოგზავნილი პოლკოვნიკი **სტეფანე ბურნაშევი,** რომელმაც 1783 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარის ბატალიონიც ჩაიბარა, 1784 წლის 25 იანვრიდან ოფიციალურად შეუდგა საქართველოში რუსეთის მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენლის (მინისტრის) ფუნქციის შესრულებას. 1784 წლის 29 იანვარს ერეკლე II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიან წარმომადგენლად (მინისტრად) რუსეთის-სამეფო კარზე თავადი გარსევან ჭავჭავაძე დანიშნა.

*სტეფანე ბურნაშევი (1743-1824) – რუსი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალ-მაიორი, რუსეთის მინისტრი (წარმომადგენელი) ერეკლე II-ის კარზე.*

გეორგიევსკის ტრაქტატით დასრულდა რუსეთის ხანგრძლივი ურთიერთობა ქართულ სამეფო სამთავროებთან. ესაა უმნიშვნელოვანესი მიჯნა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიაში.

**ტრაქტატის შედეგები დამღუპველი აღმოჩნდა ქართლ-კახეთის სამეფოსა და მთლიანად საქართველოსათვის, კერძოდ:**

**1** სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში საუკუნეების მანძილზე ქართული სახელმწიფოს არსებობა ემყარებოდა ორ მტრულ ძალას შორის ლავირების პოლიტიკას. ეს პოლიტიკა, ზოგიერთი წარუმატებლობის მიუხედავად, მაინც მომგებიანი იყო საქართველოსათვის. გეორგიევსკის ტრაქტატის დადებითა და რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლით ერეკლე II-მ უარი თქვა ლავირების პოლიტიკაზე და ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი მთლიანად რუსეთის იმპერიის კეთილ ნებას დაუკავშირა. გეორგიევსკის ტრაქტატით ერეკლე II-მ უარი თქვა დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე და ქართლ-კახეთის სამეფო სატელიტად იქცა რუსეთის აღმოსავლურ პოლიტიკაში.

**2** გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლამ უკიდურესად გაალიზიანა ისლამური სამყარო (ირანი, ოსმალეთი, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები). ისლამურმა სამყარომ იმთავითვე ზუსტად ამოიცნო ის დამღუპველი შედეგები, რაც მისთვის საქართველოში რუსეთის დამკვიდრებას შეიძლება მოჰყოლოდა. რუსეთის საქართველოში დამკვიდრება საშიში იყო ოსმალეთისთვის, რადგან კარგად იყო ცნობილი რუსეთის მისწრაფება შავი ზღვის აუზში გაბატონებისაკენ, შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში გამავალი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდებისაკენ. თუ რუსეთი საქართველოში ფეხს მოიკიდებდა, მას შეეძლო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს გავლით ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების მიმართულებით შეეტია. საშიშროება ელოდა ირანსაც. უკვე XVIII საუკუნის დამდეგიდან რუსეთი ცდილობდა ირანისათვის წაერთმია კასპიის ზღვის სანაპიროები, რათა ამ რეგიონის გავლით გაჭრილიყო ინდოეთისაკენ. საქართველოში დამკვიდრება რუსეთს კასპიის ზღვის სანაპიროების ხელში ჩაგდებას გაუადვილებდა. საქართველოში რუსეთის დამკვიდრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ ისლამის აღმსარებელი ჩრდილო კავკასიის ხალხები (ჩეჩნები, ინგუშები, ხუნძახელები, ავარიელები, ლეკები და სხვ.). მთელი XVIII საუკუნის მანძილზე რუსები ჩრდილო კავკასიის ხალხებს ავიწროებდნენ. ისინი აიძულეს ჩრდილო კავკასიის ბარი მიეტოვებინათ და მთებს შეხიზნოდნენ. თუ რუსეთი საქართველოში ფეხს მოიკიდებდა, სამხრეთიდანაც შეუტევდა ჩრდილოეთიდან უკვე შევიწროებულ მთიელებს. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ისლამური სამყარო დაირაზმა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გასანადგურებლად, რათა ამ გზით არ დაეშვათ რუსეთის დამკვიდრება საქართველოში.




**3** რუსეთის საიმპერატორო კარმა კარგად იცოდა, თუ რა რეაქცია მოჰყვებოდა გეორგიევსკის ტრაქტატის დადებას ისლამურ სამყაროში, მაგრამ ქართლ-კახეთის სამეფოს დასაცავად არაფერი გაუკეთებია. გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული ორი ბატალიონიდან საქართველოში მხოლოდ ერთი შემოვიდა, რასაც არა პრაქტიკული, არამედ მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. 1787 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი და ის ერთი ბატალიონიც რუსეთმა ქართლ-კახეთიდან გაიყვანა. რუსეთის იმპერატორი ჯარის გაყვანას ასე ამართლებდა: ქართლ-კახეთში მყოფი რუსეთის ჯარი ოსმალეთსა და ირანს აღიზიანებსო. მიუხედავად ქართლ-კახეთის სამეფოს სხვა სახელმწიფოთა აგრესიისაგან დაცვის შესახებ გეორგიევსკის ტრაქტატის სრულიად გარკვეული პირობისა, რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო არ დაიცვა 1795 წელს, როდესაც გეორგიევსკის ტრაქტატით უკიდურესად გაღიზიანებული ირანის მმართველი აღა-მაჰმად-ხანი ქართლ-კახეთის ასაოხრებლად გამოემართა. რუსე-



*აღა-მაჰმად-ხანი დაიბადა 1741 წელს. ყაჯართა თურქული ტომის წარმომადგენელი, ითვლება ყაჯართა დინასტიის დამაარსებლად. ირანის მმართველის ქერიმ-ხანის გარდაცვალების შემდეგ (1779 წ.) ჩაება ირანის შაჰის ტახტისათვის ბრძოლაში, დაამარცხა უმთავრესი მოწინააღმდეგე ზენდების ტომი და 1796 წელს შაჰის ტიტული მიიღო. იყო ვერაგი და დაუნდობელი ადამიანი, მემკვიდრე არ დარჩენია, რადგან ახალგაზრდობაშივე დაასაჭურისეს. ერეკლე II-საგან ითხოვდა გეორგიევსკის ტრაქტატის გაუქმებას და ირანის ქვეშევრდომობაში შესვლას. ერეკლე II-ის უარის შემდეგ, 1795 წლის სექტემბერში, ილაშქრა ქართლ-კახეთის სამეფოზე, 12 სექტემბერს აიღო და გადაწვა თბილისი. აღა-მაჰმად-ხანი მეორედაც აპირებდა ქართლ-კახეთის სამეფოს დალაშქვრას, მაგრამ 1797 წლის 11 ივნისს ქალაქ შუშაში (აზერბაიჯანი) შეთქმულებმა მოკლეს.*

თი ერეკლე II-ს არც ჩრდილოეთ კავკასიის მთიელების თავდასხმების აღსაკვეთად დაეხმარა. სერიოზული სამხედრო ძალა რუსეთმა საქართველოში მხოლოდ 1799 წელს შემოიყვანა და ისიც იმიტომ, რომ მფარველობაში მიღებული ქვეყანა დაეპყრო.

4 წარუმატებელმა პრორუსულმა ორიენტაციამ, რუსეთის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო ერეკლე II. ამით ისარგებლა მეფის ოპოზიციამ და გააძლიერა ბრძოლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. ამან ძალზე დაძაბა მდგომარეობა სამეფოში.

5 უკვე 1786-1787 წლებში ერეკლე II მიხვდა, რომ რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებს არ ასრულებდა და პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაზე დაიწყო ფიქრი. მალე მეფე იმასაც მიხვდა, რომ ირანთან და ოსმალეთთან ურთიერთობას ვეღარასდროს მოაგვარებდა. ამიტომ იყო, რომ ერეკლე II-მ საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია არ შეცვალა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას წაგებული თამაში ბოლომდე უნდა ეთამაშა.

6 ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობამ (1801-1802 წწ.), რაც გეორგიევსკის ტრაქტატის უშუალო შედეგი იყო, რუსეთის იმპერიას საშუალება მისცა დაეპყრო მთელი საქართველო, ხოლო შემდეგ – მთელი სამხრეთი კავკასია. ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ რუსეთმა დასავლეთ საქართველოში გაავრცელა თავისი ბატონობა. 1803 წელს რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა სამეგრელოს სამთავრო, 1804 წელს – იმერეთის სამეფო და გურიის სამთავრო, 1810 წელს – აფხაზეთის სამთავრო. 1804-1813, 1826-1828 წლების რუსეთ-ირანის, 1806-1812, 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომებში გამარჯვების შემდეგ რუსეთმა დაიპყრო აზერბაიჯანი და სომხეთი და ამრიგად, მთელი სამხრეთი კავკასია აღმოჩნდა მის ხელში.

7 საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსეთს საშუალება მიეცა სამხრეთიდან ენერგიულად შეეტია ჩრდილო კავკასიის ისლამური აღმსარებლობის ხალხებისათვის და 1864 წელს მთელი ჩრდილო კავკასიის დაპყრობა დაესრულებინა. რუსეთის წინააღმდეგ ჩრდილო კავკასიის ხალხები რამდენიმე ათეული წელი იბრძოდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმამ შამილის ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ 1834-1859 წლებში. რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა უამრავი ჩეჩენი, ინგუში, ჩერქეზი და სხვ. ჩრდილო კავკასიის ხალხების დაპყრობის შემდეგ რეგიონში უსასტიკესი სამხედრო საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა.





# რუსთაველის განსაცდელი

ლევან ბერძენიშვილი

მწერლისთვის ბევრნაირი განსაცდელი არსებობს. შეიძლება ზუსტად ვერ გამოთქვას სათქმელი, შეიძლება არ მოეწონოთ მისი ნაწერი (როგორც არ მოეწონათ თავიდან მარსელ პრუსტის „დაკარგული დროის ძიებაში“), შეიძლება ბოლომდე ვერ გაუგონ ვერც თანამედროვეებმა (როგორც ვერ გაუგეს ფრანც კაფკას) და ვერც შთამომავლებმა (როგორც მეოცე საუკუნის შუაგულში „ჩამორჩენილი“ უწოდეს ვაჟა-ფშაველას), შეიძლება მწერალმა ძვირფასი ხელნაწერი დაკარგოს (ჰემინგუეიმ დაკარგა რომანის ხელნაწერი, გალაკტიონმა დაკარგა გამოუქვეყნებელი ლექსებით სავსე მთელი ჩანთა), შეიძლება ხელნაწერი თვითონ გაანადგუროს (როგორც ეს გოგოლმა გააკეთა), შეიძლება მის გამოგონილ სამყაროში ვინმემ საკუთარი თავი იცნოს და არ მოეწონოს (როგორც სტალინს არ მოეწონა საკუთარი გამოსახულება ოსიპ მანდელშტამის პოეზიაში), შეიძლება გზაზე დახვდნენ და პასუხი მოსთხოვონ (საქართველოში ბევრჯერ მომხდარა), შეიძლება პრემია არ მისცენ (ლევ ტოლსტოის სიცოცხლეში ნობელის ცხრა პრემია გაიცა ლიტერატურის დარგში, მაგრამ მას არც ერთი არ მოუწია), მწერალი შეიძლება ახალგაზრდა მოკვდეს (15 წლის ანა ფრანკი, 25 წლის ჯონ კიტსი, 27 წლის ნიკოლოზ ბარათაშვილი, 29 წლის პერსი ბიში შელი); ბოლოს და ბოლოს მწერალმა შეიძლება თავი მოიკლას (რიუნოსკე აკუტაგავა,





*ლადო გუდიაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები*

ვირჯინია ვულფი, გალაკტიონი, ლუკრეციუსი, რომენ გარი, მაიაკოვსკი, პაულ ცელანი, სენეკა...), მწერალი შეიძლება მოკლან (მაგალითად, დუელში, როგორც პუშკინი), დახვრიტონ (როგორც მიხეილ ჯავახიშვილი და ფედერიკო გარსია ლორკა)...

მართლაც, უამრავი განსაცდელი ელოდება მწერალს, მაგრამ არსებობს ერთი, ყველაზე დიდი განსაცდელი – მწერლის ნაწარმოები შეიძლება სკოლის პროგრამაში შეიტანონ და მისი შესწავლა სავალდებულო გახადონ. არ არის გამორიცხული, რომ ეს მწერალი და მისი ნაწარმოები ისე შეასწავლონ მოსწავლეს, რომ საბოლოოდ შეაძულონ. მიზეზი შეიძლება ბევრი იყოს – მასწავლებლის არაპროფესიონალიზმიდან დაწყებული, მეთოდოლოგიური მიდგომების მოძველებით ან არასწორი და ხელოვნური მოდერნიზებით დამთავრებული.

მთავარი ქართველი მწერალი, რომელიც ამ განსაცდელშია ჩავარდნილი, რუსთაველია. ქვეყანამ, მთავრობამ, განათლების მინისტრმა, სკოლამ და მასწავლებელმა უნდა იცოდნენ, რომ რუსთაველის განსაცდელი მოსწავლისა და ქვეყნის განსაცდელიცაა. შეიძლება არასწორი სახელმწიფო, საგანმანათლებლო ან პედაგოგიური მიდგომის გამო მოსწავლემ ვერ დაინახოს „ვეფხისტყაოსანი“ და ამოდენა განძის პატრონი ისე გალარიბდეს, რომ მცირე პოეტების წვრილ პოეზიას დაეტანოს ან, საერთოდ, დარჩენილ ცხოვრებაში ალარაფერს პოეტურს ალარ გაეკაროს. რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ ქართული განათლების გადამწყვეტი ნაწილია: თუ თქვენ, მოსწავლეებს, სკოლიდან რუსთაველის სიყვარული არ გამოგაქვთ, თქვენ სკოლიდან არც არაფერი გამოგაქვთ. ყოველ შემთხვევაში, არაფერი გამოგაქვთ ისეთი, რაც მთელ ცხოვრებაში მართლა გამოგადგებათ. ეს, რაც ახლა წაიკითხე, მეგობარო, ლამაზი სიტყვები არ არის, ამ სიტყვების უკან რკინის ლოგიკაა გამაგრებული: რუსთაველი ქართული ლიტერატურის მწვერვალია, მხატვრული ლიტერატურა კი ნებისმიერი განათლების მწვერვალია, ხოლო ვინც მწვერვალს ვერ ხედავს, ის მთასაც ვერ დაინახავს.

მაინც რას იძლევა ასეთს მხატვრული ლიტერატურა და, კერძოდ, მისი მთავარი ქართული ძეგლი – „ვეფხისტყაოსანი“? ამ კითხვას რამდენიმე პასუხი აქვს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი და სწორი ასეთია: ***ქართული ლიტერატურის მთავარი ძეგლი სხვისთვის თავდადებას, სიყვარულისთვის ბრძოლასა და, რაც მთავარია, ამ ბრძოლაში გამარჯვებას, ანუ ადამიანში ადამიანობის პოვნასა და სულიერ გაძლიერებას გვასწავლის.*** შეიძლება ვინმეს ჰგონია, სიყვარულს რა სწავლა უნდაო; ეს არ არის სწორი ფიქრი: არაფერს ქვეყნად იმდენი სწავლა არ სჭირდება, როგორც სიყვარულს.

ადამიანი ორმაგი არსებაა, იგი მიწისა და ზეცის შვილია, მას ხორცი და სული აქვს, მასში ერთდროულად ცხოველიცაა და ღმერთიც. დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა, არისტოტელემ, თქვა, რომ ადამიანი „პოლიტიკური ცხოველია“. ამ გამონათქვამს სხვადასხვა ეპოქაში უამრავი ვერსია გაუჩნდა: ადამიანი „რელიგიური ცხოველია“, ადამიანი „მოაზროვნე ცხოველია“, ადამიანი „მკითხველი ცხოველია“ და ა.შ. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ერთდროულად ეკუთვნის ორ სამყაროს: მატერია-

ლურსა და იდეალურს, ბუნებასა და კულტურას. ბუნება მასში ძალიან ძლიერია: მას შია, სცივა, სწყურია, გამრავლება სურს, ეძინება, ეღვიძება – ისევე, როგორც ნებისმიერ ცხოველს; ბოლოს და ბოლოს იგი იბრძვის გადარჩენისთვის, იღლება, თავის ნაშიერს მთელი ძალით იცავს, ცოცხლობს და კვდება, როგორც ნებისმიერი ცხოველი. მაგრამ, ამავე დროს, ადამიანი კულტურის შვილია – იგი ფიქრობს, გეგმავს, აშენებს, სხვას ეხმარება და იდეისთვის, სიყვარულისთვის თავს წირავს, როგორც ღმერთი. ეს მხოლოდ ჩვენ, „ვინ“ ჯგუფის არსებებს, ადამიანებსა და ღმერთებს შეგვიძლია, ეს არ შეუძლია არც ერთ ცხოველს. დიდმა ფრანგმა პოეტმა, პოლ ვალერიმ, თქვა: კაცი რომელსაც ერთხელაც არ უცდია, ღმერთებს დამსგავსებოდა, უფრო ნაკლებია, ვიდრე კაციო (Un homme qui n'a jamais tenté de se faire semblable aux dieux, c'est moins qu'un homme).

უძველესი დროიდან ადამიანს უამრავი თავდაპირველი დაპირისპირება აქვს აღქმული, მან იცის ეს დაპირისპირებები, მან მათ სახელიც მოუგონა; მან მათ უწოდა ორმაგი დაპირისპირებები, ანუ „ბინარული ოპოზიციები“ – ეს ისეთი პირველყოფილი დაპირისპირებაა, როდესაც ან ერთია ან მეორე, მესამე გამორიცხულია. ასეთი ორმაგი, ანუ ბინარული დაპირისპირებებია: სიცოცხლე და სიკვდილი, ყოფნა და არყოფნა, ქონა და არქონა, გამარჯვება და დამარცხება, ქალი და კაცი, შავი და თეთრი, ქვემო და ზემო, ახლოს და შორს და კიდევ ბევრი სხვა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ორმაგი დაპირისპირება, რომელიც მრავალ საფიქრალს აღუძრავდა პირველყოფილ ადამიანს და აღუძრავს თანამედროვე ადამიანსაც, არის „მე და სხვა“, „ჩემი და სხვისი (უცხო)“. კარგად რომ გავერკვეთ ამ „სხვის“ ბუნებაში, გეტყვით, რომ ამ დაპირისპირების ერთ-ერთი კარგი მაგალითია დაპირისპირება მშობლიურ და უცხო ენებს შორის. ქართულსა და ინგლისურს შორის დაპირისპირება მხოლოდ ორ ენას შორის დაპირისპირება კი არ არის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, დაპირისპირებაა „ჩემ“ ქართულსა და „უცხო“ ინგლისურს შორის. თუ ამ ენების გარდა კიდევ რომელიმე ენა ვიცი, უცხო ინგლისურს იმას უფრო ვუახლოვებ, ვიდრე ჩემს ქართულს, რადგან ქართულის გარდა ყველა ენა უცხოა და, ამიტომ, საერთო ნიშნებს ატარებს, თუნდაც ერთმანეთს არ ენათესავებოდეს.



*შოთა რუსთაველის ფრესკა (XIII ს.) წარწერით იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვეტზე*



*ფრესკა ბეთანიის XII ს-ის ეკლესიიდან, გამოსახული არიან: გიორგი-ლაშა, თამარ მეფე და გიორგი III, მოხატულობა შესრულებულია თამარის სიცოცხლეში, დაახლ. 1207 წ.*






მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ინდივიდია და მის „მეს“ უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს, ეს „მე“ ადამიანში ყველაზე მთავარი არ არის. საკუთარი თავი ყველას ძალიან უყვარს, ეს ბუნებრივია და თუ ეს ასე არ არის, ითვლება, რომ ეს არანორმალური მოვლენაა; მაგრამ საკუთარი თავის სიყვარულს სპეციალური განათლება, დიდი განსწავლა და გაუთავებელი ვარჯიში არ სჭირდება, რადგან ეს, როგორც ვთქვით, ბუნებრივია, თანდაყოლილია. ბუნებით ადამიანს საკუთარი თავი ყველაფერს ურჩევნია, ანუ „ბუნებრივი“ ადამიანი ეგოისტია. გაცილებით უფრო რთულია, გიყვარდეს სხვა, რადგან ეს თანდაყოლილი არ არის, ეს უკვე კულტურაა, ამას სერიოზული სწავლა და გამუდმებული ვარჯიში სჭირდება, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ამას „ვეფხისტყაოსანი“ სჭირდება: „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველი ადამიანი სხვების სიყვარულის მცოდნეა, ალტრუისტია, ანუ „კულტურულია“. საბჭოთა საპატიმრო ბანაკებისა და ციხეების უზარმაზარი სისტემის – გულაგის საუკეთესო მცოდნემ, დიდმა მწერალმა ალექსანდრ სოლჟენიცინმა თქვა, ზონაში „სუპი“ იშოვო, ძალიან ძნელია, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია, ეს ძლივს ნაშოვნი „სუპი“ ვინმეს გაუზიარო. კაცმა რომ თქვას, შენი საზოგადოებრივი ფასი სწორედ ისაა, რისი გაზიარებაც, რისი სხვისთვის გაღებაც შეგიძლია.










*მამუკა თავაქალაშვილის (თავაქარაშვილი) მინიატურები მის მიერვე გადაწერილი „ვეფხისტყაოსნიდან“. მამუკა თავაქალაშვილი იყო XVII საუკუნის ქართველი პოეტი, კალიგრაფი, მხატვარ-მინიატურისტი. მდივნად იყო იმერეთის მეფის კარზე.*

ქართველ ხალხს რომ ჰკითხო, თუ ვინ იყო ყველაზე დიდი ქართველი, ის ან დავით აღმაშენებელს დაასახელებს ან ილია ჭავჭავაძეს და დიდადაც არ შეცდება: პირველმა, როგორც მეფემ, დაშლილი სახელმწიფო ჩაიბარა, ბევრი იომა, თბილისი დაიბრუნა და საკუთარ ხალხსა და ისტორიას აწყობილი იმპერია ჩააბარა. ამ იმპერიას თავისი საშინაო და საგარეო დაზვერვა ჰქონდა, აგებული იყო უმტკიცესი და უმკაცრესი სახელმწიფო ვერტიკალი, რომლის სათავეშიც იდგა უზენაესი ხელისუფალი, აბსოლუტური მონარქი, მეფე; მეორემ სულიერი სიკვდილის პირას მისული ქართველი ერი ჩაიბარა და დამოუკიდებლობისთვის მზადმყოფი და თავისუფლებისთვის მებრძოლი ერი ჩამოაყალიბა. დავით აღმაშენებელმა და ილია ჭავჭავაძემ სხვადასხვა დროს იზრუნეს იმაზე, რომ შავი ზღვის პირას რუკაზე ტერიტორია მოინიშნა, რომელსაც საქართველო ჰქვია. ასე რომ, ქართველმა ხალხმა ნამდვილად იცის პასუხი კითხვაზე, თუ ვინ იყვნენ მის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურები; მაგრამ კითხვა რომ სხვაგვარად დავსვათ, მაგალითად, ასე: ვინ შექმნა ქართველობა, ანუ ის რუკა, რომელიც დავით აღმაშენებელმა მონიშნა და ილია ჭავჭავაძემ ხელახლა დახატა, ქართული შინაარსით ვინ შეავსო, ანუ გვირგვინიანი თუ უგვირგვინო მეფეების მიერ შექმნილ ხორცს სული ვინ შთაბერა, მაშინ პასუხი სრულიად სხვა იქნება. ამ კითხვაზე ერთადერთი სწორი პასუხი არსებობს: ქართულ ხორცს ისტორიულად სული წიგნიერებამ და მისმა მწვერვალმა – რუსთაველმა შთაბერა.

ცნობილი შოტლანდიელი თეოლოგი უილიამ ბარკლი ამბობდა, რომ ადამიანის ცხოვრებაში ორი დიდი დღეა – ერთი, როდესაც დავიბადეთ და მეორე, როდესაც აღმოვაჩინეთ, თუ რისთვის დავიბადეთ. ერის ცხოვრებაშიც ორი დიდი დღეა – ერთი, როდესაც იგი ისტორიულად გაჩნდა და მეორე, როდესაც აღმოაჩინა, თუ რისთვის გაჩნდა. როგორც ადამიანი, ეთნოსიც შეიძლება ძალიან დიდი ხნის იყოს, მაგრამ იგი ნამდვილი მაშინ ხდება, ანუ მეორედ მაშინ იბადება, როდესაც მას ისტორია, ანუ საკუთარი, დაწერილი მეხსიერება უჩნდება. ქართველები ძალიან დიდი ხნისანი ვართ. სხვადასხვა თეორიით, ჩვენ შეიძლება ორმოცი ან სულაც სამოცი საუკუნისანი ვიყოთ. ამ ასაკის დასადგენად, სულ ცოტა, ორი ხელშესახები მასალა გვაქვს: ჩვენი ენა და ცნობები, რომლებიც ჩვენზე იმ ხალხს შემოუნახავს, რომელსაც ჩვენამდე ჰქონია დამწერლობა. ქართულის, სვანურის, მეგრულისა და ჭანურის ანალიზით დგინდება, რომ ოდესღაც ჩვენ ერთი საერთო, ქართველური ენა გვქონია, რომელიც შემდგომში დაშლილა: ჯერ სვანური გამოყოფილა



*ბეგთაბეგისეული „ვეფხისტყაოსანი“ (XVII ს.)*

ამ საერთო ენიდან და შემდეგ მეგრულ-ჭანური. მთელ ამ პროცესს ორმოცი საუკუნე მოუცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ორმოც საუკუნეზე უფრო ხნიერები ვართ.

როგორც ვთქვით, არსებობს ცნობები, რომლებიც ჩვენზე სხვებს შემოუნახავთ; მაგრამ ცნობები, რომლებსაც შენზე სხვები შემოინახავენ, შენზე გავლენას ვერ ახდენს მანამ, სანამ შენ თვითონ არ აღწერ საკუთარ თავს. ცნობები ქართული ტომების შესახებ უხსოვარი დროიდან გვხვდება; სხვას რომ თავი დავანებოთ, მედეა და ძველი კოლხეთი ძვ.წ. XIII საუკუნეში უკვე უნდა არსებობდეს და ამას ძველი ბერძნული მწერლობა უკვე ძვ.წ. VIII საუკუნეში გვიდასტურებს, ქართველურ ტომებსა და სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებზე უამრავი ცნობა გვაქვს ასირიისა და ურარტუს ხანიდან, მაგრამ ეს დრო ჩვენს მეხსიერებაში არ არის. სხვები ლაპარაკობდნენ ჩვენზე. როდესაც ქრისტიანობასთან ერთად დამწერლობა შემოვიდა ჩვენში, ჩვენ გაგვიჩნდა საკუთარი მეხსიერება, ჩვენ ხელახლა დავიბადეთ.

ქართულ სულს ორი ძალა ქმნიდა – რელიგია და პოეზია. წიგნიერება და დამწერლობა ჩვენ ქრისტიანობამ მოგვიტანა, ხოლო დამწერლობა იმისთვის დაგვჭირდა, რომ ჯერ სხვისი დაწერილი მთავარი წიგნი წაგვეკითხა და შემდეგ საკუთარი წიგნები, მათ შორის, მთავარი ეროვნული წიგნი დაგვეწერა. ძალიან გამარტივებულად რომ ვთქვათ, თანამედროვე ქართველის სული სწორედ ამ ორმა წიგნმა შექმნა: სახარებამ და „ვეფხისტყაოსანმა“. დღევანდელი ქართველი შეიძლება ნებისმიერი აღმსარებლობისა იყოს ან საერთოდ არ იყოს მორწმუნე და არც „ვეფხისტყაოსანი“ მოსწონდეს ან არც ჰქონდეს ეს ძეგლი ხეირიანად წაკითხული; შეიძლება იყოს განათლებულიც და გაუნათლებელიც, იდეებით სავსეც და იდეებისგან სრულიად თავისუფალიც, მაგრამ მისი სულიერი ორიენტირები, მისი იდეალები ისტორიულად მაინც სახარებითა და „ვეფხისტყაოსნით“ იქნება განპირობებული.

მხატვრული ლიტერატურა, ანუ გონივრულად ორგანიზებული, გამოგონილი სამყარო, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენია ცხოვრებაში. ადამიანი როდისმე აუცილებლად აღმოჩნდება განსაცდელში და სასტიკი სტიქიის, სამყაროს წინაშე მარტო დარჩება. ამ მომენტში იგი მთლიანად საკუთარ თავზე იქნება დამოკიდებული და მხოლოდ ის გაუძლებს განსაცდელს, რომელსაც შინაგანი რეზერვები აღმოაჩნდება. ლიტერატურის მოყვარულ კაცს განსაცდელში გამოგონილი სამყარო ამოუდგება გვერდში და რაც უფრო ახლოა ეს გამოგონილი სამყარო მის ბუნებასთან, მით უფრო ქმედითი, ეფექტიანია მისი დახმარება. როდესაც შურისძიებაზე ფიქრობ, ჰამლეტი გეხმარება; როდესაც შეყვარებულს კარგავ, რომეო გიდგას გვერდში და როდესაც მარტო ვერ უმკლავდები მოძალებულ უბედურებას, ავთანდილი მოდის შესახიდებლად და ისინი – ჰამლეტი, რომეო, ავთანდილი – იწყებენ შენს მაგივრად მოქმედებას, აშენებენ შენს სულიერ გალავანს, გამზადებენ თავდაცვისათვის, გაძლებისთვის, უბედურების გადატანისა და საბოლოო გამარჯვებისთვის. უბრალოდ, ავთანდილი უკეთ გიცნობს, ვიდრე ჰამლეტი და რომეო და უფრო იოლად გამხნევებს.






მართლა შეუძლია „ვეფხისტყაოსანს“ გადაარჩინოს განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანი? მართლაც ასეთი ჯადოქარი აფთიაქარია რუსთაველი და სიცოცხლის წამლის საიდუმლოს ფლობს? მართლა ასე აუცილებელია ამ „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვა და გაგება? ეს ხომ ზღაპრული ამბებია, თანაც ძალიან დიდი ხნის წინ მომხდარი და ასევე ძალიან დიდი ხნის წინ აღწერილი?! „ვეფხისტყაოსანში“ ასახული სიყვარული, მეგობრობა, თავდადება, შეცდომა, დანაშაული, მონანიება, ცოდვების გამოსყიდვა, ტყვეობა, განწირულობა, მეგობრების შეკრება და მათი საერთო ბრძოლა გვასწავლის რეალურ ცხოვრებას? რვა საუკუნის წინანდელი ტექსტი გვასწავლის სწორ არსებობას კოსმოსური ხომალდების, კომპიუტერებისა და სოციალური ქსელების ეპოქაში? ამ „მძიმე“ კითხვებზე პასუხი მარტივია: დიახ, გვასწავლის! დიახ, რა თქმა უნდა, ნამდვილად ასეა. გადაიკითხეთ „ვეფხისტყაოსანი“. თუმცა ნათქვამში პირველად დასარწმუნებლად მთელი „ვეფხისტყაოსნის“ ხელახლა გადაკითხვაც არ გჭირდებათ, ამისთვის ერთი მცირე თავის შესწავლაც საკმარისია – „ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე“ ან, უფრო მოკლედ, „ავთანდილის ანდერძი“. სულ ოციოდე სტროფია. და როგორც წყლის ერთ წვეთშია ასახული უზარმაზარი მსოფლიო ოკეანე, ისე ამ ოციოდე სტროფშია ასახული მთელი სამყარო, რომლის ცენტრშიც დგას ადამიანი. აქ ლაპარაკია ადამიანის იდეალზე. ეს იდეალი საერთოა მთელი კაცობრიობისათვის, მაგრამ რადგან ქართულადაა დაწერილი, მას უფრო იოლად უნდა აღიქვამდეს სწორედ ქართველი მკითხველი; ამიტომ რუსთაველთან მოცემულია, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ადამიანის იდეალი. თუ ამ ოციოდე სტროფმა რამე გითხრათ, მაშინ დანარჩენი ათას ექვსას ორმოცდაათი სტროფის წასაკითხად დამატებითი რჩევა აღარ დაგჭირდებათ.

აი, რას ამბობს „ანდერძი“: ავთანდილი ატყობინებს თავის პატრონს, რომ მიდის მეგობრის გადასარჩენად, რადგან „კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა“ და შეახსენებს ანტიკურ ცოდნას — „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“. რაკი ეს სიბრძნე არსებობს, რადგან ყველა უბედურების სათავე სიცრუეა, იგი არ მოატყუებს და არ გასწირავს ძმას. თუ ასე არ მოიქცევა, მაშინ მისი ცოდნა აზრს დაკარგავს, ცოდნა იმისთვის გაქვს, რომ მოიხმარო, იმისთვის გისწავლია, რომ სამყაროს ჰარმონიაში ჩაეწერო, „ზესთ მწყობრთა წყობას“ შეერთო. ავთანდილი მეფეს შეახსენებს, რომ უზენაესი მოძღვრების მიხედვით, „სიყვარული აგვამაღლებს“ და ამტკიცებს, რომ სწორედ ეს მისია დააკისრა მას უკვდავმა ღმერთმა. არაფერი არ მოხდება უფლის ნების გარეშე, ამიტომ ავთანდილის წასვლაც მეგობრის დასახმარებლად



*ირაკლი თოიძის ილუსტრაცია*



*მიხაი ზიჩის ილუსტრაცია*



არის უფლის ნება და არავინ უნდა დამწუხრდეს ამის გამო, ცრემლი არ უნდა დაიღვაროს. ადამიანი ვალდებულია მოთმინების ხელოვნებას დაეუფლოს და ახსოვდეს, რომ განგებას ვერავინ გაექცევა.

რაც ღმერთს დაუდგენია, ის აუცილებლად გადაგხდება. თუკი ადამიანს შეუძლია მოყვარე მიატოვოს, უღალატოს მას, დაუგვიანოს დახმარება, შედრკეს, სიკვდილს შეუშინდეს, ის ადამიანიც არ არის. მუდამ უნდა გახსოვდეს, რომ სიცოცხლე დიდი ღირებულებაა, მაგრამ იგი არ არის ერთადერთი ღირებულება, სამარცხვინო სიცოცხლეს სიკვდილი გერჩივნოს – „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“ სიკვდილს ვერავინ გაექცევა; ყველა ცდება, ვინც მას მოულოდნელად მიიჩნევს, **იგი ყოველ წამს მოსალოდნელია.** და ამიტომ არსებობს ანდერძის სხვა, მატერიალური ნაწილიც: ავთანდილის სიკვდილის შემთხვევაში („თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან“) მისი ქონების ნაწილი სამეფო სალაროში უნდა დაიდოს, უპატრონოთა თავშესაფრებსა და ხიდების აგებას უნდა მოხმარდეს, ობლებსა და უპოვრებს უნდა დაურიგდეს, ხოლო ავთანდილის მონები უნდა გათავისუფლდნენ.



ესაა რუსთაველის დანაბარები, ესაა ადამიანის იდეალი, ეს გახლავთ მისი მთავარი დანიშნულება, სწორედ ეს უნდა იცოდე უპირველეს ყოვლისა: სხვა ადამიანი შენი ძმაა. შენ მოვალე ხარ სხვა გიყვარდეს. სხვა ადამიანი, შენი ძმა, განსაცდელში არ უნდა მიატოვო. თუ ადამიანს გასაჭირში მიატოვებ და არ დაეხმარები, ან თუნდაც დაუგვიანებ დახმარებას, მაშინ შენს განათლებას, შენს ცოდნას, შენს სიბრძნეს, საერთოდ, შენს არსებობას  აზრი არ გააჩნია და სამყაროს წესრიგში შენი ადგილი არ არის, რადგან ყველა მოქმედებას ან უმოქმედობას ვერ გაამართლებ სიცოცხლის ღირებულებით, უღირს სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს. ამ სამყაროში მარტო არ ხარ და იდეალებისადმი შენს ერთგულებას უზენაესი ძალა აკონტროლებს.

*სერგო ქობულაძის ილუსტრაციები*










# კინო

## ყველაზე ახალგაზრდა ყველაზე პოპულარული ყველაზე გავლენიანი ხელოვნება

კინო – კინემატოგრაფი (როგორც თავიდან ეწოდებოდა – სინემატოგრაფი, სინემა) ხელოვნების ყველაზე ახალგაზრდა დარგია და ყველაზე მასობრივი ხასიათი აქვს. პოპულარობით ვერაფერი უტოლდება და დანარჩენებზე მეტადაც უყვართ, მათაც კი, ხელოვნება საერთოდ რომ არ აღელვებთ და აინტერესებთ. ალბათ არ არსებობს ადამიანი, დედამიწის ყველაზე მიყრუებულ, ცივილიზაციას სრულიად მოწყვეტილ კუთხეშიც კი, რომელიმე ფილმი ერთხელ მაინც რომ არ ენახოს. ეს კინოს ბუნებიდან და თავისებურებებიდან მომდინარეობს და ვერავინ და ვერაფერი ეწინააღმდეგება.

ტელემაუწყებლობა და ახლა უკვე სხვა თანამედროვე ტექნოლოგიები (სატელიტური ანტენები, გადამცემი თეფშები, კაბელური ტელევიზიები, ციფრული მატარებლები და ვიდეომაგნიტოფონები, კომპიუტერი, ინტერნეტი) კინოს ჩვენების უფრო დიდ შესაძლებლობას იძლევა. თითოეულ ჩვენგანს, სახლიდან გაუსვლელად, სპეციალურად კინოთეატრში მისვლისა და იქ დაგეგმილ სეანსზე დასწრების გარეშეც, თავისუფლად შეუძლია, რაც უნდა და როდესაც უნდა, ნებისმიერი ავტორის, ჟანრისა თუ თემატიკის ფილმი დღე-ღამის ნებისმიერ დროს ნახოს და თავად იქცეს საკუთარი პროგრამის შემდგენლად და პირადი „კინოსეანსების გამმართავად“.

ადრე, რა თქმა უნდა, ასე არ იყო. კინომ თანდათან შეიძინა ახალი თვისებები, შესაძლებლობები და თავისებურებებიც. წლების განმავლობაში ახალი ძალებით აივსო. როდესაც პირველი ფილმები შეიქმნა, მათ საჩვენებლად კინოთეატრებიც კი არ არსებობდა. ჩვენებები სხვადასხვა სივრცეში – ცირკის, თეატრების, სალონების, კაფეების შენობებში, კერძო სახლებში, სპეციალურად აღჭურვილ (ეკრანი, კინოაპარატის ადგილი, სკამები) დარბაზებში (სადაც ბევრი ადამიანი ეტეოდა) და ბაზრობებზე იმართებოდა.

მაგალითად, მსოფლიოში პირველი კინოსეანსი საფრანგეთში, პარიზში, კაპუცინების ბულვარზე, კაფეში, სახელწოდებით „გრან კაფე“, ე.წ. ინდურ სალონში მოეწყო 1895 წლის 28 დეკემბერს. ეს დღე კინოს დაბადების დღედ ითვლება. აღსანიშნავია, რომ ხელოვნების არც ერთი სხვა დარგის დაბადების დღე ცნობილი არაა, კინოსი კი ყველამ იცის. თარიღს ყოველწლიურად მთელი კი-

ნოსამყარო სხვადასხვაგვარად აღნიშნავს და პატივს მიაგებს კინემატოგრაფსაც და ადამიანებსაც, რომლებმაც ის გამოიგონეს, პირველი პატარა ფილმი-სიუჟეტები გადაიღეს (სულ რამდენიმეწამიანი ან 1-2-წუთიანი) და თანამედროვეებსა და შთამომავლობას კინოხელოვნება აჩუქეს.

ესენი იყვნენ კინოაპარატის ფრანგი გამომგონებელი და პირველი რეჟისორ-ოპერატორი ძმები ოგიუსტ და ლუი ლუმიერები. ჰო, მართლა, რომ არა კინოაპარატისა და კინოფირის გამოგონება და ეკრანზე (კედელზე, რომელიმე სიბრტყეზე) პროექცირების, ანუ გაშვების, შესაძლებლობა, კინოს დაბადება შეუძლებელი იქნებოდა.



*ძმები ლუმიერები და მათი გამოგონება*

იმ წლებში, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, ცხოვრობდა კიდევ ერთი კაცი – თეატრის რეჟისორი ჟორჟ მელიესი (სხვათა შორის, მარტინ სკორსეზეს ფილმში „დროის მცველი“, მეორენაირად – „ჰუგო“, სწორედ მელიესის ამბავია შესული), რომელმაც (ლუმიერების გამოგონებით მოხიბლულ-მოჯადოებულმა) კინოს ახალი და ყველაზე პოპულარული მიმართულება – სიუჟეტურობა, მხატვრულობა შესძინა და ის მართლა საყოველთაოდ აქცია.

პირველ ფილმებს – ლუმიერებისასაც და მელიესისასაც – ხელოვნებად არ თვლიდნენ და ბაზრობებზე (რომლებიც სხვადასხვა პროდუქტით ვაჭრობის ადგილთან ერთად გასართობი სანახაობების – საცირკო ნომრების, მკითხავების სეანსების, მოხეტიალე მუსიკოსების გამოსვლებისა და სხვა ასეთი ტიპის წარმოდგენების – ასპარეზიც




იყო) უჩვენებდნენ. მათი მიზანი კომერციული მოგება იყო. ავტორებს ეს ამოძრავებდათ და მეტის პრეტენზია არც ჰქონდათ.

მალევე, მას შემდეგ, რაც დიდმა ამერიკელმა რეჟისორმა დევიდ უორკ გრიფითმა მონტაჟი გამოიგონა და დაიწყო მხატვრული ამოცანების გადაჭრის, კინოენის ჩამოყალიბების, კინემატოგრაფიული სინამდვილის შექმნის ძიების პროცესი, სინემა ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველ მუზათა დასში მეათე მუზად შეიყვანეს. კინოაპარატით გადაღების გაუცნობიერებელი და ინტუიციური დამოკიდებულება მხატვრული მიდგომითა და აზროვნებით, სინამდვილის სახელოვნებო ხერხებით გადმოცემითა და გააზრებით შეიცვალა. კინო იქცა შემოქმედებად და ღრმა მნიშვნელობა შეიძინა. თუმცა კომერციულ დატვირთვას დღემდე ინარჩუნებს და პროდიუსერების, კინოკომპანიებისა თუ რეჟისორების ინტერესი, პირველ რიგში, კვლავ ფილმის ფინანსურ წარმატებას უკავშირდება.

მას შემდეგ „მეათე მუზას“ ჩვენს ცხოვრებაში, ყოველდღიურობაში, განსაკუთრებული ადგილი უკავია. სწორედ კინოს აქვს ძალა, ერთი მხრივ, უდიდესი ემოციური გავლენა მოახდინოს ადამიანზე და მეორე მხრივ, ასახოს მისი ფსიქოლოგიური, შინაგანი მდგომარეობა და ცხოვრების წესი, ჩვევები და თვისებები გამოავლინოს.

სწორედ მასობრიობის წყალობით კინოს რამდენიმე სხვა დატვირთვაც აქვს – ის იყო და რჩება პროპაგანდის საუკეთესო იარაღად. აქვს აღმზრ-

დელობით-შემეცნებითი ფუნქციაც. არის ადამიანებისთვის ესთეტიკური სიამოვნებისა და, როგორც ხელოვნების ნებისმიერი კარგი ნაწარმოები, სიხარულის, სევდის მიმნიჭებელი. ეხმიანება ადამიანის (საზოგადოების) პრობლემებს, განცდებს. ბევრ კითხვას, რომლებიც გვაწუხებს, პასუხებს სცემს. არის გართობის, დროის გატარებისა და დროის გაყვანის საუკეთესო საშუალება. ამიტომაც ვუთმობთ ყველაზე დიდ დროს ფილმების ყურებას. ამისთვის ბევრი საფუძველი და მიზეზია.

საქართველოში პირველი კინოსეანსები კაპუცინების ბულვარზე პარიზული ჩვენებებიდან ერთი წლის შემდეგ გაიმართა. ინფორმაცია, რომელიც იმდროინდელ გაზეთ „ცნობის ფურცელში" 1896 წელს გამოქვეყნდა, იუწყებოდა, რომ: „დღეს, 16 ნოემბერს, სათავადაზნაურო თეატრში ნაჩვენები იქნება სინემატოგრაფი – მთელს ევროპაში განთქმული ცოცხალი ფოტოგრაფიული სურათები ლიუმერისა".

პირველი კინოთეატრი „ილუზიონი" 1904 წელს თბილისის მთავარ ქუჩაზე – გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) პროსპექტზე, ყოფილ რესტორან „დათვის" შენობაში გაიხსნა. მანამდე ფილმებს აჩვენებდნენ ან ზემოხსენებულ სათავადაზნაურო თეატრში, ან ძმები ნიკიტინების ცირკში, სადაც საამისოდ საკმარისი ფართიც იყო და სინემას თავდაპირველი არსისა თუ დანიშნულების გამართლებაც, რომელსაც მაშინ, კინოხელოვნების „სტატუსის მინიჭებამდე", გასართობ, საცირკო-საბალაგანო წარმოდგენების კატეგორიას აკუთვნებდნენ...

1905 წელს ყველასათვის ცნობილ პარკ „მუშტაიდში" ამოქმედდა „ხის სახლი" – საზაფხულო ილუზიონი, პატარა ელექტროსადგურით. 1907 წლიდან ქალაქის სხვადასხვა ქუჩაზე უკვე რამდენიმე კინოთეატრი – „მუზა", „კოლიზეი", „აპოლო", „ლირა", „მულენ ელექტრიკი", „ამპირი", „სინემა დისკი" და სხვა გახსნეს.

რაც შეეხება უშუალოდ ქართულ კინოს, ის 100-ზე მეტი წლისაა, მსოფლიო კინემატოგრაფზე



*კინოთეატრი „აპოლო"*

10-12 წლით უმცროსი. მომავალმა ქართველმა კინემატოგრაფისტებმა, ლუმიერების მიბაძვით, ფილმი-სიუჟეტების გადაღება XX საუკუნის პირველ წლებში დაიწყეს – ეს იყო ეპიზოდები საქართველოს ცხოვრებიდან, აღებული რეალობიდან, რასაც პირველი რეჟისორ-ოპერატორები – ალექსანდრე დიღმელოვი (დიღმელაშვილი), სიმონ ესაძე, ვასილ ამაშუკელი – კავკასიაში მოგზაურობებისას აწყდებოდნენ. ეს სიუჟეტები არ შემორჩენილა, ისევე, როგორც დაკარგულია 1908 წელს ალექსანდრე წუწუნავას პირველი დასრულებულ-ფორმიანი დოკუმენტური ჩანახატი „ბერიკაობა-ყეენობა".

1912 წელს ვასილ ამაშუკელი ქმნის პირველ ქართულ სრულმეტრაჟიან და სრულფასოვან, კინოენაზე „ამეტყველებულ" დოკუმენტურ ფილმს „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, 1912 წელს" (რასაც ანალოგი იმდროინდელ მსოფლიო კინემატოგრაფში არ გააჩნია). ესაა ფილმი აკაკი წერეთლის მოგზაურობისა და ხალხთან უშუალო შეხვედრების შესახებ საქართველოს მთიანეთში.







*კადრები ფილმიდან „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, 1912 წელს"*

1916 წელს ალექსანდრე წუწუნავა იწყებს პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის – „ქრისტინეს“ გადაღებას (ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით) და ამით საფუძველს უყრის როგორც ქართული მხატვრული კინოს არსებობას, ასევე მის ერთ-ერთ ტენდენციას, საზოგადოდ, ეკრანიზებისა და, კერძოდ, ეროვნული ლიტერატურის ეკრანზე გადატანის ტრადიციად ქცევას.





*ალექსანდრე წუწუნავა და კარდები ფილმიდან „ქრისტინე“ ნატო ვაჩნაძის მონაწილეობით*

1921 წელს, საქართველოს ანექსირებისა და გასაბჭოების, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ, კინომ საბჭოთა კავშირში, საბჭოთა საქართველოში ახალი, დამატებითი თვისებები და მნიშვნელობა შეიძინა.



სწორედ აქედან იწყება ქართული კინემატოგრაფის ისტორია და მისი რთული და წინააღმდეგობებით (დამოუკიდებელი ქვეყნიდან საბჭოთა კავშირის რესპუბლიკად გადაქცევით, საბჭოთა იდეოლოგიის გაბატონებით, ცივილიზებული სამყაროსგან იზოლირებით, პიროვნების, ხელოვანის თავისუფალი ნებისა და არჩევანის შეზღუდვითა და დიქტატორული რეჟიმისთვის დამახასიათებელი სხვა რეალიებით – რეპრესიებით, სხვაგვარად მოაზროვნეებისა და შეუგუებლების მიმართ ანგარიშსწორებით, კომუნისტური იდეოლოგიით, ცენზურით, პროპაგანდით) გაჯერებული ცხოვრება, რომელმაც 1985 წლიდან ახალი მიმართულება მიიღო, როდესაც სსრკ-ში ახალი პოლიტიკური კურსი – „გარდაქმნა“ (ე.წ. პერესტროიკა) გამოცხადდა (სწორედ ამ წლებში თენგიზ აბულაძემ გადაიღო ალბათ ყველაზე ცნობილი ქართული ფილმი „მონანიება“, რომელიც საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმს, დიქტატურას ხდიდა ფარდას და პროპაგანდის უმძიმეს შედეგებს ამხელდა), რაც საბოლოოდ, 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლითა და საქართველოს (როგორც სხვა რესპუბლიკების) დამოუკიდებლობის მოპოვებით დასრულდა.

ტოტალიტარულ ქვეყნებში, როდესაც ყველაფერი პიროვნული უარყოფილია, მკვიდრდება საზოგადოების კოლექტიური სახის შექმნის ტენდენცია, თავსმოხვეული ფასეულობები აბსტრაჰირდება და ნამდვილი ყალბით იცვლება. მოსახლეობის მანიპულირება პროპაგანდისტული ფილმებით, თვით დოკუმენტური კინოს (და შეიძლება უფრო მეტადაც) საშუალებითაც ხდება. პოლიტიკური ცენზურა კინოს ნამდვილ ღირებულებას უკარგავს. ხელოვანი იძულებულია უარი თქვას რეალობისა და იმ პრობლემების ჩვენებაზე, რომლებიც ადამიანებს აწუხებთ და სანაცვლოდ ქმნის იდეოლოგიას, მითოლოგიზებულ სისტემებს, რომლებსაც ყველა უნდა დაემორჩილოს. ასე მოქმედებდა საბჭოთა პროპაგანდა.



**მონანიება**









მე-20 საუკუნის 10-იანი წლების გერმანიაში და 20-იანი წლების საბჭოთა კავშირში დაიწყეს პროპაგანდისტული მოკლემეტრაჟიანი კინოსურათების – „კულტურფილმების“ გადაღება (მაგალითად, სერგეი ფიოდორჩენკოს „ვისი ბრალია“, სიკო დოლიძის „მიწის ძახილი“, ალექსანდრე ჯალიაშვილის „დილის ათი წუთი“, ვახტანგ შველიძის „კოლმეურნის ჰიგიენა“, მარკ რიჟის „ჯანმრთელობის სამჭედლო“, კოტე მიქაბერიძისა და ვასილ დოლენკოს „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“, ნუცა ღოღობერიძის „ბუბა“), რომლებსაც სასწავლო და საagitაციო ხასიათი ჰქონდათ.

მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირში პროპაგანდისტულმა დოკუმენტურმა კინომ ახალი მიმართულება და დატვირთვა შეიძინა: ლეონიდ ვარლამოვის „გერმანული ჯარების განადგურება მოსკოვთან“; ალექსანდრე დოვჟენკოს, იულია სონცევას, იაკობ ავდეენკოს „ბრძოლა ჩვენი საბჭოთა უკრაინისთვის“.

თავის მხრივ, აქტიური და მიზანმიმართული იყო გერმანიისა და ფაშიზმის განმადიდებელი გერმანული დოკუმენტური ფილმები, რომელთა შორის გამოირჩევა (სხვათა შორის, მხატვრული ღირებულებითაც) ლენი რიფენშტალის „ნების ტრიუმფი“ და „ოლიმპია“.

ამ ფილმებს როგორც „შიდა“, ისე „საგარეო“ პროპაგანდის საფუძველი ჰქონდათ. ისინი, ერთი მხრივ, ომში ჩაბმული და მწარმოებელი ქვეყნის მოსახლეობის გამხნევებასა და სამშობლოს ძლიერებაში დარწმუნებას, მეორე მხრივ კი, მტრის (და დანარჩენი სამყაროს) წინაშე საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას ემსახურებოდნენ და წარმატებითაც აღწევდნენ ამ მიზნებს.

კინო ინფორმაციის გავრცელების საშუალებაცაა. ის ინფორმაციას აწვდის ქვეცნობიერს და ადამიანის მართვის საშუალებად ამიტომაც იქცევა. თუმცა უნდა ითქვას, რომ პროპაგანდას ყოველთვის უარყოფითი მნიშვნელობა არა აქვს. პირიქით, ის ყველა სახელმწიფოსა და საზოგადოებას სჭირდება. მთავარია, ვინ და რისთვის იყენებს პროპაგანდას.

კინო ადამიანებზე სხვადასხვა ტიპის ემოციურ და ფსიქოლოგიურ გავლენასაც ახდენს. გარკვეულწილად ართობს მათ, ავიწყებს პრობლემებს, რომლებიც აწუხებთ; უხსნის დაღლილობას; წუხილს უქარწყლებს. ცხადია, ცხოვრებას ვერც ცვლის და ვერც ანაცვლებს, მაგრამ ადამიანებს მორალურად და ფსიქოლოგიურად ეხმარება და ზოგჯერ ცხოვრებისეულ საკითხებზეც სხვაგვარად და თამამად ახედებს. საშუალებას აძლევს დაფიქრდეს ცხოვრებაზე, ყოფიერების არსზე, სამყარო და საკუთარი თავიც კი შეაცნობინოს.

როდესაც ფილმი კარგად, გმირის გამარჯვებით მთავრდება, ჩვენ ისე გვიხარია, თითქოს საკუთარ გამარჯვებას ვზეიმობდეთ. სევდიანი და ტრაგიკული ფინალი ჩვენც ისევე გვასევდიანებს, როგორც ვწუხვართ პირად პრობლემებზე. მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, კინოსურათის ნახვის შემდეგ იმედი მაინც გვრჩება ან კათარზისს განვიცდით.

კინო, სხვის ცხოვრებაზე დაკვირვების პროცესის შედეგად, საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების დაგროვების საშუალებაცაა, თუნდაც მხოლოდ ემოციურ დონეზე. განსხვავებულია ისევე, როგორც განსხვავებულია მაყურებლის გემოვნება და ინტერესები.

კინო რეკლამაცაა. თუ ავტორიტეტს მოიპოვებს და მაყურებლის გულამდე მიაღწევს – აღზრდისა და ნამდვილი ღირებულებების გადაცემისა და გათავისების საშუალებაც.

კინოს კიდევ ერთი და შეიძლება ერთ-ერთი უმთავრესი თვისება ისაა, რომ შეუძლია გააერთიანოს ადამიანები, მოახდინოს მათი სოციალიზაციაც. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ სხვადასხვა ხელოვნების სინთეზს წარმოადგენს და ყველაფერს აერთიანებს – სიტყვიდან, ლიტერატურიდან დაწ-




# JAMES BOND

ყებული (თეატრსაც, მხატვრობასაც, მუსიკასაც, ფოტოგრაფიასაც), არქიტექტურით დამთავრებული, რომელშიც (ინტერიერსა თუ ექსტერიერში, ქალაქად თუ სოფლად) ხდება მოქმედება. მეორე მხრივ, სწორედ იმიტომაც, რომ კინო ინდუსტრიაა და გადაღების დანახარჯი რომ ამოიღოს, მაყურებლის მიზიდვა და თავმოყრა სჭირდება, ის თავს უყრის და ერთ სივრცეში, ერთი იდეის (ფილმის) გარშემო აერთიანებს სხვადასხვა პროფესიის, სოციალური ფენის, პოლიტიკური შეხედულებების, ალმსარებლობისა თუ ეროვნების აუდიტორიას.

კინოს გემოვნების ჩამოყალიბებაც შეუძლია. თუ ვინმე გამუდმებით უყურებს დაბალი ხარისხის, მდარე გემოვნების, ბანალურ სიუჟეტებსა და იდეებზე აწყობილ ფილმებს (იგივე ვრცელდება ხელოვნების სხვა დარგებზეც), მას შესაბამისი გემოვნება უყალიბდება. ასეთი ადამიანი ვერ ვითარდება. კინო მისთვის მხოლოდ და მხოლოდ იაფფასიან (არა მატერიალური მნიშვნელობით) გასართობად რჩება, რომლის მიღმაც არც აზრი აინტერესებს, არც სათქმელი და არც იმ პრობლემებზე დაფიქრება უნდება, რომლებიც პირადად მას და საზოგადოებას სინამდვილეში აწუხებს, რომელთა ასახვა-არეკვლასაც ნიჭიერი და ჯანსაღი პოზიციის, სერიოზულად მოფიქრალი რეჟისორი ცდილობს.

ამავე დროს კინო წარმოსახვით სამყაროში გვაქცევს, რომლის არსებობისაც ადამიანს ისევე სჯერა, როგორც რეალურ გარემოში ცხოვრების.



*კადრი ფილმიდან „ჰუგო“*

ის ხშირად თავს აიგივებს ფილმის გმირებთან. ხშირად პერსონაჟების საქციელი (კარგიც და ცუდიც) მაყურებელში გამეორების სურვილს აღძრავს. ხელოვნების ნამდვილი ნიმუში არ გვატყუებს, არ ცდილობს არარეალური დაგვაჯეროს. პირიქით, სიმართლის გულახდილად თქმისა და მასზე მსჯელობისკენაა მიმართული. თვითონ ის კი, რაც ფილმებში ხდება, ჩვენი ოცნებების, მართალია, ილუზორული, მაგრამ ახდენის სივრცეა და ამ ოცნებების სამყაროში ყველა ასაკის ადამიანი ერთად შედის.

ალბათ ყოველი ჩვენგანი, განსაკუთრებით, ბავშვობაში თუ მოზარდობისას, რომელილაც კინოგმირს ბაძავს. გოგოები – ძირითადად, უფლისწულების მომლოდინე კეთილ პრინცესებს, რომ-



ლებიც მზად არიან გაჭირვებულ და მიუსაფარ ადამიანებს ან ცხოველებს დაეხმარონ. ბიჭებს უნდათ სპაიდერმენს, სუპერმენს ან რომელიმე სხვა გმირპერსონაჟს ჰგავდნენ, რომელიც ბოროტებას ებრძვის და აუცილებლად ამარცხებს.

ბევრი ფილმის გმირები და მათი როლების შემსრულებელი მსახიობები (ისევე, როგორც როკ- და პოპვარსკვლავები) საზოგადოებისთვის ნამდვილ – ეკრანულ და ცხოვრებისეულ – კერპებად აღიარეს. სხვადასხვა ეპოქაში კერპის დაბადების მიზეზები სხვადასხვა იყო, მაგრამ საფუძველი – ერთი და იგივე. ისინი პასუხობდნენ მაყურებლის სურვილებს, ოცნებებს, წარმოდგენებს; გამოხატავდნენ მათ, მათ პრობლემებს ატარებდნენ და/ან პრობლემების დაძლევისთვის, სულიერი გადარჩენისთვის იბრძოდნენ სიცოცხლის ფასად.

კინო გავლენას ახდენს მოდაზეც. მაყურებელი ბაძავს ეკრანულ გმირებს – მათსავით იცვამს, მათნაირ ვარცხნილობას, აქსესუარებს ატარებს. საუბარში იყენებს მათგან მოსმენილ დიალოგებს, ფრაზებს, ტერმინებს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ დაემსგავსოს მათ, არამედ მართლაც მოირგოს თვისებები, რომლებიც მათში მოსწონს.

სულ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან: ჯინსის შარვალი, რომელიც დღეს განურჩევლად ყველას აცვია და ყველაზე პოპულარულ სამოსად ითვლება, მასობრივი მოხმარების საგნად მას შემდეგ იქცა, რაც 50-იანი წლების კინოვარსკვლავ ჯეიმს დინს, რომელიც იმ თაობის კერპი იყო (და 24 წლისა ტრაგიკულად დაიღუპა ავტოკატასტროფაში), ფილმებში – „უსაფუძვლოდ მეამბოხე“, „გოლიათი“, „სამოთხიდან აღმოსავლეთით“ – ეცვა.

60-იანი ფრანგული კინოს ერთ-ერთი მთავარი მსახიობის, თაობის კერპ ბრიჯიტ ბარდოს (რომელიც საფრანგეთის სიმბოლოს, ქალის მინიატურული სკულპტურის, „მარიანას“, ერთ-ერთი მოდელიც კი იყო) ვარცხნილობა კრისტიან ჟაკის კომედიიდან „ბაბეტა მიდის ომში“, იმ პერიოდის ყველაზე მოდურ ვარცხნილობად იქცა და სახელწოდებაც კი პერსონაჟის სახელის მიხედვით ჰქონდა – „ბაბეტა“.

კინო, მეცნიერების კვლევების მიხედვით, ყველაზე დიდ გავლენას ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების ფსიქიკაზე ახდენს (როგორც მათი მსოფლმხედველობის, ისე სხვადასხვა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, რეაქციებზე, მოქმედებაზე, ცხოვრების წესზე) და ბევრ დადებითსა თუ უარყოფითს ასწავლის.

დიდი ხნის წინ, ფილმ „ტარზანის“ ნახვის შემდეგ, ბიჭები ფილმის გმირივით ხიდან ხეზე დახტოდნენ და სიმარჯვეში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. თუმცა საკმაოდ ხშირად ეს ხტომები მარცხით მთავრდებოდა.















ასევე, რამდენიმე ათეული წელია მას შემდეგ, რაც ეკრანებზე ჯონ სტერჯესის ფილმი „შესანიშნავი შვიდეული“ და, მოგვიანებით, ანდრე იუნებელის „ფანტომასი“ გამოვიდა. ბევრმა ახალგაზრდამ, იულ ბრინერის ნატურალურად უთმო კრისისა („შესანიშნვი შვიდეული“) და რეზინის ნიღბიანი ჟან მარეს („ფანტომასი“) მსგავსად თავი გადაიპარსა და ამით იწონებდა თავს. თავის გადაპარსვის ტრადიცია, ისე, რომ ალარავის ახსოვს როდიდან, კვლავაც აქტუალურია და მოდური სწორედ ამ ორი კინოგმირის წყალობით გახდა.

კინოს გავლენა ადამიანებზე კვლავაც დიდია. ალბათ ყველას ახსოვს „ჰარი პოტერით“ გამოწვეული აჟიოტაჟი ბავშვებში, როდესაც ცოცხებზე გადამჯდარი გოგო-ბიჭები გაფრენას ცდილობდნენ – არა თამაშით, არამედ სრული რწმენით, რომ ეს შესაძლებელი იყო, რადგან საკუთარი თავი ყოვლისშემძლე ჯადოქრებად წარმოედგინათ.

ალარაფერს ვამბობ, რა გავლენა მოახდინა თუნდაც ჯ.რ.რ. ტოლკინის „ბეჭდების მბრძანებელის“ მიხედვით პიტერ ჯექსონის გადაღებულმა





ფილმმა საზოგადოებაზე 2000-იანი წლების დასაწყისში და არა მხოლოდ ახალგაზრდებზე. მისი წყალობით მაყურებელი წიგნის აქტიურ მკითხველად და თაყვანისმცემლად – „ტოლკინისტად“ იქცა, ჰობიტებისა და ელფების ენა შეისწავლა წიგნის დაწერიდან (XX საუკუნის 30-50-იან წლები) ამდენი ხნის შემდეგ.

რა თქმა უნდა, კინოს გავლენა, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა, შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც. ყველაფერი მიზნიდან და ამა თუ იმ ფილმის შემქმნელების ეთიკური, მორალური და სახელმწიფოებრივი პრინციპებიდანაც კი გამომდინარეობს.

საინფორმაციო საშუალებები – კინო, ტელევიზია, ვიდეო და ინტერნეტი, ადამიანის ცხოვრების განუყოფელ და ყველაზე ადვილად მისაწვდომ სფეროს წარმოადგენენ, ყველაზე მასობრივს, რომელსაც ყველაზე დიდი აუდიტორიის მოცვა შეუძლია და შესაბამისად – ამ აუდიტორიის რაც შეიძლება დიდი ნაწილის გავლენის ქვეშ მოქცევაც.

თუმცა, რა თქმა უნდა, ისინი არაა ერთგვარი და მათი გავლენაც არაერთგვარია. ამა თუ იმ ქვეყნის წარმომადგენლები, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად არაერთგვარ პირობებში მყოფი მოსახლეობა, სხვადასხვა სოციალური ფენა განსხვავებულად იღებს ამ გავლენას და სხვადასხვაგვარადაც რეაგირებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს რამდენადაა საზოგადოება მზად გამოწვევისთვის, გზავნილის მისაღებად, როგორია მისი ინტელექტუალური განვითარების დონე, როგორი გემოვნება აქვს, როგორია მისი მოთხოვნა და დაკვეთა.

პოლიტიკური და შინაგანი თავისუფლების მოპოვების შემდეგ, სწორედ ტელევიზიისა და კომპიუტერის, „დივიდი“ ჩანაწერებისა და ინტერნეტის წყალობით, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ადამიანს შეუძლია ნებისმიერი ფილმი ნახოს მაშინ, როდესაც უნდა და ამისთვის სახლიდან გასვლაც არ დასჭირდეს. ინტერნეტსივრცე, მსოფლიო ელექტრონული ქსელი თავისუფალია. იშვიათი გამონაკლისი ქვეყნების გარდა, მასზე შეზღუდვა არ არსებობს. ამდენად, პროპაგანდა ამ სივრცეში თან თითქოს შეუძლებელია და თან ამისთვის ძალიან ძლიერი ველია. პროპაგანდის საშუალებად ტელევიზია და სოციალური თუ სხვა ელექტროქსელები დღესაც ბევრ ქვეყანაში გამოიყენება წარმატებით.

დღევანდელ მაყურებელს ამ მხრივაც შეუძლია გააკეთოს არჩევანი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კინომ მაყურებელზე გავლენის ძალა დაკარგა. ბუნებრივია, დღევანდელი საზოგადობა ისეთი გულუბრყვილო და გამოუცდელი ალარაა, როგორიც კინოს დაბადების პირველ წლებში იყო, რო-



დესაც ეკრანზე მომავალი მატარებლის დანახვაზე შეშინებული გარბოდა ან ვილაც თავზეხელაღებული კოვბოი ეკრანს ტყვიებს უშენდა, საომარი თუ ქუჩის ჩხუბების ამსახველი ეპიზოდების ყურების დროს. ან მაშინ, როდესაც ნადირობის სცენების ნახვისას გამოცდილი მონადირეები მსახიობებს ეკრანზე, რომლებიც ნადირობდნენ, ხმამაღლა ურჩევდნენ, როგორ ჩასაფრებოდნენ და საიდან დასხმოდნენ თავს ვეფხვსა თუ დათვს.

კინოს პარალელურად, თითქოს მისი გაგრძელება, გაჩნდა კომპიუტერული თამაშები, რომლებსაც ვირტუალურ სივრცეში გადაჰყავთ ადამიანი და სრულიად წყვეტენ გარე სამყაროს. იქ შესული ყოველი ინტერნეტმომხმარებელი დროის მბრძანებელი ხდება, რადაც უნდა, იმად გადაიქცევა, როგორ მდგომარეობაშიც მოინდომებს, ისეთში აღმოჩნდება. კომპიუტერულ თამაშებსაც კინოს პრინციპი უდევს საფუძვლად – ამბავი, სიუჟეტი, ქმედება, ჩართვა ამ მოვლენებსა და ამბებში, ამ თავგადასავალში. ასეთ მდგომარეობაში, დარწმუნებული ვარ, ყოველი ჩვენგანი ყოფილა. უფლებები და შთაბეჭდილებები აქ უფრო დიდია, რადგან ვითარების მართვა მოთამაშეზეა დამოკიდებული, მისი წარმოსახვისა და გარდასახვის უნარზე, მოხერხებულობასა და სიმარჯვეზე.

საერთოდ, მოაზროვნე ადამიანს ყოველთვის ახასიათებდა პარალელურ, გამოგონილ სამყაროში შეღწევის სურვილი. ამისთვის იგონებდა ზღაპრებს, ამისთვის გამოიგონა ლიტერატურაც, თეატრიც და ა.შ., ამისთვის გამოიგონა კინო. თუმცა რეჟისორებს, რომლებმაც  მსოფლიოში პირველი ფილმები შექმნეს, წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რა შედეგს გამოიღებდა მალევე და წლების შემდეგ მათი საოცარი გამოგონება.

ალბათ დაკვირვებული ხართ, არაფერზე იმდენს არ საუბრობენ და კამათობენ, როგორც ახალ ნანახ ფილმსა თუ სერიალზე (ბოლო დროს განსაკუთრებით სერიალებზე) და არც ერთ სხვა სფეროში (პოლიტიკის გარდა) არაა ამდენი „კომპეტენტური“ ადამიანი, როგორც კინოს „მცოდნეთა“ შორის.

კინოს შეუძლია ბევრ კითხვაზე გვაპოვნინოს პასუხი, ბევრ საკითხში გაგვარკვიოს, პრობლემები სხვაგვარად აღგვაქმევინოს ან თუნდაც რამდენიმე საათით მოგვაქციოს სხვა, შეიძლება წარმოსახვით, მაგრამ მშვენიერ სამყაროში, რომელშიც მოგზაურობის შემდეგ რეალობაც უკეთესად და უფრო გასაგებად წარმოგვიდგება. რა თქმა უნდა, კინო ჭრილობებს ვერ კურნავს, მაგრამ შეხორცებისა და ტკივილის გაყუჩების შანსს გვაძლევს. ბედნიერებას გვანიჭებს. ჩვენ შეგვიძლია და გვინდა, რომ ეს შანსი გამოვიყენოთ.





ალექსანდრე რონდელი

# მოგონებები

ამ მოგონებების წერას ალბათ ხელს არ მოვკიდებდი, ჩემს ყოფილ სტუდენტებს და ამჟამად უახლოეს მეგობრებს რომ არ დაეძალებინათ, დაწერე მოგონებები თბილისზეო... როცა წიგნის მაღაზიებში შევდივარ, თვალები მიჭრელდება, იმდენ კარგად გამოცემულ ქართულ და ნათარგმნ წიგნს ვხედავ. ზოგჯერ ვფიქრობ, თუ არის მათში რაიმე ისეთი, რაც ჩემს ბავშვობასა და ახალგაზრდობას მომაგონებდა. სამწუხაროდ, ასეთი არ შემხვედრია, გამონაკლისი და ისიც ბრწყინვალე, ჩემი ახლო მეგობრის, რევაზ გაჩეჩილაძის „ჩემი მეოცე საუკუნეა", რომელიც იმდენად კარგია, რომ, ვფიქრობ, ყველამ უნდა წაიკითხოს. ჩემი მოგონებები უფრო მსუბუქია – მინდოდა გადმომეცა თბილისის ის ატმოსფერო, რომელიც ჩემი სიცოცხლის პირველ ნახევარში იყო ჩვენს ქალაქში და რომლის გახსენება დიდ სიხარულს და დიდ სევდას მგვრის. როცა ჩემი ახალგაზრდობის თბილისს ვიგონებ, თვალწინ მიდგას, პირველ ყოვლისა, ის ადამიანები, რომლებმაც ჩემს მეხსიერებაში კვალი დატოვეს – არა მხოლოდ ჩემი ასაკის მეგობრები, არამედ ბევრად უფროსებიც, რომლებმაც ნამდვილი ადამიანობისა და მეგობრობის ძალა და სიტკბო მაგრძნობინეს, საკუთარი სიკეთით დამაჯილდოვეს.

მწარე თუ ტკბილ მოგონებათა უმრავლესობა დროსთან ერთად ჩვენთვის სულ უფრო ძვირფასი ხდება. ის, რაც იყო, არასოდეს განმეორდება, მაგრამ სიზმარსა თუ ცხადში ჩვენთანაა და გულს სევდით გვივსებს. თბილისი კი იყო, არის და იქნება...

## საბავშვო ბაღი, სკოლა



ის, რაც გვახსოვს, ალბათ, საბავშვო ბაღით იწყება. ჩვენს მეხსიერებაში სწორედ საბავშვო ბაღია პირველი შეხვედრა საზოგადოებასთან. მართალია, ეს მცირეწლოვანთა საზოგადოებაა, მაგრამ სწორედ აქედან იწყება სხვებთან ურთიერთობა, მეგობრობა, კონფლიქტები და მათი მოგვარება, ზოგჯერ – ნაადრევი შეყვარებულობაც კი. რაც მნიშვნელოვანია, იქ ვხვდებით ჩვენს პირველ მასწავლებელს, რომელიც შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე გვახსოვს.

ვერის გულში ვცხოვრობდი, ყაზბეგის ქუჩაზე. ჩემი საბავშვო ბაღი იმდროინდელი ბელინსკისა (ახლა ჭოველიძის) და ლენინის (დღეს კოსტავას) ქუჩების კუთხეში იყო (იქ, სადაც ახლა სასტუმრო „Rooms"-ია). ალბათ 1946 წელი იყო,



ალექსანდრე რონდელი



დედასთან - ნინა ამირეჯიბთან



მამასთან - დავით რონდელთან

როცა საბავშვო ბაღში მიმიყვანეს. 1942 წლის 7 იანვარს დავიბადე და 4 წლის ასაკს უკვე გადაცილებული ვიყავი. ძალიან მაინტერესებდა იქაურობა, მაგრამ მახსოვს, რომ მეშინოდა. როგორ წარმოვიდგენდი მაშინ, რომ იქ შეძენილი მეგობრები მთელი ცხოვრება გამყვებოდნენ?!

ჩემი უფროსი ძმისა და მშობლებისგან გამეგონა, რომ მოვხვდებოდი საუკეთესო აღმზრდელის, ქალბატონ ეთერი გველესიანის ხელში. საბავშვო ბაღს რომ ვიხსენებ, სწორედ ეს არაჩვეულებრივი ქალბატონი მიდგას თვალწინ. როგორც კი დავინახე, მივხვდი, რომ საოცარ ქალთან მქონდა საქმე. დეიდა ეთერი (ასე ვეძახდით) დღემდე ქართველი ქალის იდეალად მიმაჩნია. კეთილშობილი გარეგნობის, სათნო, კეთილი, თავშეკავებული, დისციპლინის მოყვარული, მაგრამ ყოველთვის მოსიყვარულე. აღმზრდელის თვისებები თითქოს ღმერთისაგან ჰქონდა მინიჭებული. საშუალო ასაკის იყო, თუმცა ძალიან დიდი გვეჩვენებოდა. ხმას არასდროს აიმაღლებდა (არ გინდოდა ამდენი გიჟის გაძლება?!). მისი ფოტო რომ მქონოდა, ერთი შეხედვით მიხვდებოდით, რატომ სარგებლობდა პატარების საყოველთაო სიყვარულით დეიდა ეთერი. ყოველთვის თეთრსაყელოიანი მუქი კაბა ეცვა, ზემოდან – თეთრი ხალათი. მაშინ ბევრს ჰყავდა ომში ვიღაც დაღუპული ან დაკარგული. შესაძლოა, ეს მის ოჯახსაც შეეხო, ახლა ველარ ვიხსენებ.

საბავშვო ბაღი შუშაბანდიანი შენობისა და დიდი ეზოსაგან შედგებოდა. მთელი დღე ეზოში ვიყავით. საჭმელად და დასაძინებლად შენობაში შევდიოდით. საჭმელი, რა თქმა უნდა, ერთფეროვანი და მოსაბეზრებელი იყო: ბრინჯის ან სხვა ფაფა, ცოტა ხორცი (ხშირად ცხვრისა, რომელსაც არცთუ სასიამოვნო სუნი ჰქონდა), პურის დიდი ნაჭერიც გვერგებოდა და ყველას, რა თქმა უნდა, ე.წ. „გარბუშკის“ დათრევა გვინდოდა – „გარბუშკას“ პურის ხრამუნა ქერქს ვეძახდით. სადილის შემდეგ გვაძინებდნენ. ძილი არ გვინდოდა, მაგრამ ცოტას წავუძინებდით ხოლმე.

საბავშვო ბაღში ჩვენი უბნის ბავშვები იყვნენ. ერთმანეთში ხშირად ვჩხუბობდით. ბოროტები ბავშვებშიც გვხვდებიან, მაგრამ საერთო ატმოსფერო კარგი იყო... ყველაზე დიდი უბედურება მაშინ იწყებოდა, როცა თეთრხალათიანი ექიმები გამოჩნდებოდნენ, დიდი შპრიცებით შეიარაღებულნი. რას არ ვაკეთებდით, რომ ეს შპრიცი აგვცდენოდა, მაგრამ ამაოდ! ძალიან ბევრჯერ გვცრიდნენ. ზოგჯერ ნემსს ზურგში გვიკეთებდნენ და უნდა გენახათ, რა ტრაგედია ტრიალებდა! ხშირად გვაძლევდნენ თევზის ქონსა და „ჰემატოგენს“. თევზის ქონს ვერ ვიტანდით, მაგრამ „ჰემატოგენი“ შოკოლადი გვეგონა და გვიხაროდა. ძნელი დრო იყო, სურსათი ბევრი არ იყო, მაღაზიებშიც ბევრი არაფერი იდო, ამიტომ ყველაფერი ახალი დიდი მოვლენა იყო – პირველი კანფეტი, პირველი შედედებული რძე. ამის პირველად დაგემოვნება უდიდესი მოვლენა იყო ჩემს ბავშვობაში. ყველაზე მეტად გვიყვარდა შემწვარი კარტოფილი და ერბოკვერცხი. როცა ძეხვი გამოჩნდა, ხომ ჩვენს ყველაზე სანატრელ დელიკატესად იქცა.

*ჰემატოგენი არის რკინის შემცველი პროფილაქტიკური პრეპარატი, რომელიც სისხლში წითელი უჯრედების – ერითროციტების წარმოქმნას უწყობს ხელს. ჰემატოგენი ფართოდ გამოიყენებოდა დიდი სამამულო ომის პერიოდში და შემდგომაც; მის საფუძველზე დაჭრილებს სხვადასხვა კერძებს უმზადებდნენ. რამდენადაც ჰემატოგენი მსხვილფეხა საქონლის მშრალი დეფიბრინირებული, დამუშავებული სისხლისაგან მზადდება, გემოს გასაუმჯობესებლად უმატებენ შედედებულ რძეს, თაფლს და სხვა ნივთიერებებს. გარეგნულად ჰემატოგენის ფირფიტები წააგავს მცირე ზომის შოკოლადს . გემო აქვს თავისებური, მაგრამ სასიამოვნო.*





ალექსანდრე რონდელი II კლასში, 1950 წ. 12 მაისი
მასწავლებელი - შუშანა ზოიძე, სასწავლო ნაწილი - სანდრო კაკულია
ვაჟთა მე-7 სკოლა (შემდგომში 53-ე საშ. სკოლა)

საბავშვო ბაღში ძალიან ბევრს ვცელქობდით და კუთხეში დგომა (დასჯის წესი იყო!) არავის აგვცდენია. სათამაშოები, რა თქმა უნდა, არ გვქონდა, თუმცა მათ გარეშეც კარგად ვერთობოდით.

საბავშვო ბაღს მოჰყვა სკოლა. ეს იყო ბარნოვის ქუჩაზე მდებარე ვაჟთა მე-7 სკოლა (დღევანდელი 53-ე სკოლა). როგორც ვახსენე, ყაზბეგის ქუჩაზე ვცხოვრობდი, 26-ში, და ჩემი სახლიდან სკოლამდე 200 მეტრი იქნებოდა. ჩემი უფროსი ძმაც იმ სკოლაში სწავლობდა და მე რომ პირველ კლასში გავიჭიმე, მან სწორედ იმ წელს დაამთავრა სკოლა.

საბავშვო ბაღში ბევრი მეგობარი გავიჩინე. ზოგი მათგანი შემდეგ ჩემსავე სკოლაში სწავლობდა და ზოგი ჩემი კლასელიც კი გახდა. ზოგს დღესაც ვხვდები, მაგრამ უმრავლესობას ახლა ველარც ვიცნობ. კარგად მახსოვს ჩემზე უფროსი ლევან მოსეშვილი, რომელიც შემდეგ სახელგანთქმული კალათბურთელი გახდა. მახსოვს ლევანის გრძელყურებიანი ციგეიკის ქუდი... შემდგომში ძალიან ვამაყობდი, რომ ერთ საბავშვო ბაღში დავდიოდით.

მახსოვს გერმანელი ტყვეები, რომლებიც ჩვენს უბანშიც მუშაობდნენ მშენებლობაზე და რომლებიც 40-იანი წლების მიწურულს თავიანთი სამუშაო ადგილის ახლომახლო თავისუფლად დადიოდნენ. მათ შესახებ ცალკე გიამბობთ. მახსოვს ომის უამრავი ინვალიდი – უფეხო, უხელო, დამწვარი, უსინათლო, მძიმედ დაშავებული, რომლებიც მათხოვრობდნენ ქუჩაში, ტროლეიბუსებში, მატარებლებში. მერე, რაღაც მომენტში, თითქმის ყველა გაუჩინარდა. მაშინ არ ვიცოდი და მხოლოდ მოგვიანებით გავრცელდა ხმა, რომ სტალინის ბრძანებით მათ უმრავლესობას საგანგებო ადგილებში უკრეს თავი, მოსახლეობაზე დამთრგუნველი ზეგავლენა რომ აღარ მოეხდინათ და სტალინის ქვეყანაში ყველას ბედნიერად ეგრძნო თავი.

ომის შემდგომი პერიოდი არ იყო ადვილი უფროსებისთვის, მაგრამ ბავშვობა, მიუხედავად გარემოებისა, ხომ უმეტესწილად ცხოვრების ყველაზე ტკბილი და სასიამოვნო ნაწილია. როცა პატარა ხარ, ზოგიერთი რამ ძალიან გაკვირვებს და მეხსიერებაშიც გრჩება. მახსოვს 1947 წლის ფულის რეფორმა, როდესაც ქუჩებში ზოგიერთები შემნახველი სალაროებისკენ გარბოდნენ დიდი პაკეტებით ხელში. ზოგს ძონძები ეცვა, მაგრამ ბლომად ფული ეჭირა ხელში, რაც ძალზე გასაკვირი იყო.

*II მსოფლიო ომის დროს საქართველოში 40 ათასამდე გერმანელი ტყვე მოხვდა, რომლებიც სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში მიმდინარე მშენებლობებზე მუშაობდნენ. საქართველოში გერმანელი ტყვეები დასაქმებული იყვნენ ჰესების, საავტომობილო გზების, ხიდების, გვირაბების, რკინიგზის სადგურებისა და სხვა მშენებლობებზე. თბილისში გერმანელი ტყვეების აშენებულია პარლამენტის შენობა რუსთაველის გამზირზე, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის შენობა, რამდენიმე საცხოვრებელი სახლი ვაკეში, მარჯანიშვილზე. გერმანელ ტყვეთა რეპატრიაცია 1947 წლიდან დაიწყო, თუმცა მათი უმეტესობა სამშობლოში ნ. ხრუშჩოვსა და კ. ადენაუერს შორის 1956 წ. მიღწეული შეთანხმების შედეგად დაბრუნდა.*

*1947 წლის 16 დეკემბერს საბჭოთა კავშირში განხორციელდა ფულის რეფორმა. მიმოქცევაში ახალი საბჭოთა მანეთი გამოვიდა. ძველ ფულზე მისი გადაცვლა ხდებოდა პროპორციით: ერთი ახალი მანეთი – 10 ძველზე. შემნახველ სალაროებში არსებული შენატანების გადაფასება მოხდა შემდეგი თანაფარდობით: 3000 მანეთამდე – ერთი/ერთზე, 3 ათასიდან 10 ათასამდე - ორი/სამზე, 10 ათასიდან ზევით – ერთი/ორზე. ამასთან ერთად, შემცირდა სახელმწიფო ფასები პურზე, ფქვილზე, ბურღულზე, მაკარონზე, ლუდზე და სხვა პროდუქტებზე.*



სკოლაში 6 წლისა შემიყვანეს, თუმცა წესით 7 წლის ასაკიდან იყო მიღება. სხვებზე პატარა ვიყავი, მაგრამ ჩემს კლასში საბავშვო ბაღის მეგობრები აღმოჩნდნენ: ჯუმბერ ბრეგვაძე, მერაბ რატიშვილი, გოგი ხუციშვილი, არჩილ გოგელია და სხვები. კლასის დამრიგებელი ქალბატონი შუშანა ზოიძე იყო. აქაც გამიმართლა. ნეტავი ყველას ჰყავდეს ასეთი პირველი კლასის დამრიგებელი – საუკეთესო პედაგოგი და ძალიან კარგი პიროვნება.

სკოლა სულ სხვა რამე იყო! ჯერ ერთი, აქ მხოლოდ ბიჭები ვიყავით, გოგონები საბავშვო ბაღიდან ქალთა სკოლებში წავიდნენ. კლასის და პარალელური კლასის ბიჭებთან ურთიერთობები ჩამოყალიბდა. ჩემს კლასსა და პარალელურ კლასებში ბევრი ჩემი უბნელი – ვერელი იყო. ჩემი უახლოესი მეგობარი გურამ ჩიტიშვილიც ყაზბეგის ქუჩაზე ცხოვრობდა. მასთან ხშირად მივდიოდი სამეცადინოდ. ძალიან მოსიყვარულე მშობლები ჰყავდა. დავმეგობრდი გოგი ხუციშვილთან, ჯუმბერ ბრეგვაძესთან, მერაბ რატიშვილთან, ჯემალ ეპიტაშვილთან, აჩიკო გოგელიასთან. რომელი ერთი გავიხსენო! ძალიან მიყვარდა მათთან სტუმრად მისვლა. მათი მშობლები მეფერებოდნენ და ეს ძალიან მიყვარდა. უფრო მათ დედებს ვიცნობდი, რადგან მამები შინ გვიან ბრუნდებოდნენ და მასპინძლობას უმთავრესად მეგობრების დედები გვიწევდნენ. ეს ქალბატონები დღესაც თვალწინ მიდგანან, ანგელოზებივით. რამდენი სითბო, რამდენი ჩაი და მურაბა მახსოვს მათგან! მაშინ არავინ იყო შეძლებული, მაგრამ შვილის ძმაკაცისთვის არაფერს იშურებდნენ. ჩემთანაც მოდიოდნენ და დედაჩემსაც ძალიან უხაროდა მათი მოსვლა. ყოველთვის მეუბნებოდა, მოიყვანე მეგობრებიო.

*1943 წლის 16 ივნისს სსრკ სახკომსაბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტარლური კომიტეტის 3 აგვისტოს დადგენილებით საქართველოს სკოლებში დაწესდა ქალვაჟთა ცალ-ცალკე სწავლება.*
*საშუალო სკოლებში ქალვაჟთა ერთად სწავლება აღადგინეს1954-1955 სასწავლი წელს.*



ჩემს კლასში და უახლოეს მეგობრებს შორის დედა პირველად გოგი ხუციშვილმა დაკარგა. კარგად ვიცნობდი. არაჩვეულებრივი გარეგნობა ჰქონდა და მეჩვენებოდა, რომ ძალიან ვუყვარდი. თუ რაიმე მურაბა ჰქონდა, ყველას მაგიდაზე გამოიტანდა და გამასინჯებდა. დღესაც მაგონდება მისი განსაკუთრებული სითბო. მისი სიკვდილი მთელი ჩვენი კლასის ტრაგედია იყო. ყოველთვის მახსოვს ბელინსკის ქუჩაზე მათთან სტუმრობა, მეორე სართულზე, და გოგის დედის სახე თვალწინ მიდგას...

თუ პირველ კლასში ყველა მეტ-ნაკლებად ერთნაირად ვცდილობდით და ნიშნებიც დაახლოებით ერთნაირი გვქონდა, მეორე კლასიდან დაიწყო დიფერენციაცია. გამოიკვეთა ფრია-



დოსნები, სამოსნები და ოროსნებიც კი. კლასში ფრიადოსნებს ზოგჯერ ალმაცერად უყურებდნენ, სავსებით უსამართლოდ. ჩვენს შემთხვევაში ასე არ იყო. ორი გამოკვეთილი ფრიადოსანი გვყავდა – ზურაბ ქევანიშვილი და გურამ ჩიტიშვილი, საოცრად კარგი ბიჭები და ახლო მეგობრები. ასეთებად დარჩნენ მთელი ცხოვრების მანძილზე. ბევრი სწავლობდა კარგად, მაგრამ გამოიკვეთა ჩამორჩენილების ჯგუფიც, სადაც თანდათანობით მეც ალმოვჩნდი. ვზარმაცობდი და სწავლა არ გამომდიოდა. ძალიან განვიცდიდი, მაგრამ ამაოდ. ბიჭები მეხმარებოდნენ.

ჩვენს სკოლას დიდი ეზო ჰქონდა, სადაც გამართული იყო კალათბურთის მოედანი. ფეხბურთის თამაშიც შეიძლებოდა. ჩვენი სკოლა დაამთავრა 50-იანი წლების ქართული ფეხბურთის ვარსკვლავმა ავთანდილ ჭკუასელმა, რაც ძალიან გვეამაყებოდა. მე-7 ვაჟთა სკოლის დიდ სარდაფში ზოგჯერ ფილმებსაც აჩვენებდნენ და უნდა გენახათ, რა ხდებოდა. ეს სარდაფი ძალიან ცნობილი გახდა, რადგანაც ფარიკაობის მწვრთნელმა, ბატონმა ბიჭიკო მესხმა ფარიკაობის სექცია გახსნა. იქ მოხვედრილებს შურით ვუმზერდით. ჩვენი სკოლიდან გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები ფარიკაობაში – სამი ძმა გოგელია (გოგი, კოტე და არჩილი). აჩიკო, თუ არ ვცდები, სსრკ-ის ჭაბუკთა შორის ჩემპიონი გახდა. ასეთივე ტიტული მოიპოვეს გოგი მარგიშვილმა და თემურ ცქიტიშვილმა – ესენია, ვინც მახსოვს. იმ დროს ვინმეს რომ გაიცნობდი, ეკითხებოდი „რაზე დადიხარ?“ სირცხვილი იყო, რომ სპორტის რომელიმე სახეობაზე არ გევლო. ბევრი ჩვენგანი დადიოდა ფარიკაობაზე, ფეხბურთზე, კალათბურთზე, კრივზე, ცურვაზე და ა.შ. რა თქმა უნდა, ყველა სპორტსმენობას არ აპირებდა, მაგრამ ბიჭებს სპორტი გვიყვარდა. საქართველოს მაშინ ძალიან ბევრი ცნობილი სპორტსმენი ჰყავდა: ბორის პაიჭაძე, ნინო დუმბაძე, ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია, მოჭიდავეების მთელი პლეადა. კიროვის სახელობის პარკში













*1960 წლის ზაფხულში თბილისში ჩამოვიდა ჩინეთის ქალთა ნაკრები, რომელთანაც 2 აგვისტოს ითამაშა თბილისის „ბურევესნიკმა“ და 63:51-ით მოიგო, ხოლო 3 აგვისტოს თბილისის ნაკრებმა და 51:48-ით მოიგო.*

*საქართველოში ალპინიზმის ისტორია ოფიციალურად 1923 წლიდან იწყება, როცა გიორგი ნიკოლაძისა და ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით აგვისტოსა და სექტემბერში ზედიზედ ორი ექსპედიცია მოეწყო მყინვარწვერზე.*

*გიორგი ნიკოლაძის მყინვარწვერის ექსპედიცია უმეტესწილად თსუ-ის სტუდენტებითა და თანამშრომლებით იყო დაკომპლექტებული. ეს იყო რეკორდული ასვლა – მწვერვალი დალაშქრა მრავალრიცხოვანმა, 18-კაციანმა ჯგუფმა, მათ შორის ხუთი ქალი იყო.*

*საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის პირველი სამეცნიერო ექსპედიციიდან, რომელსაც ალექსანდრე დიდებულიძე ხელმძღვანელობდა, მყინვარწვერს მხოლოდ ექსპედიციის 7 წევრმა მიაღწია. მათ შორის იყო ალექსანდრა ჯაფარიძე – ლეგენდარული მთამსვლელი ქალი, პირველი ქალი, ვინც უშბაზე შედგა ფეხი (1934 წ.).*

*რა თქმა უნდა, საქართველოში მწვერვალებს 1923 წლამდეც იპყრობდნენ: მაგალითად, ალ. დიდებულიძის ექსპედიციის გამყოლი გახა წიკლაური მაშინ მყინვარწვერზე მე-16-ჯერ ავიდა. გ. ნიკოლაძის გამყოლი იაგორ  კაზალიკაშვილი  კი, მყინვარწვერზე მანამდე 9-ჯერ იყო ნამყოფი.*

*გიორგი ნიკოლაძე იყო მეთაური პირველი საბჭოური ასვლისა კავკასიონის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე (1925 წ.).*

*ქართველების მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო უშბაზე და-ძმა ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეების, იაგორ კაზალიკაშვილისა და გიო ნიგურიანის ასვლა 1934 წ., რამაც სათავე დაუდო საბჭოურ ასვლებს ამ მწვერვალზე. ამას მოჰყვა 1937 წ. უშბაზე პირველი კლდოვანი ასვლა, რომელშიც მონაწილეობდნენ გაბრიელ, ბექნუ და ბესარიონ ხერგიანები, ჭიჭიკო ჩართოლანი და მაქსიმე გვარლიანი. ქართველი მთამსვლელები იყვნენ კავკასიონის, პამირისა თუ ტიან-შანის მთების მრავალი მწვერვალის პირველამსვლელები და ბევრი ახალი, ურთულესი მარშრუტის გამკვალავები. 1949 წლიდან, როცა საფუძველი ჩაეყარა სსრკ-ის ჩემპიონატებს, ქართველ მთამსვლელთა გუნდებმა არაერთი გამარჯვება მოიპოვეს. ყოფილა შემთხვევები, როცა ქართველი ალპინისტების რამდენიმე გუნდს ერთდროულად მოუგია საკავშირო ჩემპიონატები სხვადასხვა კლასში. საქართველოს ცალკეული მთამსვლელები არაერთხელ გამოსულან  რუსეთის გუნდების შემადგენლობაშიც და მათთან ერთად მრავალი ოქროს, ვერცხლისა თუ ბრინჯაოს მედალიც დაუსაკუთრებიათ.*

*ქართული ალპინიზმის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის 1936 წელს დაარსებულ საქართველოს „ალპურ კლუბს“, რომელიც 1945 წლიდან ალიოშა ჯაფარიძის სახელს ატარებს.*

(დღევანდელ ვერის პარკში) იყო კალათბურთის ორი ღია მოედანი. ერთ-ერთზე საკავშირო ჩემპიონატის თამაშები ტარდებოდა. მეორეს სავარჯიშოდ იყენებდნენ. ამ პარკში იყო ალპიური კლუბიც. ჩვენი ალპინისტები საბჭოთა კავშირში ძალიან ცნობილები იყვნენ.

პირველი უცხოელი სპორტსმენები, რომლებიც ვნახეთ, იყო ჩინეთის კალათბურთის ქალთა ნაკრები, რომელიც თბილისში რამდენიმე კვირით ჩამოვიდა სავარჯიშოდ და სათამაშოდ. ჩინელი გოგონები ძალიან მოგვეწონა, ხშირად დავდიოდით მათ სანახავად. გვცნობდნენ, საფოსტო ბარათებს ჩინეთის ხედებით და სამკერდე ნიშნებს გვჩუქნიდნენ. როცა წავიდნენ, ძალიან დაგვწყდა გული.

ერთი ხანობა მეც დავდიოდი კალათბურთზე. ჩემზე უფროს ჯგუფებში ბრწყინავდნენ ლევან მოსეშვილი და თამაზ ოქრუაშვილი. შემდგომში ორივემ მიაღწია წარმატებას – ერთი დიდი მოთამაშე გახდა, მეორე – შესანიშნავი მწვრთნელი.

ჩემი დეიდაშვილი ნიკა ამირეჯიბი ფეხბურთელი იყო, „ნორჩ დინამოელში“ თამაშობდა, მეკარე იყო. პირველი მეკარე შემდგომში „ვეფხვად“ ცნობილი ანზორ კავაზაშვილი იყო, მეორე მეკარე კი – ნიკა.  იგი ჩემზე უფროსი იყო და გადამიბირა ფეხბურთზე. ადრე ჩემი უფროსი



ალ. ჯაფარიძე ახალგაზრდებთან ერთად



გ. ნიკოლაძის მყინვარწვერის ექსპედიცია, 1923 წ.



1923 წლის პირველი ექსპედიციის წევრები.
სხედან: ევგენი ლიპინსკი, ანდრია თოფაძე, სოსო ასლანიშვილი, ალექსანდრა ჯაფარიძე, ალექსანდრე დიდებულიძე, გიორგი ქავთარაძე, სერგი ცხაკაია, შალვა ხუჭუა. დგანან: არჩილ ზენაშვილი, კონსტანტინე პაპინაშვილი, ვალენტინ თელაშვილი, გიორგი ავალიშვილი, გიორგი ერიქაშვილი, არნოლდ ვეისი, ტარასი ზაგაშვილი, ვიქტორ კოჩერგინი, დიმიტრი გურგენიძე, ნიკო ინწკირველი.



*1957 წლის 7 ივნისს თბილისში, „დინამოს“ სტადიონზე, გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და ინგლისის „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ ამხანაგური მატჩი, რომელიც დასრულდა 3:0-ით, ინგლისელთა სასარგებლოდ.*

ძმა, ლევანი, რომელიც საქართველოს ახალგაზრდა მოკრივეებში ბრწყინავდა, კრივზე სიარულს მირჩევდა – გრძელი ხელები გაქვს და სხვა მონაცემებიცო, მაგრამ მე არ დავუჯერე და დეიდაშვილს ფეხბურთზე გავყევი. მან მიმიყვანა „ნორჩ დინამოელში“ და ჩამაბარა მწვრთნელს – ავთანდილ (ციტო) ვარდიაშვილს. ბავშვთა ძალიან კარგი მწვრთნელი იყო. ჩვენ გვწვრთნიდნენ აგრეთვე ვლადიმერ (ვოვა) მარღანია, ვიქტორ პანიუკოვი და გრიგოლ გაგუა. მე ცენტრალურ მცველად გამამწესეს. ვარსკვლავებს არ ვწყვეტდი და ხშირად 11-მეტრიანებს ვიმსახურებდი. არ დამავიწყდება ერთი თამაში, როდესაც „დინამოს“ სტადიონზე (ძველ „დინამოზე“) ვითამაშეთ საღამოს საწვრთნელი მატჩი. უცნაური რამ ხდებოდა. ჩვენი მწვრთნელი გრიგოლ გაგუა თბილისის „დინამოს“ უფროს მწვრთნელად დაინიშნა და „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებთან გვათამაშა, ოღონდ ერთმანეთში ვიყავით შერეული. მახსოვს მხოლოდ, რომ სახელგანთქმული მარცხენა გარემარბი მიხეილ მესხი კარში იდგა(!), ხოლო მეკარე სერგო კოტრიკაძე მოწინააღმდეგეთა ცენტრალურ თავდამსხმელად(!) მოგვევლინა. მე სწორედ მისი განეიტრალება მევალებოდა. თავად გრიშა გაგუა მოწინააღმდეგეებში თავის ჩვეულ ადგილზე, მარცხენა მცველად თამაშობდა. ჯერ ხომ ბატონ გრიშას ბურთი ვერავინ წაართვა და უნდა გენახათ, როგორ დაფრინავდა კარში მიშა მესხი! რაც შემეხება მე, ვაი, ჩემ თავს უბედურს! – სერგო კოტრიკაძემ ისეთი ფინტების სერია ჩამიტარა, რომ პირველივე ტაიმში სამი გოლი გაგვიტანა. მაშინ მივხვდი, რა იყო ნამდვილი ფეხბურთი. ტრიბუნებზე რამდენიმე ათეული კაცი იყო – ძირითადად ფეხბურთელები. ქალაქში არავინ იცოდა, ასეთი თამაში რომ იქნებოდა. კიდევ კარგი, რომ ჩემი სირცხვილი ცოტამ ნახა.

ვარჯიშები გვიტარდებოდა „დინამოს“ წინდით დაფარულ საწვრთნელ მოედანზე. ახლა იქ ავტოპარკინგია. ძველი „დინამოს“ ტრიბუნების ქვეშ იყო კრივის დარბაზი, საცურაო აუზი და კიდევ რამდენიმე სხვა დარბაზი. იყო აგრეთვე სამედიცინო დისპანსერი, სადაც ტრავმებს მკურნალობდნენ. იქ მეფობდა ცნობილი ექიმი თამარ ჭანიშვილი. პაციენტები უმთავრესად ფეხბურთელები იყვნენ და ზოგჯერ – ბალეტის მოცეკვავეებიც. ერთხელ მეც მომიწია ორი კვირა იქ სიარული პარაფინის კომპრესების მისაღებად, დაზიანებული ტერფის გამო.

ვარჯიშს რომ მოვრჩებოდით, ზოგი სად მიდიოდა და ზოგი – სად. მეცადინეობა თითქმის არ გვახსოვდა. მე ხშირად ვრჩებოდი უფროსი ასაკის გუნდების ვარჯიშის საყურებლად. ხან შევივლიდი საცურაო აუზზე თვალწარმტაცი გოგონების საყურებლად, ხან კი შევიხედავდი კრივის დარბაზში, სადაც ოფლს ღვრიდნენ ჩემი დეიდაშვილისა და უკვე ჩემი მეგობრები – გურამ ბუმბიაშვილი, ალიკა სტეპანოვი და პეტრე ხუბეჟევი.

ფეხბურთზე ვინც დავდიოდით, უფასო ბილეთებს გვაძლევდნენ, ოღონდ აღმოსავლეთი ტრიბუნის მესამე იარუსზე – მზე თვალებში გვიჭყიტინებდა და ყველაზე გიჟები სწორედ აქ ისხდნენ. დასავლეთის ტრიბუნებზე უფრო „სვეტები“ სხდებოდნენ, თუმცა არც ისინი იყვნენ წყნარად. 50-იან წლებში დიდი მოვლენა იყო ინგლისის „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ ჩამოსვლა. 3:0 მოუგეს ჩვენს „დინამოს“, რის შემდეგაც ურყევი იყო ინგლისის ფეხბურთის ავტორიტეტი.

როცა ამდენი რამ ხდებოდა, აბა, სკოლისთვის როგორ მოვიცლიდი! ამიტომაც იყო, რომ ჩემი ნიშნები ყოველ მომდევნო კლასში სულ უფრო დაბლა იწევდა და საშემოდგომო გამოცდების გარეშე სასწავლო წელს ვერ ვასრულებდი.

მე-7 კლასში რომ ძლივს გადავბობღდი და პირველი სექტემბრისთვის სოფლიდან თბილისში დავბრუნდი, გამოცხადდა, რომ გოგონები და ბიჭები ერთად ვისწავლიდით. ამით ისარგებლეს სკოლებმა და ვინც არ მოსწონდათ, თავიდან მოიცილეს. აბა, მე ეს ვერ ამცდებოდა და სკოლაში რომ მივედი ამბის გასაგებად, დამრიგებელმა მითხრა: შენ აქ რა გინდა, მე-6 ქალთა სკოლაში გადაგიყვანესო. მე ვუთხარი: სკოლის გვერდით ვცხოვრობ, ორას მეტრში, მე-6 ქალთა კი სამჯერ უფრო შორს არის და იქ რა მინდა-მეთქი. წადი, წადი, შენ ჩვენს მიკრორაიონში არ ცხოვრობო, – მიპასუხა. ეს იყო საშინელი ტყუილი. ჩემ მიმართ სიძულვილი ვერ დაფარა და ჩემი თავიდან მოცილების სურვილი ასე გამოხატა. რა მექნა?! ჩემი საბუთები თურმე უკვე მე-6 ქალთა სკოლაში (იმ დროს გახდა 51-ე საშუალო სკოლა) გადაეტანათ, ძმაკაცები კი მე-7 ვაჟთაში (უკვე 53-ე სკოლად გადაიქცა!) დავტოვე. რა ვიცოდი, რომ ჩემნაირი „ძვირფასი“ მოსწავლეები იქ დამხვდებოდნენ, მაგრამ ეს დაახლოებით სამი კვირის შემდეგ გავიგე. მართალია, მანამდე ინფორმაციაც შევაგროვე და მივხვდი, რომ იქ ობლად არ ვიქნებოდი, თუმცა მეგობრების დიდი ნაწილი დამაკლდებო-

და. ეს კიდევ არაფერი – მთავარი ის იყო, რომ ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა დავმჯდარიყავი გოგონებთან ერთად ერთ კლასში – ჩვენ ისე ვიყავით გაზრდილი, რომ ერთად ყოფნას არ ვიყავით მიჩვეული. სამი კვირა არ მივედი სკოლაში, თუმცა დედაჩემს ეგონა, რომ დავდიოდი. ბოლოს ვიღაცა მოვიდა სკოლიდან და დედას უთხრა ჩემი ამბავი. დედაჩემს მწარე ხელი ჰქონდა და მეორე დილას გულის ფანცქალით მივაშურე 51-ე სკოლას. გამოვეცხადე სასწავლო ნაწილის გამგეს, სანდრო კაკულიას, რომელმაც მაგრად გამლანძღა და ჩემს ახალ კლასში წამათრია. შემიყვანა კლასში, დავინახე დამცინავი სახეები, თვალებში ყველაფერი დამიტრიალდა, მაგრამ შუა რიგში, ბოლო მერხზე, ორი ნაცნობი დავინახე – ამირხანოვი და კაკაბაძე. მათკენ გავეშურე და შუაში ჩავუჯექი. ცოტა ხნის შედეგ დავიწყე გარშემო ვითარების შეთვალიერება და ნაცნობი სახეები კიდევ აღმოვაჩინე. გოგონებს თვალს ვერ ვუსწორებდი და ვიფიქრე, ვაი, ჩემ პატრონს, ეს რა უბედურებაში აღმოვჩნდი, ჩემი სწავლის ამბავი ახლა გოგონებმაც უნდა გაიგონ, მომეჭრება თავი-მეთქი! მოკლედ, დაიწყო ცხოვრების ახალი ერა, რომელშიც ჩემი, როგორც მოსწავლის, დეგრადაცია უკვე გენდერული ბალანსის პირობებში გაგრძელდა.

თბილისში ქართული, რუსული და სომხური სკოლები იყო. მგონი, იყო რამდენიმე აზერბაიჯანულიც. ქართული სკოლების მოსწავლეთა შორის, რა თქმა უნდა, ჭარბობდნენ ქართველები, მაგრამ იყვნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. ჩემს კლასში, მე-7 ვაჟთა სკოლაში, იყვნენ ჯანგირ-ოღლი, ავაქოვი, გამიდოვი, ტოფჩიევი, გასპაროვი. სხვა კლასებშიც იყვნენ სომხები, აზერბაიჯანლები, ქურთები, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც. 51-ე სკოლაში რომ გადამიყვანეს, ჯერ ამირხანოვთან და კაკაბაძესთან ვიჯექი ერთ მერხზე, შემდეგ კი ულამაზესი ასირიელი გოგონას, ლურჯთვალება მეგი მაილოვას თანამერხელი ავღმოჩნდი და ძალიან ბედნიერი ვიყავი. ნამდვილი მეგობრები გავხდით. რამდენიმე წლის წინ მელიქიშვილის ქუჩაზე შემხვდა შვილთან ერთად და ბევრი ვილაპარაკეთ წარსულზე.



რუსულ სკოლებში ჭარბობდნენ რუსები, იყვნენ სომხები, ებრაელები და, ზოგიერთ კლასში, საკმაოდ ბევრი ქართველი. რუსულ სკოლებში რა ხდებოდა, კარგად არ ვიცი, მაგრამ იმ ქართულ სკოლებში, რომლებიც ჩემი ყოფნით გავაბედნიერე, არ მახსოვს, რომ ეროვნულ ნიადაგზე რაიმე უსიამოვნება მომხდარიყო. ყველა არაქართველმა ქართული კარგად იცოდა და მათ ჩვენიანებად მივიჩნევდით. რუსულ სკოლებში იყვნენ ადგილობრივი რუსები და იყვნენ საქართველოში განლაგებული სამხედრო ნაწილების ოფიცერთა შვილებიც. აი, მათ შორის კი იყვნენ ისეთებიც, რომლებიც დანარჩენებს ცოტა ზემოდან უყურებდნენ.

ქართული სკოლების მასწავლებლები სხვადასხვა დონისა და აღზრდისა იყვნენ: იყვნენ გამორჩეულები, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არ მოგვწონდნენ – ძირითადად პედაგოგიური ნიჭის არქონის გამო. მათემატიკაში კარგად არ მქონდა საქმე, მაგრამ მათემატიკის მასწავლებლებს, ამონაშვილს და შემდეგ ღვინერიას, უდიდეს პატივს ვცემდი. საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა ისტორიის მასწავლებელი ვანო ფანჯიკიძე, რომელსაც პედაგოგის თანდაყოლილი ნიჭი ჰქონდა. მისი გაკვეთილები ძალიან გვიყვარდა. ბევრად გვიან გავიგე, რომ იგი ჩვენი ცნობილი მწერლის გურამ ფანჯიკიძის მამა ყოფილა. ძალიან სასიამოვნო მასწავლებელი იყო ვასო ცისკარიძე და ზოგიერთი სხვა. ბავშვები ყოველთვის გრძნობენ, ვინ არის მოსიყვარულე, ნამდვილი მასწავლებელი და მას მოსწავლეებთან პრობლემა არ ექმნება.

ბრწყინვალე მასწავლებლები იყვნენ ზოგიერთ რუსულ სკოლაშიც. მათ შორის იყვნენ უკვე მოხუცები, რომლებმაც განათლება მეფის დროს მიიღეს და გამოირჩეოდნენ. იყვნენ ასევე ძალიან კარგი მასწავლებლები, რომლებმაც რუსეთში ან უკრაინაში მიიღეს საუკეთესო უმაღლესი განათლება და ბავშვებში დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. ჩვენს უბანში, ვერაზე, 49-ე რუსული სკოლა იყო, რომელიც ძალიან ბევრმა შემდგომში ცნობილმა ქართველმა დაამთავრა. ამ სკოლაში რამდენიმე გამორჩეული მასწავლებელი იყო. როგორც ახლა ხდება, სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები ერთმანეთს უყვებოდნენ თავიანთი სკოლის ამბებს და ყველამ ვიცოდით, ვინ როგორი მასწავლებელია, რას ეძახიან, მათი ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალი. ზოგზე ლეგენდები დადიოდა.

სწავლა სკოლაში ერთ ყაიდაზე იყო მოწყობილი, დისკუსია და თავისუფალი აზრის გამოთქმა პრაქტიკულად არ ხდებოდა. ამის დროც არ იყო – გადატვირთულ კლასში მასწავლებელს გამოკითხვისა და ახალი მასალის ახსნისთვის დრო არ ყოფნიდა. გარდა ამისა, საბჭოთა სკოლაში თავისუფალი აზრის გამოთქმა და დებატი ნამეტანი სითამამე იქნებოდა. ერთი კი უნდა ითქვას, რომ მათემატიკას და ფიზიკას ძალიან კარგი სახელმძღვანელოებით გვასწავლიდნენ.

სკოლის ბუფეტებში საყურადღებო არაფერი იყო – პური, ფუნთუშები, რძე და ა.შ. სახლიდან ზოგჯერ რაღაცას გვატანდნენ, მაგრამ 40 კაცში მარტო ხომ არ დაიწყებდი ჭამას!

მოსწავლეთა შორის ურთიერთობები, როგორც ყოველთვის და ყველგან, საკმაოდ რთული იყო. იკვრებოდა მეგობრების ჯგუფები, ყალიბდებოდნენ ბუნებრივი ლიდერები, იყვნენ ბოროტებიც და ენის მიმტანებიც, მაგრამ მათ შავი დღე ადგებოდათ. ჩხუბი ხშირი იყო, ხშირად გაგრძელებაც მოჰყვებოდა ხოლმე სკოლის გარეთ, მე-7 ვაჟთასთან, იქვე მდებარე ბარნოვის მესამე შესახვევში, რომელსაც პატარა ქუჩას ვეძახდით და რომელზეც ჩვენი ბინის ფანჯრები გადიოდა. 51-ე სკოლაში ჩხუბი სკოლის მიმდებარე ადგილებში ხდებოდა. ჩხუბობდნენ ხელით. იშვიათად, რომ ვინმე საშინლად ეცემათ. ბავშვები ცდილობდნენ მოჩხუბრების გაშველებას და შერიგებას. უფროს კლასებში რომ ვიყავი (50-იანი წლების მიწურულს), ზოგჯერ დანებიც გამოიყენებოდა, მაგრამ ეს ძალიან იშვიათი იყო და მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობდა. ხანდახან ჩხუბი სხვადასხვა სკოლის მოსწავლეთა, ზოგჯერ კი სხვადასხვა უბნელებს შორის ხდებოდა. უმთავრესად კი ვმეგობრობდით და გვეგონა, რომ მთელი ცხოვრება ერთად ვიქნებოდით.

სკოლაში ყველაზე დიდი მოვლენა საკონტროლო წერა იყო, განსაკუთრებით – ჩემნაირებისთვის. დაზვერვა მუშაობდა და ხშირად ვიგებდით, როდის ჩატარდებოდა საკონტროლო. ზოგჯერ მასწავლებელი წინასწარ გვაფრთხილებდა. ამ ამბავს რომ შევიტყობდით, გუნებაზე აღარ ვიყავით და სწორედ საკონტროლოს დღეს ვხვდებოდით ავად ან ზოოპარკსა თუ კინოთეატრს მივაშურებდით. ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, ცუდად მთავრდებოდა. მშობელთა კრებებიც დიდი მოვლენა იყო! შიშით ველოდით (რა თქმა უნდა, ზოგიერთები!) შინ დედისა თუ მამის სკოლიდან მოსვლას. ძირითადად დედა დადიოდა და ძალიან ცუდ გუნებაზე ბრუნდებოდა. ზოგჯერ ვიცოდი, რა საშინელებას გაიგონებდა ჩემი დამრიგებლისგან და შინ არ ვხვდებოდი, ცოტა რომ დამცხრალიყო. ამიტომაც არ მიყვარდა სკოლა.

მეცხრე კლასში (51-ე სკოლაში) ძალიან ბევრს ვკითხულობდი და სწავლას ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი. კითხვა ყოველთვის მიყვარდა და ყველაფერი მაინტერესებდა სკოლის საგნების გარდა, რაც, რა თქმა უნდა, ჩემი დიდი სისულელე იყო. მე-9 კლასის მეოთხე მეოთხედი რომ დასრულდა, გულმა მიგრძნო, რომ ამჯერად დიდი ტრაგედია მელოდა. ძალიან პატარა იმედი მაინც მქონდა, რომ დამინდობდნენ და ერთ-ორ საშემოდგომოს გამომაყოლებდნენ. ივნისი იყო, ცხელი, მზიანი დღე. სკოლის პედსაბჭოს სხდომა უნდა გამართულიყო, სადაც საბოლოო განაჩენს გამოუტანდნენ ჩემნაირებს. ჩვენ ზოოპარკს შევაფარეთ თავი, მდინარე ვერეს („ვერარეჩკას“ ვეძახდით) ჭალაში, იქ, სადაც ლომებისა და ვეფხვების გალიები იყო. ამ მტაცებლებს ზაფხულის ღია და ზამთრის დახურული გალიები ჰქონდათ. ხუთი ლომი იყო და ხუთი ვეფხვი. ცხელოდა და, ბუნებრივია, იწვნენ და მზეზე თბებოდნენ. რამდენიმე ბიჭი უბნის სხვადასხვა სკოლიდან ვისხედით და ჩვენი სკოლებიდან შიკრიკებს ველოდებოდით, რომ გაგვეგო, გვეშველა თუ არა. ჩემი სკოლიდან ერთი ბიჭი მოვიდა და მითხრა „შე დებილო, ჩარჩი!“. საშინელმა გრძნობამ შემიპყრო, რადგან მაინც ოპტიმისტი ვიყავი და ამგვარ დარტყმას არ ველოდი. სწორედ ამ დროს ამ ათმა საშინელმა მხეცმა დაიწყო საშინელი ღრიალი და ღმუილი და გალიებში სირბილი, თითქოს ჩემი მასწავლებლების შეჭმას ლამობდნენ. ეს საზარე-





ლი ხმა კარგა ხანს გაგრძელდა და ზოოპარკიდან გავიქეცი. მას შემდეგ ეს ღრიალი ხშირად ჩამესმის, განსაკუთრებით, როცა ამერიკული კინოკომპანიის „მეტრო-გოლდვინ-მაიერის“ ფილმებს ვუყურებ, როცა წინ უძღვის ლომის ხახადაღებული თავი, რომელიც ღრიალებს.

რა თქმა უნდა ეს დარტყმა უნდა გადამეტანა, მაგრამ როგორ?! შინ მისვლა არ გინდოდა?! მშობლების გულის მოკვლა არ მინდოდა, მაგრამ რას ვიზამდი და გვიან ღამე ჩვენი ბინის კარი შევაღე. ვიღაც ოხერს დედაჩემისთვის უკვე მიეტანა ამბავი და ნინას მწარე ხელი ყბაში მომხვდა. მეორეც რომ დააპირა, ვიყვირე „ექვსი წლისა რომ შემიყვანეთ, აბა, რა გეგონათ, ახლა ყველაფერი გამოსწორრდა!“. დედაჩემის ხელი ჰაერში გაჩერდა. შევედი, მამაჩემი ცუდ გუნებაზე იყო. აბა, რა იქნებოდა! მოკლედ, სირცხვილით ვიწვოდი, განსაკუთრებით, როცა წარმოვიდგენდი, რომ 1 სექტემბერს ჩემი მეგობრები მეათე კლასში იქნებოდნენ, მე კი ისევ მეცხრეში უნდა მივსულიყავი და ახალი კლასელების დასაცინი უნდა გავმხდარიყავი. მძიმე ზაფხული გავატარე. სოფელში ცოტა მომეშვა, მაგრამ 1 სექტემბერი ახლოვდებოდა და საშინელი შეგრძნებაც მიმძაფრდებოდა. ძალიან მერიდებოდა ჩემი ძველი მეგობრებისა და ვიცოდი, რა სირცხვილსაც ვჭამდი ახალ, მაგრამ ისევ მეცხრე კლასში.

ეს ჩემთვის მძიმე გაკვეთილი იყო, რომლისაგან მიღებული ტრავმა მთელი ცხოვრება გამომყვა. ახლა ამ ამბავს თითქოს იუმორით ვიხსენებ, მაგრამ სინამდვილეში ახლაც მრცხვენია. კიდევ ერთი წელი ვსწავლობდი 51-ეში, მაგრამ მინდოდა სხვაგან წავსულიყავი. ამ დროს გამოვიდა ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც უმაღლესში გამოცდების ჩაბარებისას ორი წლის სამუშაო სტაჟი უნდა გქონოდა. დავიწყე მუშაობა. 16 წლის ვიყავი და თავი ამოვყავი მუშა ახალგაზრდობის მე-4 სკოლაში (ასე ერქვა საღამოს სკოლას), რომელიც ძველ კინოსტუდიასა და „დინამოს“ სტადიონს შორის მდებარეობდა. ეს კიდევ ერთი საოცრება იყო. იქ უმეტესწილად ჩემნაირებმა მოიყარეს თავი, თუმცა იყვნენ ჩვენზე კარგებიც. რადგანაც კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ (ახლა იქ მ. თუმანიშვილის სახელობის თეატრია) დავიწყე მუშაობა ხმის ჩაწერის საამქროში, სამუშაო საათების შემდეგ პირდაპირ სკოლაში მივდიოდი, თუმცა იქაც იშვიათად ვრჩებოდი ოთხი გაკვეთილის მანძილზე. მოთხოვნები მინიმალური იყო და რის ვაივაგლახით დავასრულე საშუალო განათლება.

(გაგრძელება იქნება)